

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული  
უნივერსიტეტი

თემურ მიმინოშვილი

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და  
მისი განვითარების პერსპექტივები

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი  
*ელგუჯა მექვაბიშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2014

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----- გვ.2

### თავი I. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი

- 1.1. სახელმწიფოსა და ძალაუფლების ეკონომიკური შინაარსი ----- გვ.9
- 1.2. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციის  
ისტორიულ-ლოგიკური ასპექტები ----- გვ.22
- 1.3. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები  
პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში ----- გვ.34
- 1.4. სახელმწიფოს როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის  
გლობალიზაციის პირობებში ----- გვ.49
- 1.4.1. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური  
კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში ----- გვ.56

### თავი II. ბიზნესის ფუნქციონირება-განვითარების კანონზომიერებები

- 2.1. ბიზნესისა და მეწარმეობის არსის ზოგიერთი  
სადისკუსიო საკითხი ----- გვ.71
- 2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) როლი ----- გვ.85
- 2.3. მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) მდგომარეობა,  
პრობლემები და პერსპექტივა საქართველოში ----- გვ.93

### თავი III. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის თანამედროვე ფორმები და მათი განვითარების პერსპექტივა

- 3.1. ბიზნესზე სახელმწიფოს ზემოქმედების მიმართულებები ----- გვ. 110
- 3.2. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ფორმების განვითარება ----- გვ. 121
- 3.3. ლობირება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისა და ბიზნესის  
ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა ----- გვ.136
- დასკვნები და რეკომენდაციები ----- გვ.143
- გამოყენებული ლიტერატურა ----- გვ.152

## ანოტაცია

საქართველოს ეკონომიკური როლის დახასიათებისას წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური ძალაუფლების ორიგინალური დეფინიცია და აქცენტი გაკეთებულია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის პრობლემაზე. განხილულია ეკონომიკური ძალაუფლების ჩამოყალიბების ისტორიული საფეხურები და გაკეთებულია დასკვნა: სახელმწიფოს ბაზართან (ბიზნესთან) დაპირისპირების ნებისმიერი მცდელობა თეორიული თვალსაზრისით მცდარია და პრაქტიკული თვალსაზრისით კი კონტრპროდუქციული. თანამედროვე შერეულ ეკონომიკურ სისტემაში თითოეულ მათგანს უნდა მოეძებნოს საკუთარი ადგილი კონკრეტული ქვეყნის ისტორიულ და სოციალურ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. დახასიათებულია პოსტკომუნისტურ ეკონომიკურ ტრანსფორმაციაში ბიზნესთან მიმართებით სახელმწიფოს სისტემაწარმომქმნელი, სისტემაგანმამტკიცებელი, სისტემაწარმოებადი ფუნქციები და მათი თანაფარდობის დინამიკა. ნაჩვენებია, რომ ბიზნესის ფუნქციონირების მხარდაჭერა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სისტემაგანმამტკიცებელი ფუნქციაა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს: ბიზნესის დაწყების მნიშვნელოვნად გაადვილებას ფირმების დაფიქსირების პროცედურების გამარტივებისა და ვადების შემცირების გზით; აქტიური ანტიკორუფციული პოლიტიკის განხორციელებას; შრომის კოდექსის მნიშვნელოვან დაბალანსებას, რომელიც გაითვალისწინებს როგორც დაქირავებულების, ისე დამქირავებლების ინტერესებს და სხვ.

ნაჩვენებია, რომ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნული მიმართულებით. ამასთანავე, მითებულია სერიოზულ ხარვეზებზეც, კერძოდ: არამყარ და არაპროგნოზირებად საკანონმდებლო ბაზაზე; ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალ დონეზე; საკუთრების უფლების დაბალ ხარისხზე; სასამართლო საკუთრების უფლების დაცვის დაბალ ხარისხზე; სასამართლო სისტემის არასაკმარის დამოკიდებულებაზე; მეწარმეთა განათლებულობის დაბალ დონეზე;

ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის პრაქტიკა, ნაჩვენებია მისი დინამიკა და შემუშავებულია კონკრეტული წინადადებები ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით. ხაზგასმულია სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის თანამედროვე ფორმებისა და მექანიზმების გამოყენების აუცილებლობა.

ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი და წარმატებული ფორმაა სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობა (PPP). ნაშრომში გაანალიზებულია PPP-ს ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული პროცესი, დახასიათებულია მისი მოდელები და მათი პრაქტიკული განხორციელების დადებითი ეფექტები. კვლევის პროცესში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პარტნიორობის მოდელის პრაქტიკაში დამკვიდრება რთული, წინააღმდეგობრივი და ხანგრძლივი პროცესია. საქართველოს ეკონომიკურ სინამდვილეში იგი უნდა დაიწყოს სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის ურთიერთობების აღდგენით. ნდობა განხილულია როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კატეგორია და შემოთავაზებულია ნდობის აღდგენა-განმტკიცებისაკენ მიმართული კონკრეტული ღონისძიებები: ა/ სახელმწიფოს მხრიდან, ბ/ ბიზნესის მხრიდან და გ/ ორმხრივი ძალისხმევით ნაკარნახევი. დახასიათებულია ბოლო დროის მანძილზე ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და გაკეთებულია შემდეგი დასკვნა: იმის მიხედვით, რომ ნდობის აღდგენის თვალსაზრისით გარკვეული დადებითი ტენდენცია შეინიშნება, მისი ტემპი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის სრულფასოვანი პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ერთ-ერთ სპეციფიკურ ფორმად განსაზღვრულია ლობიზმი. დასაბუთებულია, რომ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესი დღის წესრიგში აყენებს ლობიზმის ინსტიტუციონალიზაციის მოთხოვნას. ხაზგასმულია ლობიზმის (ლობირების) კანონის მიღების აუცილებლობა, რომელიც სამართლებრივ არეალში მოაქცევს სხვადასხვა სტრუქტურის მოხელეთა საქმიანობას ბიზნესთან მიმართებაში და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ცივილიზებული ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარებას.

## **Annotation**

While characterizing the role of Georgian Economy the original definition of economic power is moved forward and the problem of economic power concentration is underlined. Historic steps of economic power formation are discussed and conclusions are made: any attempt of State to act against the market (business) is wrong in terms of theory and from practical viewpoint - contra productive. In modern mixed economy system each of them should find its place considering the history and socio cultural specifications of each country. System creating, system consolidating and system producing functions of State and dynamics of their correlation are described in terms of relations with the business during the post soviet economy transformation. It is illustrated that supporting the business operation is one of the most important system consolidation function, which implies various actions, such as: making easier starting the business via simplifying business registration procedures and decreasing terms; conducting active anti-corruption policy; enforcing balanced labor code, which will refer the interests of employers also employees.

It is shown that important steps were done in these terms during last years in Georgia. Also serious failures are described, such as: non-stable and non- furcating legislative base; high level of economic monopolization; low level of property rights; non-sufficient level of independence if the court, low level of entrepreneurial education; The practice of small and medium entrepreneurship is discussed in details, the dynamics of its development is described and certain proposition in regard of business environment improvement are elaborated. The essence of applying modern forms and mechanisms of public and private cooperation is underlined.

On the basis of analysis the conclusion is done, that most efficient and successful form of such kind of relationship is partnership between state and business. Historic process of the Public and private sector relationship formation and development is analyzed; related models and positive effects of their implementation are described. During the research it is emphasized that model of partnership is very difficult to implement and is challenging and long-term process. Considering the reality of Georgian economy, above mentioned process should start via restoring the relationships between state and business. The trust is defined as a one of the most important economic categories and concrete actions directed towards restoring and consolidation of this trust are proposed to be implemented: a/ by government; b/by business; c/ by both of them. Concrete steps taken in these terms are described and

following conclusion is developed. Considering that at the moment restoring the trust is characterized by a positive trend, the rapidity of its development is still not sufficient for formation of complete partnership between state and business. Lobbyism is defined as a one of the specific forms of public private sector partnership. It is argued that market economy development put in agenda institutionalization of lobbyism. It is emphasized the necessity of enforcing the law on lobbyism (lobbing). This law is supposed to organize in legal terms the business related actions of various officials and will support formation and development of civilized business sector in the country.

## შესავალი

თემის აქტუალობა. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის პრობლემის კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება, არამედ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა დიალექტიკური ხასიათისაა. ფლობს რა სოლიდურ რესურსებს, ბიზნესი მეურნეობის სხვადასხვა დარგში მათი კომბინაციით აღწევს საკუთარ მთავარ მიზანს – მოგების მაქსიმიზაციას. ამ მიზნის მისაღწევად მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და დახმარება.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბიზნესი სპეციფიკურთან ერთად ზოგიერთ ისეთ ფუნქციასაც ასრულებს, რომელიც ახლოსაა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ფუნქციასთან.

სახელმწიფოც, ბიზნესის მსგავსად, მნიშვნელოვანი რესურსების მფლობელია და ძირეულადაა დაინტერესებული მის წინაშე არსებული მიზნების რეალიზებაში ბიზნესის შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენებით.

სახელმწიფოსა და ბიზნესის რიგი ფუნქციების თანხვედრა და ერთი მიმართულება მათი თანამშრომლობის (პარტნიორობის) ობიექტურ შესაძლებლობას იძლევა. თუმცა ეს შესაძლებლობა რეალობად რომ გადაიქცეს აუცილებელია გარკვეული პირობების არსებობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოსა და ბიზნესის ბევრი ფუნქცია და ინტერესი ხშირ შემთხვევაში არსებითადაა განსხვავებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მექანიზმის შექმნა და ამოქმედება, რომელიც შესაბამისობაში მოიყვანს სახელმწიფოსა და ბიზნესის მიზნებს, ინტერესებს და ამ ერთიანობას ჩააყენებს მთელი საზოგადოების სამსახურში. აღნიშნული საკითხების კვლევას ეძღვნება მოცემული სადისერტაციო ნაშრომი.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესისა და მეწარმეობის შესახებ ქართულ და უცხოურ ენებზე ბევრი ნაშრომია შესრულებული, სახელმწიფოსა და ბიზნესის დიალექტიკური ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების სისტემური მონოგრაფიული გამოკვლევა აქამდე არ ჩატარებულა. სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორების ცდაა მოცემული ჩვენს ნაშრომში.

კვლევის მთავარი მიზნები და ამოცანები. სადისერტაციო ნაშრომის მთავარი მიზანია სახელმწიფოსა და ბიზნესის დიალექტიკური ურთიერთობის შინაარსის, ფორმებისა და გენეზისის კანონზომიერებათა ანალიზი, მათ შორის სტრატეგიული თანამშრომლობის მექანიზმის განსაზღვრა და სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურების ურთიერთვალდებულების და სადიალოგო პროცედურის საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარანტიების ჩარჩოს შემუშავება.

სადისერტაციო ნაშრომში დასმული მთავარი მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრულია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- სახელმწიფოსა და ძალაუფლების ეკონომიკური შინაარსის განსაზღვრა;
- სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გენეზისის აღწერა;
- პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების კლასიფიკაცია და დახასიათება;
- ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში სახელმწიფოს როლის მოდიფიცირების ახსნა;
- გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისებსა და პოსტკრიზისულ განვითარებაში სახელმწიფოს მნიშვნელობის დადგენა;
- ბიზნესისა და მეწარმეობის, როგორც ერთიანობის ისე განსხვავების კრიტერიუმების შესწავლა;
- საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება – განვითარებისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის წამყვანი როლის დასაბუთება;
- მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში საქართველოს რეალობაში შექმნილი მდგომარეობის, დინამიკის ანალიზი, არსებული წარმატებებისა და დაგროვილი



პრობლემების შესწავლა, სიტუაციის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება;

- ბიზნესზე სახელმწიფოს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფორმების, მეთოდების, ინსტრუმენტების დახასიათება;
- სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის განვითარებულ ქვეყნებში გავრცელებული ეფექტიანი ფორმების აღწერა და საქართველოს რეალურ სინამდვილეში მათი გამოყენების შესაძლებლობის ჩვენება;
- ლობირების, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის სპეციფიკური ფორმის საქართველოში ინსტიტუციონალიზებისა და ლეგალიზების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების გააზრება.

კვლევის საგანია – სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ორგანიზაციული და ინსტიტუციური ასპექტები, მისი ჩამოყალიბებისა და ევოლუციის კანონზომიერებები.

კვლევის ობიექტია – საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო საწარმოები, ბიზნეს-გარემოს განმსაზღვრავი სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. სადოქტორო ნაშრომი დაწერილია ეკონომიკური თეორიის კლასიკოსების, საზღვარგარეთელი და ქართველი მეცნიერების ნაშრომთა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე; გამოყენებულია კვლევის შემდეგი კონკრეტული მეთოდები: ემპირიულ მონაცემთა სისტემატიზაცია, მათი ვერბალური განხილვა, მიღებული შედეგების, ზოგად დასკვნებსა და კანონზომიერებებს შორის ურთიერთკავშირის ფორმალურ-ლოგიკური აღწერა; სინთეზისა და ანალიზის, ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობა, შედარებითი ანალიზი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს:

- ჩამოყალიბებულია ეკონომიკური ძალაუფლების ცნების განმარტება და განსაზღვრულია მისი მატარებელი სუბიექტები;
- მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიების შედარებით ანალიზის საფუძველზე შესწავლილია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუცია ისტორიულ–ლოგიკურ ასპექტში და ნაჩვენებია როგორც ეკონომიკურ რეალობაში ისე მის თეორიულ ასახვაში სახელმწიფოს როლის ცვლილების კანონზომიერი ხასიათი;
- გაანალიზებულია პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს სამი სისტემაწარმომქმნელი, სისტემაგანმატკიცებელი და სისტემააღწარმოებადი – ფუნქცია, ნაჩვენებია თითოეული მათგანის როლი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესებში.
- შემუშავებულია საბაზრო სისტემის ადეკვატური სახელმწიფო მართვის მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებები;
- დახასიათებულია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მოდიფიცირების აუცილებლობა და ხასიათი ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კრიზისულ და პოსტკრიზისული განვითარების პერიოდებზე;
- პრობლემის ისტორიულ–გეოგრაფიული, ეტიმოლოგიური და გლობალური ასპექტების გამოყოფით ნაჩვენებია მეწარმეობის (მეწარმის), ბიზნესის (ბიზნესმენის) ცნებებს შორის ერთიანობა და განსხვავება;
- სისტემატიზებულია პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში საშუალო კლასის, როგორც საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ–პოლიტიკური სტაბილურობის გარანტის როლი, ნაჩვენებია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართება საშუალო კლასის ჩამოყალიბების კანონზომიერებასთან;
- საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე შეფასებულია ბიზნეს–გარემოს მდგომარეობა, დასახულია მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები;

- შემუშავებულია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის (Public Private Partnership - PPP) მოდელის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები, ნაჩვენებია ამ მოდელის საქართველოს სინამდვილეში გამოყენების შესაძლებლობა;
- დახასიათებულია ლობირების, როგორც სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის სპეციფიკური ფორმის გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკა და დასმულია საკითხი საქართველოში მისი ლეგალიზაციისა და ინსტიტუნაციონალიზაციის შესახებ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნების, რეკომენდაციების გამოყენება შეიძლება საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო პროექტებში ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების დროს. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია უნივერსიტეტების ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სასწავლო პროგრამებში ეკონომიკის, მენეჯმენტის კურსების სწავლებისას. აგრეთვე შესაძლებელია მისი გამოყენება სპეცკურსში „სახელმწიფო და ბიზნესი“.

ნაშრომის აპრობაცია სადოქტორო დისერტაციის ძირითადი დებულებები და დასკვნები ავტორის მიერ წარდგენილი იქნა საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე – „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“. თბილისი, 6 – 7 აპრილი, 2012 წელი; საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე – „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“. 29 ივნისი, 2012 წელი. შედეგები ასევე ასახულია საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში.

## პუბლიკაციები

1. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N 3, 2012.
2. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუცია გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში. ჟურნალი „ეკონომიკა“, N5–6, 2012.
3. ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე ფორმები. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციის „გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“ მასალები. თბ.2012წ.
4. ბიზნესისა და მეწარმეობის არსის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი. ჟურნალი „ეკონომისტი“, N2, 2012.
5. სახელმწიფოს როლი კონკურენტული ბიზნესგარემოს ფორმირებაში. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციის – „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“ მასალებში. თბ. 2012, ტ.1.

#### სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 161 გვერდს.

პრობლემის კვლევის მიზანმა, ამოცანებმა, გადაწყვეტის ლოგიკამ განაპირობა

სადისერტაციო ნაშრომის შემდეგი სტრუქტურა:

#### **შესავალი**

#### **თავი I. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი**

- 1.1. სახელმწიფოსა და ძალაუფლების ეკონომიკური შინაარსი
- 1.2. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციის ისტორიულ–ლოგიკური ასპექტები
- 1.3. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში
- 1.4. სახელმწიფოს როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში
- 1.4.1. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში

#### **თავი II. ბიზნესის ფუნქციონირება–განვითარების კანონზომიერებები**

- 2.1. ბიზნესისა და მეწარმეობის არსის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი
- 2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) როლი
- 2.3. მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივა საქართველოში

### **თავი III. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის თანამედროვე ფორმები და მათი განვითარების პერსპექტივა**

- 3.1. ბიზნესზე სახელმწიფოს ზემოქმედების მიმართულებები
- 3.2. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ფორმების განვითარება
- 3.3. ლობირება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა

**დასკვნები და რეკომენდაციები**

**გამოყენებული ლიტერატურა**

## თავი I. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი

### 1.1. სახელმწიფოსა და ძალაუფლების ეკონომიკური შინაარსი

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ძალაუფლების ცნების გარკვევა. ზოგადი თვალსაზრისით, ეკონომიკური ძალაუფლების ქვეშ იგულისხმება ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარი და შესაძლებლობა ეკონომიკური საშუალებების (ბერკეტების) გამოყენებით ზემოქმედება მოახდინოს სხვა ადამიანზე, ადამიანთა ჯგუფზე ან მთელ საზოგადოებაზე მათი ქცევის (მოქმედების) საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარების მიზნით. ამასთან დაკავშირებით რუსი მეცნიერი ეკონომისტი ი.ოსიპოვი წერს: „სამეურნეო ძალაუფლება არის მეურნეობის წარმართვაზე, მეურნეობის პირობების შექმნაზე, მეურნე სუბიექტებსა და მთელ სამეურნეო ცხოვრებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა.“<sup>1</sup>

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის საკითხი. ცენტრალიზებული ადმინისტრაციულ-ბრძანებლური ეკონომიკის ფუნქციონირების პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ხელში ძალიან დიდი ეკონომიკური ძალაუფლების თავმოყრა, როგორც წესი, გამოიყენება როგორც საზოგადოების ისე ინდივიდის საზიანოდ. გარკვეული საფრთხეების შემცველია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია არსახელმწიფო სუბიექტების ხელში, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს (და გამოიყენება კიდევ) ძლიერის მიერ სუსტზე საკუთარი ნების თავზე მოხვევის ინსტრუმენტად. უკონტროლო ეკონომიკური ძალაუფლება კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ ძალაუფლებას წარმოშობს და ხშირ შემთხვევაში უკონტროლო პოლიტიკურ ძალაუფლებაში ტრანსფორმირდება.

ეკონომიკური თვალსაზრისით სახელმწიფო ორ მნიშვნელოვან იპოსტაზში გამოდის – როგორც მეურნეობრიობის საერთო პირობების უზრუნველმყოფელი

---

1.Осипов Ю.М. Теория хозяйства. Т.1. Общие основания. М.,1995. გვ.366.

სუბიექტი და შემოსავლების მიმღებ-განმკარგველი. სახელმწიფოს ფენომენი პერსონიფიცირდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სახით.

სახელმწიფოს ეკონომიკური ძალაუფლება რეალიზდება მის მიერ განსაზღვრული ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგულირებაში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად შინაარსს.<sup>1</sup>

სახელმწიფოს ეკონომიკური შინაარსის ჩამოყალიბება და განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომლის შესახებაც შემდეგ პარაგრაფში გვექნება საფუძვლიანი მსჯელობა. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ კაპიტალისტურამდელ საზოგადოებრივ სისტემებში სახელმწიფოს ეს მხარე ნაკლებად იყო გამოხატული. პირიქით, კაპიტალიზმამდე ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროები – სულიერი, მატერიალური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური – ერთმანეთთან იყო შერწყმული და ძალიან ძნელი იყო ეკონომიკური ფუნქციების ცალკე გამოყოფა. თანამედროვე ინდუსტრიული ქვეყნებისათვის ნიშანდობლივია სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებს შორის თვალსაჩინო საზღვრების არსებობა. კერძოდ, ეკონომიკა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზმის ქვესისტემა არის რთული და მრავალპლანიანი წარმონაქმნი, რომელიც თავის მხრივ შედგება მრავალრიცხოვანი და ამასთანავე ერთმანეთთან გარკვეულ კონკურენციაში მყოფი ელემენტებისაგან. საზოგადოება აგრეთვე მოიცავს არასახელმწიფო სტრუქტურას (სამოქალაქო საზოგადოების სახით), რომელიც თავის მხრივ შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: ოჯახი, სხვადასხვა საზოგადოებრივი და პროფესიული გაერთიანებები (კავშირები), კონფესიები, თემები, ინტერესთა ჯგუფები და ა.შ. ეს არის ინსტიტუტები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ადამიანის, როგორც ისტორიის მთავარი შემოქმედის „წარმოება“ და „აღწარმოება“, სოციალური გამოცდილების ტრანსმისია თაობათა შორის. სამოქალაქო საზოგადოება იმანენტურად

---

1. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., 2005, გვ. 403.

შეიცავს იმ მექანიზმებს, რომლებიც უპირობოდ უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარების შესაძლებლობას

აღნიშნულ მექანიზმს წარმოქმნის მრავალი თაობის ცხოვრების მანძილზე გამომუშავებული ეროვნულ-კულტურული, მორალურ-ეთიკური ნორმები, ფასეულობები, განწყობები, სტერეოტიპები, ტრადიციები, ჩვეულებები, მითები, თამაშის წესები და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო, თუმცა იგი არ შედის მის შემადგენლობაში. სახელმწიფო, როგორც გარკვეულ, ზუსტად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების პოლიტიკური თვითორგანიზაციის ფორმა, ცალკეული ინტერეს-ჯგუფების ან პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით უნდა გამოხატავდეს და იცავდეს საზოგადოების ყველა ჯგუფის, ფენის, კლასისა და ინდივიდის ინტერესებს.<sup>1</sup>

ზოგადად სახელმწიფო, და კერძოდ, მისი ეკონომიკური შინაარსი ისტორიული მოცემულობაა, რაც გულისხმობს მათ განსხვავებულ ინტერპრეტაციას ცალკეულ ეპოქათა საზოგადოებრივ – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. რეალობების კონტექსტში. შუა საუკუნეებში სახელმწიფო გაცილებით ფართო უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი ვიდრე სამეწარმეო (თავისუფალი კონკურენციის) კაპიტალიზმის პირობებში. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა მოქალაქეთა ქონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. მეოცე საუკუნეში კორპორაციული კაპიტალიზმის ფორმირებასთან ერთად, სახელმწიფოს როლი არსებითად შეიცვალა მისი გაფართოებისა და წინა სტადიასთან შედარებით გაძლერების თვალსაზრისით.

---

1. „ისტორიული ფაქტებით საბუთდება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება დროის მოთხოვნის გათვალისწინებით არასოდეს იყო შემოფარგლული მხოლოდ ერთი რომელიმე კლასის ინტერესების დაცვით. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ყოველი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი ადრე თუ გვიან დაიშლებოდა“ – წერდა პროფ. გ.თოდუა – ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №6. გვ.9.



აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე სახელმწიფო წარმოადგენს სამრეწველო რევოლუციისა და XIX საუკუნის მანძილზე მომხდარი რიგი პოლიტეკონომიკური კატაკლიზმების კანონზომიერ შედეგს. ამასთანავე მისი ჩამოყალიბება გაცილებით ადრე, კერძოდ, 1648 წელს გაფორმებული ვესტფალიის ზავით იწყება, რომელმაც სუვერენული სახელმწიფო აღიარა საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის მთავარ სუბიექტად .ამ პერიოდიდან დაწყებული, სახელმწიფო საკუთარ ლეგიტიმურობას ახორციელებს შიდა კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საშუალებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს შეასრულოს სხვადასხვა ფუნქციები, შეიმუშაოს და გაატაროს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. სახელმწიფოს მიზანია არა მოგება, არამედ საზოგადოებრივი სიმდიდრის (დოვლათის) შექმნა.

სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის მეცნიერებმა. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნ.მაკიაველის, ჟ.ბოდენის, თ.ჰობსის, ჯ.ლოკის, ჰეგელის და სხვათა დამსახურება. დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის აზრით, სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ჭეშმარიტი ფილოსოფიური გაგება იმაშია, რომ „ზოგადად კანონმდებლობა და მისი განსაკუთრებული დეფინიციები განხილულ იქნეს არა აბსტრაქტულად და იზოლირებულად არამედ სხვა დეფინიციებთან ურთიერთკავშირში, რომლებიც განსაზღვრავს ერისა და ეპოქის ხასიათს“<sup>1</sup>

აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომიდან გამომდინარე სახელმწიფო განხილული უნდა იქნეს არა როგორც მისი შემადგენელი სოციალური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, პოლიტიკური ელემენტების მექანიკური ჯამი, არამედ როგორც ცოცხალი მთლიანი სისტემა, რომელშიც სხვადასხვა მხარეები (ქვესისტემები) არა მხოლოდ ურთიერთქმედებენ, არამედ კიდევ ავსებენ ერთმანეთს.

---

1. Гегель. Философия права. М.; 1952, გვ.137.

გერმანელი ფილოსოფოსი რ.ერინგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს პირველი და უმთავრესი ამოცანაა სოციალური იძულებითი ძალაუფლების ორგანიზაცია საზოგადოების საერთო ინტერესთა დაცვის მიზნით. ამგვარ ორგანიზაციას გააჩნია ორი მხარე: ძალაუფლების გარე მექანიზმის კონსტრუირება და მისი გამოყენების დისციპლინა ანუ ე.წ. „წესრიგის“, მათ შორის „ეკონომიკური წესრიგის“ ცნებები. პირველი მხარე რეალიზდება სახელმწიფო ხელისუფლებაში, მეორე კი სამართალში. ორივე ეს ფენომენი ერთმანეთს განაპირობებს: სახელმწიფო ხელისუფლება საჭიროებს სამართალს, სამართალს კი აუცილებლად სჭირდება სახელმწიფო ხელისუფლება.<sup>1</sup>

სახელმწიფოს განსხვავება სოციალური ორგანიზაციის სხვა ფორმებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოდის ძალაუფლების უზენაეს სუბიექტად, რომლის ზემოქმედება ვრცელდება მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ ყველა მოქალაქეზე და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სახელმწიფო – ეროვნული სუვერენიტეტის არსი სწორედ იმაშია, რომ იგი ვერ ეგუება მის ზემოთ ან მის გვერდით მდგომ რომელიმე სხვა ძალაუფლებას. აქედან გამომდინარეობს მისი მონოპოლია კანონიერ ძალმომრეობაზე, რომლის შესახებაც თანამედროვე სოციოლოგიის ერთერთი კლასიკოსი მ.ვებერი შენიშნავდა: „სახელმწიფო ადამიანთა თანამეგობრობაა, რომელიც... წარმატებით აცხადებს პრეტენზიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალმომრეობაზე.... ძალმომრეობაზე „უფლების“ ერთადერთ წყაროდ სახელმწიფო ითვლება“.<sup>2</sup> თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ამ ექსკლუზიური უფლების ჰიპერბოლიზაცია, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება. ის შეიძლება გაგებული იქნეს როგორც სახელმწიფოს უფლება და მოვალეობა, უზრუნველყოს ამ ქვეყნის ყველა მოქალაქის მიერ კანონის უპირობო დაცვა და ამ მიზნით გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება, მათ შორის ფიზიკური იძულების ჩათვლით. ყველა მოქალაქის ინტერესის დაცვა სახელმწიფოსათვის

1. Эринг Р. фон. Цель в праве. М.,1991, გვ.231.

2. Вебер М. Избранные произведения. М., 1990, გვ. 645.

უმნიშვნელოვანესია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაემუქებოდა ლეგიტიმურობის დაკარგვის საფრთხე. უფრო მეტიც, როგორც ლიბერალ – დემოკრატიული მმართველობის მქონე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სწორედ სახელმწიფომ შეასრულა გადამწყვეტი როლი ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე სტიქიური საბაზრო ძალების შეზღუდვაში, მონოპოლიათა ძალმომრეობის აღაგმვასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან თვალსაჩინოდ ვლინდება ლიბერალური

დემოკრატიის პლურალიზმი სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დამოუკიდებელ შტოებად დაყოფით. ურთიერთკონტროლისა და ურთიერთშეკავების მექანიზმების გამო ხელისუფლების არც ერთ შტოს არ ეძლევა მონოპოლიური მდგომარეობის დაკავების შესაძლებლობა. ფედერალური მოწყობის სახელმწიფოში მოქმედებს ძალაუფლების ჰორიზონტალური დაყოფაც, რომელსაც თან ახლავს უფლებამოსილებათა განაწილება ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის.

ფუნდამენტალური მიზნებისა და ამოცანების ერთიანობის პირობებში სახელმწიფო როგორც საზოგადოების ინტერესების მატარებელი სუბიექტი, ამავე დროს საკუთარ თავში ბევრ წინააღმდეგობას შეიცავს. ეს წინააღმდეგობები არსებობს, როგორც ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებს შორის, ისე სტრუქტურების შიგნით. მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აქვს ადგილი სამთავრობო მოსამსახურეებსა და ბიზნესმენტა შორის. როგორც ამერიკელი მკვლევარები ა.ფლითჩერი და ბ.როსი აღნიშნავენ: „ბიზნესმენტების მსოფლმხედველობა განსხვავდება სამთავრობო ჩინოვნიკების მსოფლმხედველობისაგან. პირველნი ორიენტირებული არიან ბაზრის შესაძლებლობებზე, მეორენი კი პირიქით, ერევან საბაზრო ურთიერთობებში სოციალურ – ეკონომიკურ მოთხოვნილებებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს ბაზრის მიმართ დაშვებადობა იმით, რომ შექმნას უსაფრთხოებისა და ხარისხის არასაბაზრო სტანდარტები, რითაც რესურსები

გადაანაწილოს იმათ სასარგებლოდ, ვისაც ამ რესურსების მიღება არ შეუძლია.“<sup>1</sup> უფრო მეტიც, სახელმწიფოს შეუძლია აქტიურად იმოქმედოს ფირმის წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე და საერთოდ გააკოტროს იგი. ყოველივე აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ზოგიერთი მოქმედება ბიზნესის მიერ შეიძლება ნეგატიურად და ზოგჯერ მტრულადაც იქნეს აღქმული, რაც გამოიწვევს ამ ორ მხარეს შორის უნდობლობასა და გაუცხოებას. ზემოაღნიშნული პოტენციური შესაძლებლობის (ზოგჯერ კი რეალობის) მიუხედავად, მთელი XX საუკუნე და XXI საუკუნის დასაწყისი გამორჩეულია სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის (პარტნიორობის) პოზიტიური გამოცდილებით.

ისტორიული განვითარების პროცესში სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობამ ერთმანეთისგან განსხვავებული ორი ეტაპი განვლო. პირველ ეტაპზე მეწარმე – კაპიტალის წინაშე იდგა ფეოდალური გარე ეკონომიკური ზეგავლენისგან განთავისუფლების ამოცანა, რომლისგან გამომდინარე იგი მაქსიმალურად ცდილობდა თავიდან აეცილებინა მის საქმიანობაში სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა.

ამ დამოკიდებულებამ ასახვა ჰპოვა ჩვენთვის უკვე ცნობილ *laissez faire, laissez passer* ანუ თავისუფალი კონკურენციის პრინციპში, რომელიც სამრეწველო კაპიტალიზმის ფუნდამენტურ დოქტრინად იქცა. პოლიტიკურ კონტექსტში აღნიშნული სიტუაცია გამოიხატა კლასიკური ლიბერალიზმის მამამთავართა „მინიმალური სახელმწიფოს“ თეორიის ჩამოყალიბებაში და ასეთი სიტუაცია გაგრძელდა მე –19–ე საუკუნის ბოლო მესამედამდე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავისუფალი კონკურენციის აღმავლობის პერიოდშიც კი სახელმწიფო არ იყო მთლიანად ჩამოშორებული სოციალურ–ეკონომიკური პროცესებისგან და ამის ნათელი მაგალითია ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზმის კლასიკური ქვეყნის აშშ–ს მაგალითი. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ამერიკელი მკვლევარი თ.კოხრენი, რომელიც აღნიშნავს „laissez faire–ს პრინციპი,

---

1. Флитчер А., Росс Б. Как работает Вашингтон. 2005, гл. 8-9.

რომელიც თავისუფალ კონკურენციას ნიშნავდა, ამერიკელ ბიზნესმენტა პირველ თაობას უაზროდ ეჩვენებოდა. ისინი ქადაგებდნენ კერძო ინიციატივას, როცა ბიზნესისთვის აუცილებელი კაპიტალი იმყოფებოდა მეწარმის ხელში და მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ინიციატივას, როცა აუცილებელი კაპიტალის მოცულობა აღემატებოდა ცალკეულ ინდივიდთა ხელში მყოფ კაპიტალებს. ამასთანავე ისინი ყოველთვის მხარს უჭერდნენ იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას მინიმალური დანახარჯების პირობებში“.<sup>1</sup>

აშშ –ში თითქმის ყველა შტატი იყენებდა საზოგადოებრივ ფონდებს საგზაო სტრუქტურის, საბანკო სფეროს, სამრეწველო წარმოების და ა.შ. განვითარებისათვის. ჩარევა ხდებოდა როგორც ფედერალურ ისე შტატების მთავრობათა დონეზე. შტატების მთავრობების ეკონომიკაში ჩარევას სხვადასხვა ფორმა ჰქონდა: რეგულირება, რეგლამენტაცია, დოტაციები, კომპანიებისათვის სხვადასხვა შეღავათების მინიჭება და ა.შ., რაც ხშირად მათ მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებასაც იწვევდა. ბევრი შტატის ტერიტორიაზე არსებულ კომპანიებში ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება პირდაპირ დებდა ინვესტიციებს. ეს შეეხებოდა იმ კომპანიებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერთიანი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: თავისუფალი კონკურენციის პრინციპი, რა თქმა უნდა, აშშ–ს ეკონომიკის განვითარების ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მას არასდროს უარსებია წმინდა სახით. ამერიკის მთავრობა საჭიროების მიხედვით ყოველთვის ახორციელებდა სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ.) დაიწყო პროცესები, რომელმაც თავისუფალი მეწარმეობის კაპიტალიზმი ისტორიის კუთვნილება გახადა. წარმოების

---

1. Cochren Th. Busines in American Life: A History. N-Y გვ.116.1999.

კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესების შედეგად მოხდა კაპიტალის გამსხვილება, ჩამოყალიბდა გიგანტური კორპორაციები, რომლებიც ეკონომიკის „ხერხემლად“ გადაიქცა. ბაზრები დანაწილებული იქნა სწორედ ამ კორპორაციებს შორის და მათი მონოპოლიური ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. მაშასადამე, ნათელი გახდა, რომ ბაზარი ახალ პირობებში სრულებითაც აღარ წარმოადგენდა იმ თვითრეგულირებად და თვითკორექტირებად სისტემას, როგორც ის წინათ აღიქმებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში განხორციელდა თავისუფალი (კონკურენციული) მეწარმეობის ტრანსფორმაცია კორპორატიულ კაპიტალიზმად. ამ უკანასკნელის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი იყო სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციების გაძლიერება ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. არსებითად შეიცვალა კონკურენციის როლი და მექანიზმი. კერძოდ, თუკი კაპიტალიზმის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იგი ერთმნიშვნელოვნად პროგრესულ როლს თამაშობდა ფეოდალური მარწუხებისგან მეწარმეობის განთავისუფლების საქმეში, ზემოაღნიშნულ პერიოდში იგი შეიცვალა მონოპოლისტური კონკურენციით, რომელიც თავისუფალი კონკურენციისა და თავისუფალი ბაზრის სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა. ამასთანავე, დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს მხრიდან ამ ახალი ტიპის კონკურენციის რეგულირების აუცილებლობა, რომელიც კიდევ უფრო აქტუალური ხდებოდა ეკონომიკური კრიზისების პირობებში. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური კრიზისი – „დიდი დეპრესია“ 1929–1933 წლებში და აშშ–ში 1974–1975 წლებში განვითარებული პროცესები. სახელმწიფოს როლის გაძლიერება ნათლად ჩანს შემდგომ მაგალითებში: 1929წლამდე ანუ „დიდი დეპრესიის“ დაწყებამდე ფედერალური მთავრობის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვები შეადგენდა ქვეყნის მშპ–ს მხოლოდ 1 პროცენტს. კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდში იგი გაიზარდა 10 პროცენტამდე. იგივე კანონზომიერებას ჰქონდა ადგილი 1974–1975 წლებში. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფარგლებში დიდი ყურადღება ექცეოდა ე.წ.

სოციალური სამუშაოების პროგრამების (გზების მშენებლობა, ქუჩების დასუფთავება, ქალაქების გამწვანება და ა.შ.) განხორციელებას. გამოიყენებოდა მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენებისათვის სოციალური დახმარების ფართომასშტაბიანი პროგრამები, შემუშავდა მოქნილი საგადასახადო სისტემა. 1991 წელს, როცა აშშ-ს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა რ.ნიქსონმა შემოიღო „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“ (ფ.რუზველტის „ახალი კურსის“ მსგავსად) ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის პრინციპი ამ ქვეყანაში, ისე როგორც გაცილებით უფრო მაღალი ხარისხით დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში, საყოველთაოდ აღიარებული ნორმა გახდა.

ამგვარად, თავისუფალი მეწარმეობის კაპიტალიზმისგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ძირითადად დაიყვანებოდა ცალკეული ფირმების ფინანსურ დახმარებაზე, XX საუკუნის ბოლო 50 წლის მანძილზე სახელმწიფო გადაიქცა ეკონომიკური საქმიანობის აქტიურ სუბიექტად, თავისებურ „კოლექტიურ კაპიტალისტად“, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარების უმნიშვნელოვან ფაქტორად.

აშშ-ს დღევანდელი ეკონომიკური რეალობა ზემოაღნიშნულის ნათელი დადასტურებაა. უპრიანია ვისაუბროთ არა მხოლოდ ამერიკული სახელმწიფოს ეკონომიკაზე ზემოქმედების სხვადასხვა მიმართულებების, არამედ სახელმწიფოს მეურნეობრივ –მეწარმეობრივ საქმიანობაზე ანუ „სახელმწიფო მეურნეობრიობაზე“ (government entrepreneurship).

ეს უკანასკნელი გულისხმობს „სხვადასხვა ქონების, მატერიალური ფასეულობების, ფინანსური სახსრებისა და საკუთრების ერთობლიობას, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის ან მის მიერ იმართება“<sup>1</sup> დღეს აშშ-ის მთავრობა არის „ძირითადი მეწარმე“, „მთავარი ბანკირი“, „საქონლისა და მომსახურების ყველაზე მსხვილი შემკვეთი“.<sup>2</sup> სახელმწიფო სექტორი ისეთ დარგებს მოიცავს, რომლებსაც გააჩნია საერთო ეროვნული ან სტრატეგიული მნიშვნელობა. მასში შედის ის

1. Федорович В.А., Патрон А. П., Заварухин В.П. США: Федеральная контрактная система и экономика.

Механизм регулирования. М., 2009, გვ.9.

2. იგივე ნაშრომი. გვ. 861.

დარგებიც, რომლებსაც აკისრია გადამწყვეტი სოციალური როლი. სახელმწიფო მეურნეობრიობის საფუძველია საკუთრების სახელმწიფო და შერეული ფორმები. აშშ – ის მთავრობის განკარგვაში მყოფი საკუთრების ხვედრითი წონა ამ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის დაახლოებით მეოთხედია. მარტო პენტაგონის საკუთრება გასული საუკუნის 90–იანი წლების ბოლოს უტოლდებოდა აშშ 50 უმსხვილესი კომპანიის კაპიტალთა ჯამს. სახელმწიფო საკუთრებად ითვლება სახელმწიფო ბიუჯეტიც, რომლის საფუძველზე აშშ მთავრობა ახორციელებს მეურნეობრივ საქმიანობას, უკვეთავს სახელმწიფო მართვის უზრუნველყოფისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებას. აშშ მთავრობა ეკონომიკას არეგულირებს სამი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის გამოყენებით. ესენია: ფედერალური ბიუჯეტი, ფედერალური კონტრაქტების სისტემა და ფედერალური საგადასახადო სისტემა. სახელმწიფო მეურნეობრიობას აშშ–ს მთლიან ეროვნულ პროდუქტში უკავია 22–25 პროცენტი, ეროვნულ შემოსავალში – 34–45 პროცენტი. სახელმწიფო შესყიდვების წლიური მოცულობა შეადგენს 1,5 – 1,7 ტრლნ დოლარს, ანუ მრეწველობაზე გაცემული შეკვეთების ერთობლივი პორტფელის 20 პროცენტს. სახელმწიფო კონტრაქტების სისტემა მოიცავს ქვეყნის ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების 90 – 92 პროცენტს.<sup>1</sup> ამ მონაცემებიდან ნათლად დასტურდება ის ფაქტი, რომ აშშ მთავრობა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე მსხვილი მესაკუთრე და ყველაზე წონიანი მეწარმეა. ამასთანავე მისი ეს მდგომარეობა წლიდან წლამდე კი არ მცირდება, არამედ განუხრელად იზრდება და გამოხატულების თვისობრივად ახალ ფორმებს იძენს. აღნიშნული ტენდენციები მეტ–ნაკლები ზომით ნიშანდობლივია ინდუსტრიულად განვითარებული ყველა ქვეყნისათვის.

ამრიგად, თანამედროვე განვითარებულ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო თავის ძალისხმევას წარმართავს ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორცაა: ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, ადამიანი–კაპიტალის განვითარება

---

1. Федорович В.А., Патрон А.П., Заварухин В.П. США: Федеральная контрактная система и экономика. Механизм регулирования. გვ.863.



და ამ მიზნით რესურსების ჩადება ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლება და მეცნიერება; უმნიშვნელოვანესი საწარმოო ინფრასტრუქტურების შექმნა, გარემოს დაცვა და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სახელმწიფოს როლი სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების საქმეში. ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესო მოსაზრებები ჰქონდა გამოთქმული ე.წ. „გერმანული ეკონომიკური სასწაულის“ მთავარ კონსტრუქტორს ლ. ერჰარდს, რომელიც აღნიშნავდა: „სახელმწიფომ მუდმივად უნდა იღვაწოს თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნებისათვის, რათა არ ჩაქრეს მისი მატარებელი პროგრესული ძალები, რაც უზრუნველყოფს მთლიანად გერმანული ეკონომიკის მწარმოებლურობის ამაღლებას“<sup>1</sup> მას ღრმად სწამდა, რომ

„გერმანიაში თავისუფალი მეწარმეობა შენარჩუნებული იქნება მანამ, სანამ სახელმწიფო იქნება მის სადარაჯოზე“. ერჰარდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოსა და ბაზარს შორის ფუნქციების გამიჯვნას და თვლიდა, რომ „სახელმწიფომ არ უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოები იქ, სადაც კერძო მეწარმე თავს გაართმევს ამოცანას.“<sup>2</sup> მეორე მხრივ მეწარმეობამ სახელმწიფო არ უნდა გადააქციოს თავისი ინტერესების გამომხატველად. არსებობს შრომის თავისებური განაწილება: ერთი მხრივ, საქმიანობის სფეროს შემოსაზღვრა სამეწარმეო აქტივობით, წარმოების სფეროში სიმძიმის ცენტრით და მეორე მხრივ, სამეურნეო პოლიტიკური საქმიანობით, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. ეკონომიკურ პოლიტიკაზე უშუალო პასუხისმგებელი მხოლოდ სახელმწიფოა მისთვის მინიჭებული კომპეტენციისა და სამართლის ფარგლებში. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება მთავრობის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების, ბერკეტებისა და მექანიზმების ოპტიმალურ გამოყენებას, რაც ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

---

1. ციტატა პროფ. რ. გოგობიას სტატიიდან „სოციალური საბაზრო მეურნეობის“ სათავეებთან, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2006, №6, გვ.39.

2. Эрхард Л. Благосостояние для всех. М., 1990. გვ. 252.

ერჰარდის აზრით, წარმოება უნდა იყოს სახელმწიფოს ზრუნვის მთავარი ობიექტი. თუ მართებულია მტკიცება, რომ მხოლოდ იმის განაწილება შეიძლება, რაც შექმნილია, მაშინ „ყველა სოციალურმა“ რეფორმატორმა პირველ რიგში უნდა იზრუნოს ყველაზე ეფექტიანი სამეურნეო წესრიგისათვის. ერჰარდი საკმაოდ შორი მანძილით დაშორდა სახელმწიფოს ლიბერალურ გაგებას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო „ღამის დარაჯია“, რომლის ფუნქცია მხოლოდ ბაზრის დაცვაში მდგომარეობს. მეორე მხრივ, მისთვის ბაზარი თვითმიზანი კი არაა არამედ საშუალებაა რეალური სოციალური მიზნების მისაღწევად. „სოციალურობა კი გარანტირებული შეიძლება იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თავისუფალი შეჯიბრების საშუალებით მიღწეული საუკეთესო შედეგებით უპირატესად ისარგებლებენ ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები“<sup>1</sup>

საკუთარი ფუნდამენტური მიზნების შესასრულებლად სახელმწიფო მოქმედებს რამდენიმე მიმართულებით: პირველი, ქმნის ეკონომიკური საქმიანობის ინფრასტრუქტურასა და გარემოს; მეორე, შეიმუშავებს ეკონომიკური საქმიანობის (ქცევის) ნორმებს, წესებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას; მესამე, აყალიბებს ხელსაყრელ სოციალურ გარემოს; მეოთხე, წარმართავს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის წინაშე მდგარი გრძელვადიანი (სტრატეგიული) მიზნების მიღწევაზე; მეხუთე, ეკონომიკური აგენტის ამპლუაში ახორციელებს საკუთარ დამოუკიდებელ მეურნეობრივ საქმიანობას; მეექვსე, სახელმწიფო მართვის საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრავს და ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებიდან გამომდინარე შესაძლებელია ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში სახელმწიფოს შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქციების გამოყოფა:

---

1. Эрхард Л. Благосостояние для всех. гл. 241.

- ქვეყანაში მართლწესრიგის უზრუნველყოფა, რომლის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს, მათ შორის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება.
- საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ბაზრის მონაწილეთა მიერ საყოველთაოდ მიღებული წესების გარანტირებული და უპირობო შესრულება;
- ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და შენახვა.

ყველა ჩამოთვლილ, ასევე რიგ სხვა მიმართულებებსა და ფუნქციებში რელიეფურად იკვეთება ძალაუფლებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური შინაარსი მისი განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე.

## 1.2. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუციის ისტორიულ–ლოგიკური ასპექტები

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ევოლუცია (გენეზისი) ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო სამეურნეო პრაქტიკისა და ურთიერთდაპირისპირებული თეორიული ეკონომიკური პოსტულატების კანონზომიერ მონაცვლეობას.

სრულყოფილი ანუ თავისუფალი კონკურენციის სამეწარმეო კაპიტალიზმის „laissez faire“-ს ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გულისხმობდა ეკონომიკის (ბაზრის) თავისუფლებას, როგორც ავლნიშნეთ, XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე გაჩნდა. ამასთანავე მისი შემქმნელები ამ ცნებაში საერთოდ არ დებდნენ იმ შინაარსს, რაც დღეს განიხილება. კერძოდ, საბაზრო ეკონომიკას ისინი არ განიხილავდნენ როგორც თვითკმარ სისტემას, რომელიც არავითარ რეგულირებას არ საჭიროებს სახელმწიფოს

მხრიდან. სწორედ ამგვარი მიდგომები იყო ნიშანდობლივი მერკანტილიზმისა და ფიზიოკრატის სკოლის წარმომადგენლებისათვის. „laissez faire“-ს თანამედროვე ინტერპრეტაციის პროტოტიპი მხოლოდ 1830-იან წლებში ჩამოყალიბდა, ხოლო ამ ტიპის ეკონომიკურმა სისტემამ განვითარების ზენიტს 1889-1890-იან წლებში მიაღწია.

კაპიტალიზმი, როგორც საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკური ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმა, პერმანენტული ბრძოლის პროცესში წარმოიშვა. ერთი მხრივ, ეს იყო ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი, ბურჟუაზიას ებრძოდა მისი კლასობრივი ანტიპოდი – დაქირავებულ მუშათა კლასი. ამ ბრძოლის მრავალი მაგალითი არსებობს 1840-იანი წლების ჩარტისტული მოძრაობის, მუშათა პირველი პროფკავშირების, 1848 წლის რევოლუციის, 1871 წლის პარიზის კომუნის, მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციების – პირველი (1864) და მეორე (1889) ინტერნაციონალების სახით და სხვ. დაპირისპირების მთავარი იდეა მდგომარეობდა კაპიტალიზმის სოციალისტური ალტერნატივის აუცილებლობის მტკიცებაში.

კაპიტალიზმის ჩამოყალიბების ისტორია ამასთანავე სახელმწიფოსა და ბაზრის დიალექტიკური წინააღმდეგობის ისტორიაცაა. კაპიტალიზმის საწყისი ეტაპის სახელმწიფო უპირატესად პატერნალისტური ხასიათის იყო. ამის შესახებ ი. შუმპეტერი შენიშნავდა: „სახელმწიფო ხელისუფლება, აგრეთვე მისი სახელით მოქმედი მიწათმფლობელები და მრეწველები ერთდროულად კიდევ ჩაგრავდა და ამასთანავე იცავდა გლეხებს და მცირერიცხოვან სამრეწველო პროლეტარიატს“.<sup>1</sup>

სახელმწიფოსა და კაპიტალისტურ (საბაზრო) ეკონომიკას შორის დამოკიდებულებაში რამდენიმე ისტორიული ეტაპის გამოყოფა შესაძლებელი:

1. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო პატერნალიზმის ეპოქას, ამ დროს სახელმწიფო ცდილობდა კაპიტალიზმის შეზღუდვას, რაც საბოლოოდ შეუძლებელი აღმოჩნდა.

---

1 . Schumpeter J. Capitalism, Socialism and Democracy. London, 1987. გვ.178.

2. 1830–1870–იანი წლები ეს არის საკუთრივ კაპიტალისტური სისტემის აღმოცენების პერიოდი, რომელიც დაემთხვა წარმოების ფაქტორების, უპირველეს ყოვლისა– შრომის თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას.
3. 1870–იანი წლებიდან დასაბამს იღებს ე.წ. „კეთილდღეობის სახელმწიფო“ (welfare state) ანუ სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს შუამავლის როლს კაპიტალისტებსა და მუშებს შორის.<sup>1</sup>

ამ ფენომენის წარმოშობა დაკავშირებულია საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის მოხსნის მცდელობასთან. მან განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა 1950–1970–იან წლებში დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. Welfare state–ს განვითარება ამ პერიოდში, პირველ რიგში უკავშირდებოდა მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში მიღწეულ შედეგებს. სწორედ აღნიშნულ პერიოდში ამ ქვეყნებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საშუალო კლასი, რომელმაც დაიწყო წამყვანი როლის შესრულება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში. სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობდა ეკონომიკის ფუნქციონირებაში და ხელს უწყობდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას კერძო სექტორში ან თვითონ ქმნიდა მას სახელმწიფო სექტორში. ამის შედეგად უმუშევრობის დონე სტაბილურად იყო მოქცეული დაბალ –2,5 პროცენტთან ჩარჩოში, უმუშევრებს კი ეძლეოდათ ისეთი სოციალური დახმარება, რომელიც უზრუნველყოფდა ცხოვრების მეტ–ნაკლებად ნორმალური სტანდარტის შენარჩუნებას.

ამასთანავე Welfare state დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ნაკლებად პასუხობდა კაპიტალისტური რაციონალურობის პრინციპს. მაშ რატომ ხდებოდა ამ ხარჯების გაღება? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა და უმთავრესი პოლიტიკური რისკების მინიმიზირება იყო. თანაც უკვე არსებობდა სამწუხარო გამოცდილება 1929–1933 წლების „დიდი დეპრესიის“ სახით, რომ ბიზნესის უკონტროლო განვითარებას კატასტროფული შედეგების გამოწვევა შეეძლო. აუცილებელი იყო აგრეთვე მემარცხენე

---

1. Поланьи К. Великая трансформация. Политические и экономические истоки нашего времени. М., 2007, გვ.47.

იდეების გავრცელებისათვის ხელის შეშლა. ეს იდეები კი სოციალისტური სსრ კავშირიდან მომდინარეობდა. არანაკლებ მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისათვის კაპიტალიზმის უპირატესობის დემონსტრირებას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებში Welfare state–ს იდეოლოგიის ეკონომიკურ პოლიტიკაში ტრანსფორმირება კეინზიანელების მიერ განხორციელდა. როგორც ცნობილია, კეინზისა და მისი მიმდევრების მაკროეკონომიკური თეორიის ცენტრალური პრობლემა იყო საზოგადოებაში სრული დასაქმების უზრუნველყოფა. ამ მიზნით, სახელმწიფო მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალების გამოყენებით უნდა ჩარეულიყო წარმოების პროცესში, წინ აღდგომოდა მის შეკვეცას და მაშასადამე, უმუშევრობის გაზრდას. – ასეთი იყო კეინზიანელთა ძირითადი პოსტულატი.<sup>1</sup>

ამრიგად, 1950–იანი წლების მეორე ნახევრიდან კეინზიანელობა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სინონიმად იქცა. ამავე დროს იგი წარმოადგენდა „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების“ იდეოლოგიურ საფუძველს.

„ახლა ჩვენ ყველანი კეინზიანელები ვართ“ – ეს სიტყვები ეკუთვნის აშშ–ს რესპუბლიკელ პრეზიდენტს რ.ნიქსონს და რელიეფურად ასახავს მთელ დასავლეთ სამყაროში იმ პერიოდში გაბატონებულ თეორიასა და სამეურნეო პრაქტიკას.

კეინზიანელობას, როგორც ერთ–ერთ ძლიერ თეორიულ მიმართულებას ბევრი რამ აკავშირებს ფორდიზმთან, რომლის ფართო და ვიწრო გაგება არსებობს სოციოლოგიურ და ეკონომიკურ ლიტერატურაში. ვიწრო გაგებით, ფორდიზმი გულისხმობს წარმოების ორგანიზაციის სპეციფიკურ ფორმას. იგი წარმოიშვა აშშ–ში 1910–იანი წლების დასაწყისში და თავდაპირველი გავრცელება ჰპოვა ამერიკელი საავტომობილო წარმოების მაგნატის ჰ.ფორდის კუთვნილ საწარმოებში ქ. დეტროიტში. ფორდიზმი ემყარებოდა ორ პრინციპს: წარმოების ინტენსიფიკაცია მისი

---

1. შექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., 2012. გვ.60.

მექანიზაციის გზით და მასობრიობა წარმოებული პროდუქციის სტანდარტიზაციის საშუალებით. ორივე ამ პრინციპის შერწყმა განაპირობებდა პროდუქციის გაიაფებისა და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მისი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ფორდიზმი ფართო გაგებით, ნიშნავს შრომაზე კაპიტალის კონტროლის ისეთ ფორმას, რომელიც ემყარება მუშების მიერ უპირატესად თვითკონტროლს. ე.წ. „ეფექტიანი ხელფასის“ თეორიის გამოყენებით ფორდმა საკუთარი მუშების ანაზღაურება უცებ გაზარდა 2–ჯერ და ეს ფაქტი ასე ახსნა: „მინდა, რომ ჩემი მუშები ყიდულობდნენ იმ მანქანებს, რომლებსაც თვითონ აწარმოებენ.“

ფორდიზმი შრომასა და კაპიტალს შორის ურთიერთობის ისეთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს მასში სახელმწიფოს მუდმივ მონაწილეობას. სახელმწიფო, როგორც მუშათა სოციალური დაცვის გარანტი, არა მარტო გულმოდგინედ აკონტროლებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების დაცვას, არამედ მუშათა სოციალურ საჭიროებებზე სოლიდური საბიუჯეტო თანხების გამოყოფით მნიშვნელოვნად ზრდის მოხმარებას და ამით ასტიმულირებს წარმოებას. ამ გზით იგი ემსახურება არა მარტო მუშათა ინტერესებს, არამედ ამავედროულად კაპიტალისთვის დამატებითი მოგების პირობების შექმნით, კაპიტალისტთა ინტერესებსაც გამოხატავს.

### გადახვევა კეინზიანური თეორიიდან და სვლა ფორდიზმიდან

#### პოსტფორდიზმისაკენ

კეინზიანური მოდელის ჰეგემონია 1970–იანი წლების ბოლოს დამთავრდა და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში ეს იყო 1971–1972 წლებისა და 1974–1975 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები, რომელთა დაწყებაში მთავარ პასუხისმგებლობას, რიგი ეკონომისტები, სახელმწიფოს აკისრებენ. მათი აზრით, კრიზისები გამოიწვია ეკონომიკაში სახელმწიფოს ზედმეტად ჩარევამ, რაც ეკონომიკის მეტისმეტ რეგულირებაში გამოიხატა. დაიწყო ე.წ. „ანტიკეინზიანური რევოლუცია“ დევიზით: „კეინზი მკვდარია, გაუმარჯოს ჰაიეკს“. საქმე ის იყო, რომ ჯ.მ. კეინსსა და ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორიის თვალსაჩინო წარმომედგენელს ფ.ჰაიეკს

შორის თეორიული დისკუსია სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესახებ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გაჩაღდა, რომელიც მაშინ კეინზის გამარჯვებით დამთავრდა. ამ ფაქტიდან თითქმის ორმოცი წლის შემდეგ ჰაიეკმა შეძლო „რევანშის აღება“, რაც იმაში გამოიხატა, რომ სწორედ 30-იან 40-იან წლებში დაწერილი ნაშრომებისათვის მას მიენიჭა ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში.

1970-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული სიტყვა „დერეგულირება“ ყველაზე პოპულარული გახდა ეკონომისტების საუბრებში, პრაქტიკაში კი სახელმწიფოს სოციალურად ორიენტირებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ადგილი დაუთმო „თავისუფალი ბაზრის“ ფუნქციონირებაში ჩაურევლობის (ან მინიმალური ჩარევის) ნეოლიბერალურ პოლიტიკას.

პოლიტოლოგიაში ასეთი მიდგომა ნეოკონსერვატიზმის სახელწოდებითაა ცნობილი. აშშ-ში „რეიგანეკონომიკა“ და დიდ ბრიტანეთში „ტეთჩერიზმი“ ამ პოლიტიკის კლასიკური ფორმებია. მამასადამე, ნეოლიბერალიზმი და ნეოკონსერვატიზმი „ერთი მედლის ორ მხარედ“ შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ნეოკონსერვატიზმს შემდეგი ეკონომიკური თეორიები შეესაბამება:

- მიწოდებაზე ორიენტირებული ეკონომიკა (ა.ლაფერი);
- მონეტარიზმი (მ.ფრიდმანი);
- ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიები, რომლებიც თავის მხრივ ორ ქვემიმართულებად იყოფა:
  - ა) რაციონალური მოლოდინების თეორია (რ.ლუკასი, თ.სარჯენტი, რ.ბარო);
  - ბ) რეალური საქმიანი ციკლების თეორია (ფ.კიუდლანდი, ე.პრესკოტი).

მიწოდების ეკონომიკის არსი სქემატურად შეიძლება წამოვიდგინოთ ღონისძიებათა ჯაჭვის სახით: საკუთრებიდან შემოსავლებზე გადასახადების შემცირება —> დაგროვებისადმი მიდრეკილების გაძლიერება მიმდინარე მოხმარების შემცირების ხარჯზე —> სასესხო კაპიტალის მიწოდების გაზრდა —> საპროცენტო განაკვეთების შემცირება —> ინვესტიციური აქტიურობის გაძლიერება.



მონეტარისტები და ნეოკლასიკოსები ხაზს უსვამდნენ ფულის მნიშვნელობას ეკონომიკაში. ამასთანავე ნეოკლასიკოსებს მონეტარისტებისგან განსხვავებით არ სჯეროდათ მოთხოვნაზე ეფექტიანი ზემოქმედების შესაძლებლობის და თვლიდნენ, რომ ფულის მასის ცვლილება წარმოებაზე ზემოქმედებას ახდენს მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში.

რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკაში კეინზიანელობის მოწინააღმდეგეები ახორციელებდნენ შემდეგ ღონისძიებებს: ამცირებდნენ საგადასახადო ტვირთს მსხვილ მესაკუთრეებზე, კვეცავდნენ ბიუჯეტის ხარჯებს სხვადასხვა სოციალურ პროგრამებზე, უმუშევრობასა და ინფლაციას შორის აქცენტს აკეთებდნენ ინფლაციის შემცირებაზე, სრული დასაქმების პოლიტიკას ისინი ცვლიდნენ „ბუნებრივი უმუშევრობის“ კანონიდან მომდინარე პოლიტიკით. ბუნებრივია, რომ ასეთი ღონისძიებების ხანგრძლივმა და თანმიმდევრულმა განხორციელებამ გამოიწვია Welfare state-ის ინსტიტუციური სტრუქტურის სერიოზული ეროზია.

კეინზიანელობის პრინციპებიდან გადახვევის პარალელურად ხდებოდა ფორდიზმის პრინციპებიდან გადახვევაც და მის ადგილას პოსტფორდიზმის დოქტრინის დანერგვა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კავშირის რღვევას შრომასა და კაპიტალს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხდება მუშებსა და მეწარმეებს შორის იმ სოციალური კონტრაქტის გაწყვეტა, რომლის გარანტორის როლში სახელმწიფო გამოდიოდა. ეს კონტრაქტი ცალმხრივად ირღვევა მხოლოდ მეწარმის ინტერესების გათვალისწინებით. განსხვავება ფორდიზმსა და პოსტფორდიზმს შორის კიდევ იმაშია, რომ თუკი პირველი წარმოების ტექნიკურ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას, მეორისათვის მთავარი მუშაკთა მოტივაციაა. შრომისა და წარმოების ამ ფორმას ხშირად „ტოიოტიზმსაც“ უწოდებენ. მისი მთავარი შინაარსი მდგომარეობს ფირმის ერთგვარ სოციალურ-კულტურულ ერთობად გადაქცევაში. მასში გათვალისწინებულია სიცოცხლის ბოლომდე მუშაკთა დაქირავებისა და საკარიერო კიბეზე ნაბიჯ-ნაბიჯ აღმასვლის მომენტები. ფირმა (კორპორაცია) მასში დასაქმებულთა მხრიდან კვაზიოჯახად აღიქმება. ამ სისტემისთვის კიდევ ის არის

დამახასიათებელი, რომ ფირმას გააჩნია ბირთვი, რომლის გარშემო ყალიბდება სხვა პარტნიორი ფირმების ანუ ე.წ. სატელიტების ფართო ქსელი. კორპორაციის შიგნით კვაზიოჯახური ურთიერთობები მხოლოდ ბირთვი–ფირმების მუშაკებზე ვრცელდება და ამ გზით მიიღწევა მთავარი მიზანი – ყალიბდება მუშაკთა სრული ლოიალურობა „საკუთარი“ ფირმის (კორპორაციის) მიმართ.

### ნეოლიბერალიზმი, ლიბერტიარიანიზმი და Welfare state–ის დემონტაჟი.

ნეოლიბერალიზმის მიმდევარი ეკონომისტები სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს უარყოფით კონტექსტებში განიხილავენ, ხოლო სახელმწიფოს მარეგულირებელ პოლიტიკას – კი მანკიერებად თვლიან.<sup>1</sup> მათი იდეალია „პატარა“ ანუ სუსტი სახელმწიფო და აქედან გამომდინარე სპონტანურ ეკონომიკურ (საბაზრო) პროცესებში მისი მინიმალური ჩარევა. მათი მთავარი დევიზია – „ეკონომიკური ეფექტიანობა – ყველაფერია, სოციალური სამართლიანობა კი – არაფერი.“ რაც, მათი აზრით, სწორედ სპონტანური საბაზრო პროცესებით მიიღწევა.

ნეოლიბერალიზმის დამკვიდრება და გაბატონება სოციალურ– ეკონომიკური ხასიათის რიგი მიზეზებით იყო გამოწვეული, მათ შორის ჩვენ გამოვყოფთ საკითხის გლობალურ ასპექტს. ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ევროკავშირად ტრანსფორმაციამ განაპირობა შრომის, კაპიტალისა და საქონლის საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის გაძლიერება. ახალ პირობებში ცალკეული ფირმები, სახელმწიფოები თუ რეგიონები გლობალურ ეკონომიკურ „ოკეანეში“ თვისუფალი ცურვის რეჟიმში აღმოჩნდა, სადაც მუდმივად ეჯახება სხვადასხვა ეკონომიკური ინტერესები. აქედან გამომდინარე ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ მხოლოდ საბაზრო მექანიზმს შეუძლია ყველა ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის წარმართვა დან თითქოსდა, არსებობს ერთადერთი რეგულატორი –

---

1. „პარადოქსულია, მაგრამ ეკონომისტებს, რომლებიც მხარს უჭერენ სახელმწიფო რეგულირების მასშტაბების გაფართოებას, მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ ბევრი უბედურების მიზეზი თავად სახელმწიფოა“ – აღნიშნავს რუსეთში მოღვაწე ეთნიკურად ქართველი ეკონომისტი ა. რაქვიაშვილი – რაკვიაშვილი ა. *ლიბერტიარიანская концепция государства: логика и мораль.* „Вопросы Экономики“, 2009, № 9. გვ.119.

ბაზარი, რომელიც არ საჭიროებს გარედან არავითარ რეგულირებას.<sup>1</sup> შესაბამისად, ეკონომიკის სფეროსთან მიმართებაში ნეოლიბერალთა უმთავრესი მოთხოვნა არის დერეგულირება, რომელიც, მათი აზრით, უზრუნველყოფს:

- დასაქმების გაზრდას;
- ოლიგოპოლიების საბაზრო ძალაუფლების დაძლევას;
- ფულის მასაზე კონტროლს;
- ეკონომიკურ ზრდას და შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას.

ზოგიერთი მეცნიერი, ჩვენი აზრით, სწორად შენიშნავს, რომ დერეგულირება არ გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის უარყოფას. მაგალითად, კ.ოფე წერს: „დერეგულაცია ეკონომიკურ პოლიტიკაზე უარის თქმა კი არ არის, არამედ თავად პოლიტიკა“.<sup>2</sup>

იგივე მოსაზრებას ავითარებს რ. ბოიერი<sup>3</sup> და სხვა ავტორები.

აღნიშნულ თეზისს ისინი იმით ასაბუთებენ, რომ გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმა ისეთივე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, როგორც მათი მხარდაჭერა. დერეგულირების გზით სახელმწიფო არსებითად ცვლის, როგორც სხვადასხვა ინდივიდებისა და ჯგუფების ცხოვრებისეულ შანსებს ისე სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების „საბაზრო შესაძლებლობებს“ (Market opportunities).

სახელმწიფოს ტრადიციული „ინტერვეციონიზმი“ გამოიხატება მის პროტექციონისტულ ან განაწილებით როლში, დერეგულირების შემთხვევაში კი საქმე გვაქვს სხვა ტიპის პროტექციონიზმთან. კერძოდ, ადგილი აქვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას შემდეგ სფეროებში: ა) სამართალში, ბ) კულტურაში, გ) ინდივიდთა სოციალიზაციაში. ამ დროს „კანონისა და წესრიგის“, „საკუთრებით

---

1. „ჩარევა ყოველთვის უსამართლო აქტია, რომელიც ვიღაცის მიმართ იძულებას გულისხმობს მესამე მხარის ინტერესის სასარგებლოდ“ აღნიშნავდა ა.ფ.ჰაიეკი – იხ.: Хайек А.Фон. Право, законодательство и свобода: Современное понимание принципов справедливости и политики. М.: ИРИЭН, 2006, გვ. 295.

2. Offe C. Modernity and the State: East, West. Cambridge: Polity Press, 1996, გვ.75-76.

3. Boyer R. State and Market: A New Engagement for the Twenty First Century? // States Against Markets: The Limits of Globalization // ed. by R. Boyer, D. Drache. London - New-York., 2008, გვ.109.

ინდივიდუალიზმის“ ფასეულობების საზოგადოებაში დამკვიდრება ითვლება ერთადერთ შესაძლებელ და თავისთავად ნაგულისხმევ ნორმად.

ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის დოქტრინაში, როგორც აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესია ეფექტიანობის კატეგორია. მიჩნეულია, რომ ბაზრიდან გამომდინარე ეფექტიანობა ავტომატურად უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას. ისეთი ცნებები, როგორცაა სოციალური სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, სოლიდარობა და ა.შ. ამ დოქტრინისათვის არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფასეულობებს. ლიბერალიზმის თანამედროვე მიმართულებას წარმოადგენს ლიბერტარიანიზმი, რომელიც ჩამოყალიბდა აშშ-ში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. ლიბერტარიანელთა აზრით, სახელმწიფო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ერეოდეს განაწილების პროცესში სოციალური სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. ამ თეორიის ერთ – ერთი ფუძემდებელი, ფილოსოფოსი ნოზიკი თავის ცნობილ წიგნში „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია“ წერს: „ჩვენ არ ვართ ბავშვები, რომლებსაც ვიღაცამ ნამცხვარი ცუდად გაუნაწილა და ახლა განაწილებისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებას ცდილობს. არც ერთ ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფს არა აქვს უფლება გაანაწილოს ყველა რესურსი, მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რამდენად მომჭირნედ უნდა გაიცეს ეს რესურსები ... თავისუფალ საზოგადოებაში სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა რესურსებს აკონტროლებენ“.<sup>1</sup> ლიბერტარიანელები თვლიან, რომ შესაძლებლობათა თანასწორობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოსავალთა თანასწორობა. შესაბამისად მთავრობამ უნდა გააძლიეროს ინდივიდთა უფლებები, რათა ყველას ჰქონდეს თავისი უნარის გამოვლენისა და წარმატების მიღწევის ერთნაირი შესაძლებლობა. თამაშის ასეთი წესების შემოღების შემდეგ მთავრობას აღარა აქვს იმის მიზეზი, რომ შემოსავლის საბოლოო განაწილება შეცვალოს.<sup>2</sup> ლიბერტარიანელებს გაფეტიმებული აქვთ ბაზრის თავისუფლების პრინციპი და მიიჩნევენ, რომ ბაზრის სუბიექტებზე უკეთესად არავინ

---

1. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008, გვ.421.

2. იქვე.

იცის თუ როგორ არის შესაძლებელი ეკონომიკის სწრაფი ზრდა და რისკების თავიდან აცილება. მათი აზრით, ბაზრები თვითონ წყვეტენ როგორც მათ მიერ წარმოშობილ, ისე მათ წინაშე მდგარ პრობლემებს. ისინი არ გამოირიცხავენ, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ბაზრის ფუნქციონირებაში სხვადასხვა „ჩავარდნას“, მაგრამ ამას, მათი აზრით, არ შეუძლია სისტემისთვის რაიმე სერიოზული საფრთხის შექმნა, რადგანაც ბაზრის ეს სუბიექტები თვითონ აკონტროლებენ ერთმანეთს. მაშასადამე, ლიბერტარიანელები ერთადერთ სახელმწიფო პოლიტიკას ცნობენ, რომელსაც დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა გ.ბრაუნმა „რბილი შეხების პოლიტიკა“ (Soft touch) უწოდა.<sup>1</sup>

### დერეგულირებიდან რეგულირებისაკენ დაბრუნება?

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრობლემებისადმი მიძღვნილ დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პლენარულ სხდომაზე (2010წლის 27 იანვარი) გამოსვლისას საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნ.სარკოზიმ პირდაპირ განაცხადა: „სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ყველაფერი საბოლოოდ დაინგრეოდა... ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ ბაზარი ყოველთვის მართალია და ამის საფუძველზე შეიქმნა სამყარო, სადაც ყველაფერს იღებდა ფინანსური კაპიტალი და თითქმის არაფერს – მშრომელი... ჩამოყალიბდა კაპიტალიზმი, სადაც სხვისი კაპიტალით თამაში ნორმალურია და დიდი ფულის შოვნა რაიმე განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშეცაა შესაძლებელი. ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა ისეთი მდგომარეობის შექმნა, რომელშიც ეკონომიკა ადამიანებისათვის იმუშავებს“<sup>2</sup> მართალია, ამ სიტყვების წარმოთქმიდან სულ ერთი თვის შემდეგ პოპულარულ ჟურნალ The Economist - ში გამოქვეყნდა სარკოზის კარიკატურა კ. მარქსის „კაპიტალით“ ხელში და თითქმის იმავდროულად მკაცრად იქნა გაკრიტიკებული როგორც ობამას ფართო სოციალური პროგრამები ისე ძლიერი ეკონომიკური ინტერვენციონიზმი, რის გამოც მას „სოციალისტი“ უწოდეს, მაგრამ ამასთანავე

1. ჟურნ. „Мировая экономика“, 2010, №2, გვ.16.

2. იგივე წყარო. გვ.19.

მსოფლიოს წამყვან მეცნიერ – ეკონომისტებში, ექსპერტებში, პოლიტიკურ–ეკონომიკური ელიტის წარმომადგენლებში სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს მოსაზრება, რომ ფუნდამენტალისტური საბაზრო იდეოლოგია უნდა შეიცვალოს ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის პარადიგმით, დერეგულირება კი რეგულირებით. პარადიგმის ასეთი მკვეთრი ცვლილება იმითაა გამოწვეული, რომ გლობალური ფინანსური კრიზისების წარმოშობის უმთავრეს მიზეზად ფინანსური ბაზრების დაუშვებლად დიდი ზომით დერეგულირება სახელდება. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მთელი ეკონომიკისა და განსაკუთრებით მისი ფინანსური სექტორის, ფინანსური ბაზრების ეროვნულ–სახელმწიფოებრივ და გლობალურ დონეებზე რეგულირების აღდგენის, მისი ახალი ფორმების, მეთოდების, ბერკეტებისა და მექანიზმების გამოყენების აუცილებლობა, რომელიც მიმართულია სისტემური რისკების შემცირებისაკენ. ამასთანავე ჯერ კიდევ გამოითქმის ეჭვი, რომ სახელმწიფო რეგულირება შესაძლოა თვითონ შეიცავდეს კიდევ უფრო დიდი რისკების წარმოშობის შესაძლებლობას.<sup>1</sup>

ამრიგად, სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ანალიზი, რომელიც საკუთარ თავში ისტორიულ რესტროსპექტივასაც მოიცავს, შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: მათი ურთიერთდაპირისპირება – „ან სახელმწიფო“ „ან ბაზარი“ – თეორიული თვალსაზრისით მცდარი, ხოლო პრაქტიკულ ასპექტში არაპროდუქტიულია. არც სახელმწიფოა ბაზარზე „უკეთესი“ და არც პირიქით. აუცილებელი შერეულ ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც დღეს არსებობს ინდუსტრიულად განვითარებული და პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში, გამოინახოს თითოეული მათგანის ოპტიმალური ნიშა, რა თქმა უნდა, ქვეყნის ისტორიული და სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. ბაზრისა და სახელმწიფოს ერთიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტკომუნისტური და ე.წ. ფორმირებადი ეკონომიკის მქონე

---

1 . Кругман П. Возвращение великой депрессии? Мировой кризис глазами нобелевского лауреата. М. 2009.

ქვეყნებისათვის, რომლებიც ცივილიზებული ბაზრის ჩამოყალიბების მეტ-ნაკლებად ადრეულ ეტაპზე იმყოფებიან.

### 1.3. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომელმაც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში მსოფლიოს განვითარების მაგისტრალური მიმართულება განსაზღვრა. ტრანსფორმაციაში სახელმწიფოს როლი განსაკუთრებულია, ვინაიდან ამ პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი პირდაპირ თუ ირიბად სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული.

განვიხილოთ პერიოდმა ნათლად გვიჩვენა იმ ეკონომისტების, პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწეების შეხედულებების მცდარობა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ პოსტკომუნისტურ სივრცეში ბაზრის ჩამოყალიბება თავისთავადი, დამოუკიდებელი პროცესია და არ საჭიროებს მასში სახელმწიფოს რაიმე მონაწილეობას. ასევე, მცდარი აღმოჩნდა მოსაზრება, რომ ბაზარი „ჯადოსნური ჯოხის“ მსგავსად თვითონ მოაგვარებს ყველა პრობლემას, ავტომატურ რეჟიმში წარმატებით გადაწყვეტს ქვეყნის წინაშე მდგარ ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.

გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს, იმ ფუნქციებთან ერთად, რომლებიც მისთვის დამახასიათებელია განვითარებულ საბაზრო სისტემაში, ახასიათებს რიგი სპეციფიკური ფუნქციები. ეს უკანასკნელი გარკვეული კრიტერიუმის საფუძველზე შესაძლებელია სამ ჯგუფად გაერთიანდეს: სისტემაწარმომქმნელი, სისტემაგანმამტკიცებელი და სისტემააღმწარმოებადი ფუნქციები. ჩვენი ამოცანაა დავახასიათოთ თითოეული მათგანის შინაარსი და როლი.

სისტემაწარმომქმნელი ფუნქცია მდგომარეობს საბაზრო ეკონომიკის მოქმედებაში მოყვანაში ანუ „სისტემის გაშვებაში.“ საქართველოს რეალურ სინამდვილეში ეს

ფუნქცია პირველ რიგში დაკავშირებული იყო სისტემურ ინსტიტუციურ გარდაქმნებთან, რომელშიც სახელმწიფოს უნდა მიეღო მონაწილეობა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაში:

- განსახელმწიფოებრივება და პრივატიზება;
- კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება;
- ახალი ბაზრის ადეკვატური „თამაშის წესების“ დამკვიდრება;
- საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.

განსახელმწიფოებრივება და განსაკუთრებით პრივატიზება სოციალიზმიდან მიღებული უარყოფითი მემკვიდრეობის დაძლევის და ქვეყნის დაჩქარებული განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.<sup>1</sup> ეს იმით აიხსნება, რომ:

- პრივატიზება საწარმოთა რესტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს მათი ეფექტიანობის გაზრდას;
- პრივატიზებულ (კერძო) საწარმოებს სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით დიდი უპირატესობა გააჩნია გასაღების ბაზრების, მათ შორის ახალი ბაზრების მოპოვების სფეროში;
- პრივატიზებულ საწარმოებს, თავიანთი მობულურობის წყალობით (განსაკუთრებით პროდუქციის რეალიზაციის სფეროში) უფრო სერიოზული შედეგების მიღება შეუძლიათ შრომითი დასაქმების სფეროში, ვიდრე სახელმწიფო საწარმოებს;
- პრივატიზებული საწარმოები უფრო ადვილად იზიდავენ უცხოურ კაპიტალს;
- პრივატიზებულ საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება გაცილებით მაღალია სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით.
- კერძო საწარმოს მესაკუთრე არის უნარიანი და გერგილიანი მეწარმე, რომელსაც შეუძლია თავისი კომპეტენციისა და მონდომების წყალობით მეტი სარგებლობა მოუტანოს ფირმას.

---

1. ჯიბუტი ა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგები საქართველოში. თბ., 2012.გვ.10.



ამ ტიპის მესაკუთრისათვის საქმიანობის ერთადერთ მოტივს მხოლოდ ფულის შოვნა როდი წარმოადგენს. მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი ღირსების გრძნობას, რომლის განმტკიცებასაც იგი აღწევს ფირმის წარმატებული საქმიანობით.

საქართველოში, როგორც ცნობილია, სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრივება ძირითადად განხორციელდა პრივატიზების ფორმით, რომელმაც რამდენიმე ეტაპი განვლო „მცირე პრივატიზებიდან“ დაწყებული „დიდი პრივატიზებით“ დამთავრებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ისე როგორც რიგ სხვა პოსტსაბჭოურ (პოსტკომუნისტურ) ქვეყნებში პრივატიზება მიმდინარეობდა ე.წ. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში ამ პროცესის დასრულების ფონზე. კერძოდ, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1980–იანი წლების ბოლოს და 1990–იანი წლების დასაწყისში ოცდარვა განვითარებად ქვეყანაში პრივატიზებული იქნა 3975 სახელმწიფო საწარმო. მაგალითად ჩილეში კერძო პირთა ხელში გადავიდა 37 საწარმო, ბრაზილიაში – 29, სინგაპურში – 15, მექსიკაში – 10, სამხრეთ კორეაში–7 და ა.შ.<sup>1</sup> პრივატიზება ასევე მიდინარეობდა დასავლეთ ევროპის ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიაც.

დასავლეთ ევროპისა და განვითარებადი სამყაროს ქვეყნებში პრივატიზება მიზნად ისახავდა სამი მთავარი ამოცანის გადაჭრას: პირველი, პრივატიზებულ საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლება; მეორე, კაპიტალის მოზიდვა და მესამე, კონკრეტული გარემოს შექმნა.

საქართველოში განხორციელებული პრივატიზება ემსახურებოდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური მიზნების მიღწევასაც. კერძოდ, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების დემონტაჟს და ახლის შექმნას. წინა პლანზე წამოწეული იყო კერძო მესაკუთრისა და კერძო მეწარმის ჩამოყალიბების ამოცანა, რომლებსაც საბაზრო ეკონომიკისა და პოლიტიკური დემოკრატიის ფორმირების პროცესისათვის შეუქცეველი ხასიათი უნდა მიენიჭებინა.

---

1. Тенденции мирового развития. Отчет Мирового Банка. М., 1999, гл. 47.

ჩვენს ქვეყანაში პრივატიზების პირველი ეტაპი განხორციელდა საყოველთაო ვაუჩერიზაციის გზით, რომელიც კარგად იყო ცნობილი და ფართოდ აპრობირებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. ამ ტიპის პრივატიზების ეფექტი განიხილებოდა ორ ასპექტში – ეკონომიკურსა და სოციალურში. ეკონომიკურში იგულისხმებოდა სახელმწიფო საწარმოების კერძო მესაკუთრეთა ხელში გადაცემა იმ პირობებში, როცა ადგილი ჰქონდა სამამულო კაპიტალის დეფიციტს და ამ საწარმოთა მიმართ უცხოური კაპიტალის დაუინტერესებლობას. რეზიდენტ სამეურნეო სუბიექტებს შეეძლოთ ყოფილი სახელმწიფო საკუთრების უფასოდ მიღება ან სიმბოლურ ფასად შექმნა. სოციალური თვალსაზრისით, ვაუჩერებით პრივატიზება ემსახურებოდა სოციალური სამართლიანობის მიღწევის მიზანს. საბოლოო ჯამში, პრივატიზების ძირითადი მიზანი იყო ეფექტიან მესაკუთრეთა მოძებნა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ვაუჩერულმა პრივატიზებამ ნაკლებად შეძლო მის წინაშე დასახული ამოცანების შესრულება. სამწუხაროდ, ამ გზით ვერც ეფექტიანი მესაკუთრის პოვნა მოხერხდა და ვერც სოციალური სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა, კერძოდ:

ა. ვერ მოხერხდა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება;

ბ. ვაუჩერული პრივატიზება მიმდინარეობდა მოსახლეობის მასობრივი გაღარიბების პირობებში, რის გამოც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა თავისი კუთვნილი ვაუჩერები „ჩალის ფასად“ გაყიდა სტიქიურ ბაზრზე ან სასურსათო პროდუქტებზე გაცვალა. პრივატიზებული საწარმოების მესაკუთრეთა უმეტესმა ნაწილმა ეს საწარმოები კი არ აამოქმედა არამედ დაშალა და ჯართად გაყიდა ან „დააკონსერვა“, მომავალში მათი უფრო სარფიანად გაყიდვის იმედით.

იმის მიუხედავად, რომ არ დამყარებულა პირდაპირი დადებითი კორელაცია ეკონომიკურ ეფექტიანობის ამაღლებასა და საკუთრების ტიპის შეცვლას შორის, ვაუჩერულმა პრივატიზებამ, ჩვენი აზრით, მაინც დადებითი როლი ითამაშა. ეს იმაში გამოიხატა, რომ შეიქმნა კერძო საკუთრების ინსტიტუტი, როგორც საბაზრო

ეკონომიკის ფუნქციონირების საფუძველი. აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო, რაშიაც ნათლად გამოვლინდა მისი სისტემაწარმომქმნელი ფუნქცია.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციული პერიოდის სახელმწიფოს მეორე მნიშვნელოვანი სისტემაწარმომქმნელი ფუნქცია მდგომარეობს ქვეყანაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. ეს მეტად რთული ფუნქციაა, რადგან მისი რეალიზება უნდა მომხდარიყო ტოტალურად მონოპოლიზებული, ცენტრალიზებულ-გეგმიანი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური საბჭოური ეკონომიკური სისტემის მძიმე მემკვიდრეობის პირობებში.<sup>1</sup>

კონკურენციის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმირება საქართველოში დაიწყო 1992 წლიდან და რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს – 1992 წლიდან 1996 წლის პირველ ნახევრამდე. კერძოდ, 1992 წლის 17 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული იქნა დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.“ ეს იყო პირველი საკონკურენციო სამართლებრივი აქტი, რომლის მთავარი დანიშნულება მდგომარეობდა პირველადი სამეურნეო ერთეულების ( საწარმოების, ფირმების) ეკონომიკური თავისუფლების დაცვაში სახალხო მეურნეობის რეორგანიზაციის პროცესში. 1992 წლის 16 ოქტომბერს სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებული იქნა „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“ დეკრეტი, რომელმაც განსაზღვრა კონკურენციის განვითარების, მონოპოლიური საქმიანობისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შეზღუდვისა და თავიდან აცილების ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების ფუნქცია დაეკისრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს,

---

1. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბ., 2007; ფეტელავა ს. მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე. თბ., 2007; გოგიაშვილი შ. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა. თბ., 2009.

რომელიც მას ასრულებდა ანტიმონოპოლიური სამმართველოს საშუალებით. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის პირველი ეტაპი დაემთხვა მასობრივი პრივატიზების პროცესს, რაც კიდევ უფრო ამადლებდა კონკურენციის დამცველი ორგანოს პასუხისმგებლობას ახალი მონოპოლიური წარმონაქმნების დაუშვებლობისა და ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს შექმნის მიმართ.

მეორე ეტაპი მოიცავს 1996 წლის მეორე ნახევრიდან 2002 წლის პირველ ნახევრამდე განვლილ პერიოდს. მას უკავშირდება შედარებით უფრო მაღალი დამოუკიდებლობის მქონე ანტიმონოპოლიური ორგანოს – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ჩამოყალიბება და მნიშვნელოვანი კანონების მიღება: „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (1996წ.) და „კონკურენციის შესახებ“ (1998წ.) ამავე პერიოდში (1997–2000წწ.) ფაქტობრივად დასრულდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისათვის აუცილებელი ბაზის შექმნის პროცესი, რამაც საშუალება მისცა საქართველოს ანტიმონოპოლიურ სამსახურს სრული დატვირთვით დაეწყო მუშაობა.

მესამე ეტაპი მოიცავს პერიოდს 2002 წლის მეორე ნახევრიდან 2004 წლის ოქტომბრამდე. მისთვის დამახასიათებელი იყო ერთობლივი ცენტრალიზებული კონკურენციული პოლიტიკის დარგობრივ ჭრილში დანაწევრების დაწყება, რასაც საფუძველი ჩაუყარა „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შესახებ“ საქართველოს კანონის (2002 წლის 13 სექტემბერი) მიღებამ.

მეოთხე ეტაპი იწყება 2004 წლის დეკემბრიდან და ფაქტობრივად ეს არის საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის ნგრევის პროცესი. უარი ითქვა 1992 წლიდან მომდინარე საკონკურენციო პოლიტიკაზე და მიმდინარეობდა მუშაობა პრინციპულად განსხვავებულ ხედვაზე დამყარებულ საკონკურენციო სამართლის შემუშავებაზე. პროცესი ფაქტობრივად დასრულდა 2005 წლის 3 ივნისს „თავისუფალი

ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, რომელმაც გააუქმა ქვეყანაში მანამდე მოქმედი ყველა საკონკურენციო სამართლის ნორმა შესაბამის ინსტიტუტებთან ერთად და დასაბამი მისცა ევროკავშირისა და აშშ კანონმდებლობისაგან პრინციპულად განსხვავებული საკონკურენციო სამართლის ნორმების ამოქმედებას.

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სისტემაწარმომქმნელი ფუნქცია გარდამავალ პერიოდში გამოიხატება სამეურნეო საქმიანობის მომწესრიგებელი „თამაშის წესების“ განსაზღვრაში. ეს უკანასკნელი გულისხმობს საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნას. ამ ამოცანის გადაწყვეტა სახელმწიფოს უხდება ისეთ სიტუაციაში, როცა აღნიშნული პირობები ან საერთოდ არ არსებობს ან არსებობს სრულიად საპირისპირო სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარემო. მაშასადამე, აქ საუბარია იმაზე, რომ სახელმწიფოს უწევს ახალი, ძველისაგან რადიკალურად განსხვავებული თამაშის წესების „მოქმედებაში გაშვება.“ ეს წესები პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებიდან გამომდინარე მოთხოვნებს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიული განვითარების, მოსახლეობის მენტალიტეტის, ტრადიციების და ა.შ. გათვალისწინება. „თამაშის წესების“ ცხოვრებაში მყარად დამკვიდრების მნიშვნელოვანი პირობა მათი მოქნილობის მაღალი ხარისხია, რასაც პირდაპირ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და გააქტიურების პროცესი.

სამეურნეო კანონმდებლობის მოწესრიგებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გადაჭრას მოითხოვს. კერძოდ:

- აუცილებელია მეწარმეობის მარეგულირებელი საერთო სახელმწიფო და ადგილობრივი ბაზის ერთმანეთისგან მკვეთრი გამიჯვნა;

- უნდა განხორციელდეს უწყებრივი ნორმატიული აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი მათ შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრის მიზნით;
- უნდა ამაღლდეს არსებული კანონმდებლობების სტაბილურობა და გამოირიცხოს მასში ურთიერთსაწინააღმდეგო და გამომრიცხავი ცვლილებების ხშირი შეტანა.

სახელმწიფოს კიდევ ერთი სისტემაწარმომქმნელი ფუნქციაა საბაზრო ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აქ ჩვენ ვგულისხმობთ: ინოვაციური, ინვესტიციური, იპოთეკური, აგრალური სპეციალიზაციის ბანკების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის სფეროში ურთიერთდაკრედიტების დაწესებულებების, საპენსიო და სადაზღვევო ფონდების, საფონდო, სასაქონლო, სავალუტო, შრომის ბირჟების ჩამოყალიბებისადმი ორგანიზაციულ და მატერიალურ-ფინანსურ მხარდაჭერას. ინფრასტრუქტურის აქ ჩამოთვლილი ელემენტებიდან ზოგიერთი საქართველოში უკვე შეიქმნა და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს, ზოგიერთი კი (მაგალითად, ბირჟები, საპენსიო ფონდები) ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საფონდო ბირჟების ფორმირება და სრულფასოვანი ფუნქციონირების დაწყება, რომლის გარეშეც არ არსებობს ჭეშმარიტი საბაზრო ეკონომიკა. ამ მიზნით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- საფონდო ბირჟის სტაბილურობისა და ინვესტორთა ინტერესების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფელი სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შექმნა;
- მსოფლიო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოებული განვითარებული საფონდო ბაზრის ჩამოყალიბება;
- საფონდო ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- დეპოზიტარულ-კლირინგული კომპანიების შექმნა და მათი საშუალებით ფინანსური, მათ შორის უცხოური, სახსრების მოზიდვა;

- კოლექტიური ინვესტირების ფორმის, პირველ რიგში საპაიო ინვესტიციური ფონდების შექმნა.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალ პერიოდში შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოს სისტემაგანმამტკიცებელი ფუნქციები. ამ ცნების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ სახელმწიფოს მხრიდან იმ პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი საბაზრო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას მისთვის ადეკვატურ მატერიალურ საფუძველზე. პირველ რიგში იგულისხმება ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებთან, ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებთან და აქედან გამომდინარე საქართველოს გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ფუნქციის ცვლილებასთან შესაბამისობაში მოყვანა. განვლილი წლების მანძილზე საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაცია განხორციელდა ენერგეტიკის, მომსახურების სფეროს (უპირველეს ყოვლისა – ფინანსური მომსახურების), ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის პრიორიტეტული განვითარების მიმართულებით, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებს. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში სოფლის მეურნეობის მიმართ დამოკიდებულება საგრძნობლად იცვლება.

სტრუქტურული ცვლილებების აუცილებელი პირობაა ახალი ინვესტიციები. საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ინვესტიციების ძირითადი წყაროა დანაზოგები. საქართველოში ამჟამად არსებული საკმაოდ რთული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, სამამულო ფირმებსა და ადგილობრივ მოსახლეობას არ გააჩნია ინვესტირებისთვის საჭირო დანაზოგები. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი უცხოურ ინვესტიციებშია. საქართველოში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს წინააღმდეგობრივი დინამიკა ახასიათებს. 2004 წლიდან 2008 წლამდე მათი მოცულობა განუხრელად იზრდებოდა და მაქსიმალურ სიდიდეს მიაღწია 2007 წელს (2014.8 მლნ.დოლარი) 2004 წელს 499.1მლნ.დოლარის ნაცვლად. 2008 წელს ცნობილი მიზეზების გამო (აგვისტოს ომი, გლობალური ფინანსურ–ეკონომიკური

კრიზისი) პუი-ების მოცულობა შემცირდა წინა წელთან შედარებით და შეადგინა 1564.0 მლნ.დოლარი. 2009 წელს კი ადგილი ჰქონდა მკვეთრ ვარდნას (658.4 მლნ.დოლარი). 2010 და 2011 წლებში კვლავ დაიწყო პუი-ების მატება (814.5 მლნ და 960.6 მლნ. დოლარი)<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვლოვანესი ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს ეროვნულ ეკონომიკაში პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას. ეს უკანასკნელი შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მოწინავე ტექნოლოგიებსა და რევოლუციური შინაარსის მქონე სამეცნიერო კვლევებსა და საცდელი საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ორიენტირებული სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარებით.

აქვე შევნიშნავთ, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მსგავსი გამოცდილება უკვე არსებობს. მაგალითად: გერმანიაში მოქმედებს „ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დარგში ახალი პროექტების მხარდამჭერი პროგრამა“, საფრანგეთში – „სამეცნიერო კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავების, ტექნოლოგიური განვითარების ორიენტაციისა და პროგრამირების“ კანონი, აშშ-ში მოქმედებს ე.წ. „ტექნიკური გარღვევის პოლიტიკა“ და სხვ.

იმ განსხვავებული სტრატეგიებიდან, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს აღნიშნულ სფეროში, ჩვენი აზრით, ყველაზე მისაღებია „მოწინავე პოზიციების“ სტრატეგიის გამოყენება. იგი გულისხმობს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის უახლეს მიღწევათა გამოყენებას ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად, აყალიბებს მათზე მოთხოვნას და შესაბამის ბაზრებს.

პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციულ პერიოდში სახელმწიფოს სისტემაგანმა-მტკიცებელი ფუნქციის რეალიზების ერთ-ერთი მიმართულებაა საწარმოების (ფირმების) ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მართვის მექანიზმების შესაბამისობაში მოყვანა წარმოების საბაზრო ორგანიზაციის ფუნდამენტურ მოთხოვნებთან.

---

1. საქსტატის მონაცემები.



სხვაგვარად რომ ვთქვათ, აუცილებელია შიდა საფირმო ორგანიზაციისა და რგოლების იმგვარი მოდერნიზაცია, რომელიც სრულ შესატყვისობაში აღმოჩნდება ზოგადად აღიარებულ საბაზრო სტანდარტებთან. ყოველივე ამის განსახორციელებლად აუცილებელია მეწარმეობისადმი აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ხელსაყრელი სამეწარმეო კლიმატის (გარემოს) შექმნას. სამეწარმეო გარემოს მრავალი ფაქტორი აყალიბებს: პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი სტაბილურობა; ხელსაყრელი საგადასახადო და საკრედიტო რეჟიმი; საბაზრო-სამეურნეო ბრუნვაში წარმოების ყველა ფაქტორის აქტიური ჩართვა; ბაზარზე ახალი სუბიექტების შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის პროცედურების გამარტივება კონკურენციის წახალისების საშუალებით; საწარმოო-სამეურნეო, სოციალური, ინსტიტუციური და საბაზრო ინფრასტრუქტურების განვითარების მხარდაჭერა; სამეწარმეო საქმიანობის მიმართ კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და ა.შ.

ამგვარად, ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილი და განხილული სახელმწიფოს სისტემაწარმომქმნელი და სისტემაგანმამტკიცებელი ფუნქციები მეტად მნიშვნელოვანია ტრანსფორმირებადი (გარდამავალი) ეკონომიკისათვის, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია გარდაქმნის პროცესებისათვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭება და ამ საქმეში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა. უკვე ჩამოყალიბებული საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისათვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭება. ეკონომიკის მყარი და მაღალი ტემპებით ზრდის უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოს სისტემააღწარმოებადი ფუნქცია. მისი რეალიზებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ადამიანური რესურსების კონსოლიდაცია შესაბამისი ფორმების, მეთოდებისა და მექანიზმების საფუძველზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ სახელმწიფოს სისტემააღწარმოებადი ფუნქცია ფართო შინაარსისაა და არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკით.

გარდამავალ ეკონომიკაში სამეურნეო (ეკონომიკური) ძალაუფლების მატარებელ მნიშვნელოვან სუბიექტად მეწარმეობა და მეწარმე გვევლინება. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს სისტემააღწარმოებადი ფუნქცია მდგომარეობს პოლიტიკური და სამეურნეო(ეკონომიკური) ძალაუფლების ეფექტიანი ურთიერთზემოქმედების უზრუნველყოფაში. ყველა სხვა ქვეფუნქცია ამ აუცილებლობიდან გამომდინარეობს და მისითაა დეტერმინირებული. მეწარმის, როგორც სამეურნეო ძალაუფლების მატარებელი სუბიექტისა და სახელმწიფო სტრუქტურების, როგორც პოლიტიკური (საჯარო) ძალაუფლების მატარებლის ანალიზი გვიჩვენებს მათ შორის კავშირსაც მათი ურთიერთგანპირობებულობის თვალსაზრისით და წინააღმდეგობასაც. ერთი შეხედვით, სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესები არა თუ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ დაპირისპირებულიცაა: მეწარმეობის (მეწარმის) მთავარი მიზანი მოგებაა, სახელმწიფოსი კი – მისი ყველა წევრის კეთილდღეობა. მაშასადამე, მეწარმეთა მიზანს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური, ხოლო სახელმწიფო მიზანს ასევე მკვეთრად გამოხატული საზოგადოებრივი ხასიათი გააჩნია. ცალკეული ინდივიდუალური მიზნები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს და საზოგადოებრივ მიზნებს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ცალკეული ეკონომიკური ინტერესების დაბალანსება და საზოგადოებრივ ინტერესებთან შესაბამისობაში მოყვანა. ეს უკანასკნელი კი თავისთავად გულისხმობს ხელისუფლებისა და ბიზნესის თანამშრომლობას ზემოაღნიშნული წინააღმდეგობების შერბილებისა და მოხსნის მიზნით. აქვე იგულისხმება, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეწყოს ხელი მეწარმეობას ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი ლატენტური ფუნქციების შესრულებაში. მათ შორის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია ინოვაციური ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ დამატებით მოგებას მეწარმისათვის, არამედ ამასთანავე ხელს უწყობს მთელი ეროვნული ეკონომიკის თვისობრივ ზრდას და გლობალურ ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მეწარმეობის განვითარებასთან უშუალო კავშირშია სახელმწიფოს ისეთი სისტემააღწარმოებადი პოლიტიკა, რომელიც რეალიზდება სტრატეგიული ხასიათის

მქონე სამრეწველო, სტრუქტურულ-ინვესტიციური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში.

ამრიგად, არსებობს სახელმწიფოს და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების მრავალი სფერო, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მათგანის ადგილისა და როლის განსაზღვრას საზოგადოებრივ პროცესებში. ეს ურთიერთდამოკიდებულება ასევე მოითხოვს სახელმწიფო მართვის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელებას, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- სახელმწიფოს ადმინისტრაციული პოტენციალის საგრძნობი გაძლიერება და სახელმწიფო აპარატის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის რეფორმირება და სახელმწიფო მართვის თანამედროვე სისტემის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების მოწინავე გამოცდილებას, ისე საქართველოს კონკრეტულ პირობებს, მოცემული ეტაპის სპეციფიკას.
- სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირების თანამედროვე მეთოდური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც დაემყარება ეფექტიანი მმართველობითი ტექნოლოგიებისა და ხერხების ათვისებას;
- მართვის შემდგომი დემოკრატიზაცია და ოპტიმიზაცია მისი უფრო მოქნილი და ეფექტიანი, თანამედროვე მოთხოვნების ადეკვატური მოდელის შემუშავება;
- მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში, სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურების გამჭვირვალობა;
- სახელმწიფო მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების თანამედროვე ინფორმაციული სისტემების გამოყენება;
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ბალანსის დადგენა და დაცვა, სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურებისა და საზოგადოების ურთიერთობის მოქნილი მექანიზმების შექმნა;

- ხელისუფლების ყველა დონის საქმიანობაზე კონტროლის უზრუნველყოფა, რამაც უნდა გამორიცხოს ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, კორუფცია და სხვა ნეგატიური მოვლენები.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ქვეყნის ისტორიულ წარმატებებს განაპირობებს არა იმდენად ბუნებრივი რესურსები და ტექნოლოგიები, არამედ უპირველეს ყოვლისა მართვის ეფექტიანობა, რომლის უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს მაღალპროფესიულმა, მოწინავე მმართველობითი კულტურის მქონე კადრებმა, რომლებსაც შესწევთ უნარი არსებითად გაზარდონ ქვეყნის მმართველობითი პოტენციალის თვისობრივი დონე და კარდინალურად გააუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვის ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია: მმართველთა როლის გაძლიერება, მათი პროფესიული ზრდა და სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელთა მენეჯერული ჩვევების განვითარება; ხელმძღვანელთა მუშობის შეფასებისადმი საერთო კონცეპტუალური მიდგომის უზრუნველყოფა, მათი სტიმულირების სისტემის დახვეწა; სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის ხელშეწყობისა და აუცილებელი პროფესიული სტანდარტების მიღწევისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება (კანონმდებლობა, მონაცემთა ბაზები, სასწავლო-მეთოდური ცენტრები და სხვ.); თანამედროვე ტიპის სახელმწიფო მოხელეთა მომზადება, მათი შემდგომი ფართომასშტაბიანი და სისტემატური გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი სისტემის შექმნა-განვითარება, რომელიც ორიენტირებული იქნება პროფესიონალი მართველის – ფართო პროფილის ადმინისტრატორის ტიპის ჩამოყალიბებაზე; უმაღლეს ადმინისტრაციულ პერსონალთან მუშობის ფორმებისა და მეთოდების სისტემატური დახვეწა, მათი საკონსულტაციო-მეთოდური მხარდაჭერის ამაღლება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი მართვის სისტემის მოდერნიზაციას, მისი მოქნილობისა და ოპერატიულობის ზრდას, ინოვაციური პოცენციალის ამაღლებასა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას; სახელმწიფო მოხელეთა სწავლების მეთოდებისა და სასწავლო მასალების სრულყოფა, ახალი

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება; სახელმწიფო მოხელეთა მომზადების(სწავლების) სახელმწიფო შეკვეთების სისტემის შექმნა; სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მუშაობის ფართოდ გაშლა სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შემუშავებისათვის თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი გახდება ახლებურად მოაზროვნე, ბიზნესსა და საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული, მაღალი მმართველობითი კულტურის მქონე თანამედროვე ტიპის მოხელეთა თანმიმდევრული ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ბიუროკრატის ტრანსფორმაციის პროცესის დაჩქარებას და ქვეყანაში შექმნის ბიზნესისათვის(მეწარმეობისათვის) ხელშემწყობ გარემოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობას, რაც ორი მნიშვნელოვანი მიზეზითაა გამოწვეული. ჯერ-ერთი, საქართველოში ეს პროცესი აშკარად სუსტია, თვალშისაცემია ლოკალურ დონეებზე კომპეტენტური, პროფესიონალი მოხელეების ნაკლებობა, არ არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა პროფესიული მომზადების სისტემა. მეორე, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს აქვთ უშუალო და პირდაპირი კონტაქტი მცირე მეწარმეებთან და ამდენად მათი კეთილსინდისიერი და კომპეტენტურობა დიდი დოზით განსაზღვრავს ამ სფეროს წარმატებას თუ წარუმატებლობას.

#### 1.4. სახელმწიფო როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე თანამედროვე პირობებში ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი ზემოქმედებს: გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების (ეკონომიკის) ჩამოყალიბება. პირველი გამოიხატება იმაში, რომ საგრძნობლად იზრდება როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ისე მათი დამოკიდებულება ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) ინსტიტუტებზე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ზღუდავს ეროვნულ მთავრობათა სუვერენიტეტის ხარისხს, ავიწროებს მათი ავტონომიურობის სივრცეს და წარმოშობს ცალკეულ ქვეყნებში მარეგულირებელ ღონისძიებათა უნიფიცირებისა და შეთანხმების აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გლობალიზაციის ეპოქაში მიმდინარეობს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესუსტება და უფრო მეტიც – სახელმწიფოს კვდომა? ამ თეზისს არც თუ ისე ცოტა მომხრე ჰყავს სამეცნიერო წრეებში, რომლებიც სხვადასხვა არგუმენტის გამოყენებით ცდილობენ მის დასაბუთებას<sup>1</sup> რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრებები რეალობას?

როგორც ცნობილია, თანამედროვე სახელმწიფოს ისტორია, რომელიც ვესტფალის სისტემიდან იწყება, რამდენიმე ისტორიული ეტაპის მომცველია. პირველ ეტაპზე (XVI-XVII საუკუნეები) განხორციელდა სახელმწიფოს, როგორც ძალადობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და უმაღლესი სახელისუფლებო ძალაუფლების გადასვლა სასულიერო ფენიდან საერო ფენის ხელში. მეორე ეტაპი უკავშირდება XVIII საუკუნის ევროპაში პირველი რესპუბლიკის წარმოქმნას და ხელისუფლების დაყოფას, პირველ

---

1. Ohme K. The Bordless Word: Power and Strategy in the Inerlinked Economy. Montana, 1990; Badie B. La Findes Territories. Paris, 1995; Кочетов Э. Глобалистика: теория, методология, практика. М., 2002; Кастельс М. Масштаб игры. „Экономические стратегии.“ 2003, №3, გვ. 30 და სხვ.

კონსტიტუციებს და ადამიანის უფლებათა იდეის აღმოცენებას; მესამე ეტაპი მოიცავს XIX საუკუნეს, რომელიც გამოირჩეოდა კოლონიური სახელმწიფოების წარმოშობით, მსოფლიოს დაყოფით მეტროპოლიებად და კოლონიებად; მეოთხე ეტაპზე (XX საუკუნე) დაიწყო სტიქიურად ფუნქციონირებადი ბაზრის სახელმწიფო რეგულირება და სახელმწიფოს სოციალიზაცია; მეხუთე ეტაპი – XXI საუკუნის დასაწყისია, როცა გლობალიზაციის პროცესების ინტენსიურად განვითარების შედეგად დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისა და პერსპექტივის პრობლემა.

ფართო გაგებით, სახელმწიფო, როგორც სოციუმი, საკუთარ თავში მოიცავს: 1.სახელმწიფოს, საკუთარი აზრით, ანუ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა; 2. საზოგადოებას და 3. ბაზარს. ეს ორი უკანასკნელი თავის მხრივ მრავალი სოციალურ–ეკონომიკური სუბიექტისგან შედგება, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით „აქ“ და „ახლავე.“ მათგან განსხვავებით სახელმწიფო მოწოდებულია შეასრულოს ქვეყნის ერთიანობის „ხერხემლის“ როლი, უზრუნველყოს საზოგადოებრივ–ეკონომიკური ცხოვრების სტაბილურობა და უწყვეტი განვითარება. ნებისმიერ ქვეყანაში, მათი განვითარების დონის მიუხედავად, ბევრი პრობლემაა, რომლის დამოუკიდებლად გადაწყვეტა არც ბაზარს შეუძლია, არც საზოგადოებას და იგი მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. მართალია, საყოველთაოდაა აღიარებული ბაზრის როლი ცივილიზაციის განვითარებაში, მაგრამ ის არ არის ყოვლისშემძლე ფენომენი და ყველა პრობლემის პანაცეა. რეალურ ცხოვრებაში მრავალი ისეთი „სტანდარტული“ სიტუაციაა, როცა ბაზარი შეცდომებს უშვებს, რასაც ეკონომიკურ თეორიაში „ბაზრის ჩავარდნებს“ ან „ბაზრის ფიასკოს“ უწოდებენ. ასეთ ჩავარდნის ზონებში ხშირად ექცევა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება–განვითარებისათვის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მეცნიერება, განათლება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა.

სახელმწიფო განსაზღვრავს და იცავს იმ ზოგად კონტექსტს, რომელშიაც ბაზარი თვითრეგულირდება. ამის გარეშე, თავის დროზე, შეუძლებელი იქნებოდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და მისთვის ცივილიზებული ფორმების მინიჭება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი ასპექტია მათი თანამშრომლობა, რომელიც იძლევა მკაცრი და სწრაფად ცვალებადი მეგა და მაკრო გარემოსადმი ეკონომიკური აგენტების უმტკივნეულო ადაპტაციის შესაძლებლობას, ახალისებს კონკურენციას და ინოვაციებს. ყალიბდება მართვის ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ავსებს და აწესრიგებს ბაზარს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა არ ამოწურავს მრავალმხრივ და რთულ ურთიერთკავშირს სახელმწიფოსა და ბაზარს შორის განვითარებულ ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სისტემაში. დღეს უაღრესად აქტუალურია ის გარემოება, რომ თანამედროვე სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის გარეთ და „ზევიდან კი არ უყურებს“ ბაზარს, არამედ ორგანულადაა ჩაშენებული ბაზარში, წარმოადგენს ბაზრის აქტიურ მოთამაშეს, რომელიც პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესთა რეალიზაციაზე. ამავე დროს იგი არსებითად განსხვავდება ბაზრის სხვა მოთამაშეებისაგან იმით, რომ ორიეტირებულია არა ინდივიდუალურ სარგებლიანობაზე (მოგებაზე), არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ–ეკონომიკური სარგებლიანობის მაქსიმალიზაციაზე.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მის შემდეგ ფუნქციებში რეალიზდება:

- წარმოების რეგულირება იმ დარგებში, რომლებშიც წარმოიშობა ბუნებრივი მონოპოლის პირობები (ელექტროენერჯის წარმოება და განაწილება, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალმომარაგება და ა.შ.);
- საბაზრო ეკონომიკის არახელსაყრელი სოციალური შედეგების კორექტირება, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას, უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდას;
- ეკონომიკის სტაბილიზაცია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ეკონომიკა კრიზისული დაცემისა და ფასების ინფლაციური ზრდისაგან.



როგორც ჩამონათვალისგან ვხედავთ, ეს არის ფუნქციები, რომლებიც ახასიათებს სახელმწიფოს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის (ინდუსტრიული ტიპის) ქვეყნებში. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში იცვლება მხოლოდ მათი განხორციელების წესები და ფორმები.

ევროკავშირის თანამედროვე რეალობა ადასტურებს, რომ ადგილი აქვს ეროვნული სახელმწიფოს ზოგიერთი სუვერენული ფუნქციის გადაცემას ამ უდიდესი რეგიონული გაერთიანების დონეზე: მაგალითად, ფულად საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პარამეტრს ევროპის ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს. ამასთანავე, ევროკავშირში ამჟამად შექმნილი რთული სიტუაციის მიუხედავად ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ზეეროვნულ(ზესახელმწიფო) დონეზე ფისკალურ უფლებამოსილებათა დელეგირებას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გლობალიზაცია თავად წარმოშობს რიგ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგალითად, მიგრაციის რეგულირების, ნარკოტრაფიკის, ტერორიზმის გავრცელების, „შავი ფულის გათეთრების“, ტრანსნაციონალურ კომპანიებზე კონტროლის დაწესების და სხვ. ).

პოსტინდუსტრიული სახელმწიფო ნებისმიერ თავის გამოხატულებაში სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა და განსხვავება ცალკეული ქვეყნების მიხედვით ამ „სოციალურობის“ მხოლოდ ხარისხშია.

სოციალური თანასწორობის ან უთანასწორობის ხარისხზე ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლების ურთიერთშედარების საფუძველზე. პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოებში შემოსავლების განაწილებაში მიღწეული თანასწორობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი უზრუნველყოფს საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას, იცავს მას ძლიერი რყევებისა და რევოლუციებისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით, უთანასწორობის შემცირება სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდის აუცილებელი პირობაა, რომელიც თავის მხრივ ასტიმულირებს წარმოებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შემოსავლების განაწილებაში გარკვეული თანასწორობის მიღწევა, ბევრი მკვლევარის მიერ განიხილება, როგორც მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, შესაბამისად ადამიანი-კაპიტალის დაგროვების, მცირე მეწარმეობის განვითარების პირობა, რასაც, როგორც უკვე დავინახეთ, წამყვანი როლი აკისრია თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღნიშნულ საკითხს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც გააჩნია. კერძოდ: განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეულ დანახარჯებს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პიროვნების, როგორც დამოუკიდებელი ფასეულობისა და უმნიშვნელოვანესი საწარმოო ფაქტორის განვითარების თვალსაზრისით. მისი მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ იგი ხელს უწყობს მოსახლეობის ინდივიდუალური შემოსავლების გამოთანაბრებას. ადამიანი-კაპიტალის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, ეკონომისტი თ. შულცი ამის შესახებ წერდა: „ვინაიდან ჩვეულებრივი კაპიტალიდან (შემოსავლების მომტანი საკუთრებიდან) მიღებული პირადი შემოსავლების განაწილება გაცილებით უფრო უთანაბროა, ვიდრე ადამიანი-კაპიტალიდან მიღებული შემოსავლების და რადგანაც ადამიანი-კაპიტალის მარაგი გაცილებით სწრაფად იზრდება ჩვეულებრივ კაპიტალთან შედარებით, სხვა თანაბარ პირობებში, პირადი შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობა ყოველივე ამის გამო მცირდება“.<sup>1</sup>

შემოსავლების დიფერენციაციის ხარისხის გამზომ სინთეზურ მაჩვენებელს წარმოადგენს ჯინის კოეფიციენტი. ევროპის ქვეყნებში ახალი ათასწლეულის დასაწყისში იგი მერყეობდა 25–35 პროცენტის ფარგლებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა შვედეთს ანუ აქ შემოსავლები ყველაზე თანაბრად იყო

---

1. Scholtz T. Human Capital: Polici Issues and Reseaerch Opportunities. N. Y., 1972, გვ.25.

განაწილებული საზოგადოებაში. იმავე დროს, ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებში, მაგალითად, დიდი ბრიტანეთსა და აშშ-ში, იგი შედარებით მაღალი იყო (აშშ-ში 40 პროცენტი).<sup>1</sup> ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ სოციალური უთანასწორობის საკითხი ევროპელებს გაცილებით მეტად აღელვებთ, ვიდრე ამერიკელებს. ამასთანავე ევროპის ქვეყნებში განათლების სფეროში დაბანდებული კაპიტალიდან უკუგება განსაკუთრებით მაღალია, რაც მნიშვნელოვნად აკომპენსირებს შემოსავლებში სხვა ფაქტორებით განპირობებულ უთანაბრობას.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი გაცილებით უფრო მაღალია და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იგი მერყეობდა 50–60 პროცენტის ფარგლებში და განუწყვეტელ ზრდას განიცდიდა ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე.

მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ზომავს შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობას, არის მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10 პროცენტის შემოსავლების შეფარდება ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10 პროცენტთან. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი არის აშშ-ში (16–ჯერ). ევროპის ქვეყნებში იგი მერყეობს 6–10–ჯერ ფარგლებში. განსაკუთრებით მაღალია იგი ლათინური ამერიკის ქვეყნებში (23–25–ჯერ).<sup>2</sup>

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ეროვნული სახელმწიფოს ფსიქოლოგიური, მენტალური, კულტუროლოგიურ–ისტორიული და ყოფითი ასპექტები. ისეთ ძლიერ ინტეგრაციულ წარმონაქმნებშიაც კი, როგორცაა ევროკავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა აშშ–სა და კანადას შორის, ადამიანებში ეროვნული იდენტურობის შენაჩუნების სურვილი საკმაოდ ძლიერია. ამასთან დაკავშირებით აი რას შენიშნავს ერთ–ერთი კანადელი ბიზნესმენი: „რა თქმა უნდა, მე ინტეგრაციის მომხრე ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი ქვეყანა

---

1. Доклад о мировом развитии (2008). Всемирный Банк. 2009.გვ.234.

2. იგივე წყარო. გვ. 235.

საუკეთესოა და მასზე არასდროს ვიტყვი უარს“<sup>1</sup> ევროგაერთიანებაში, სადაც მიმოსვლის სრული თავისუფლებაა, საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს 5,5 მლნ.კაცი ანუ ამ გაერთიანების მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1,5 პროცენტი.<sup>2</sup>

ამრიგად, მრავალი არგუმენტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფო, გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის პირობებშიც, აქტიურ როლს თამაშობს ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში. შესაბამისად, თეორიულად არასწორი და პრაქტიკულად მიუღებელია იმ ეკონომისტთა მოსაზრება, რომლებიც ცდილობენ აღნიშნულის საწინააღმდეგოს დამტკიცებას. ამასთანავე ისიც აშკარაა, რომ დღეს არც ერთ ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა სხვა ქვეყნებისა და განსაკუთრებით გლობალიზაციის წამყვანი სუბიექტების ქცევის ნორმების გათვალისწინების გარეშე. გლობალიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, არსებით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, იწვევს ეკონომიკის რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების მნიშვნელოვან ცვლილებას.

გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან ანუ ე.წ. „გარეგანი შოკებისგან“, რაც დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მისი ეფექტიანი ჩართვის უზრუნველყოფა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება გლობალური მასშტაბით. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე სახელმწიფოს როლი მეტად მნიშვნელოვანია. მხოლოდ მას შეუძლია გლობალური ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მისი კონიუნქტურის შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის შექმნა, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, ახალი ცოდნის გენერირებასა და ძველი

---

1. The Economist, Dec.-19-th, 1998. გვ. 21-22.

2. Pollan R., Abbott J. Strategies in the Global Political Economy. London, 1999, გვ.171.

ცოდნის შენახვა–დაგროვება–გავრცელებაზე დამყარებული ინფორმაციული ტიპის ეკონომიკის შექმნა.

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით რელიეფურად გამოიხატება ეკონომიკური კრიზისებისა და პოსტკრიზისული განვითარების პერიოდებში. 2007–2008 წლების გლობალურმა კრიზისმა ყველას თვალნათლივ დაანახა სახელმწიფოს უდიდესი მნიშვნელობა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკისათვის ამ უაღრესად რთული და სახიფათო პროცესების დაძლევაში. სწორედ სახელმწიფო გამოვიდა ამ შემთხვევაში ე.წ. „ბრიჯ–მენეჯერის“ როლში.

ეს საკითხები ჩვენს მიერ უფრო დაწვრილებითაა გაანალიზებული ნაშრომის შემდეგ პარაგრაფში.

#### 1.4.1. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ეკონომიკური კრიზისების დროს. აშშ–ს მთავრობის ანტიკრიზისული პოლიტიკა ჰიპოთეკური ბაზრის კრიზისის პერიოდში, რომელიც მოგვიანებით გლობალურ ფინანსურ–ეკონომიკურ კრიზისად გარდაიქმნა, იმის ნათელი მაგალითია, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის ისეთ კლასიკურ ქვეყანაშიაც კი, როგორცაა აშშ, კერძო ბიზნესს არ შეუძლია მწვავე კრიზისიდან თავის დაღწევა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო დაწვრილებით განვიხილავთ აშშ–ს და ინდუსტრიულად განვითარებული ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობების ანტიკრიზისულ ქმედებებს 2007–2008 წლების გლობალური ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისის პირობებში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ პრინციპი იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული აშშ–ს

პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველი ელიტის ცნობიერებაში, რომ კრიზისის საწყის ეტაპზე მთავრობა აგრძელებდა ამ პრინციპზე დამყარებულ პოლიტიკას. კერძოდ, იგი მიიჩნევდა, რომ ბაზრის მოთამაშეებს არ უნდა მოხსნოდათ საკუთარი საქმიანობის შედეგების მიმართ ფინანსური პასუხისმგებლობა. ამ მიდგომიდან გამომდინარე, ერთ-ერთ უმსხვილეს ფინანსურ კორპორაციას „Lehman Brothers“ გაკოტრების „ნება დაერთო“. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულების მცდარობა. ფინანსურ ბაზარზე გაჩნდა პანიკის პირველი ნიშნები, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა კრიზისული სიტუაცია. მოვლენათა განვითარების შემდგომი მსვლელობა ხასიათდებოდა ფინანსური ბაზრის მიმართ აშშ-ს მთავრობის დამოკიდებულების მკვეთრი შეცვლით, რაც გამოიხატა ინტერვენციონისტული ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარებაში.

აშშ-ს მთავრობის ანტიკრიზისულ პოლიტიკაში შესაძლებელია რამდენიმე ეტაპის გამოყოფა. პირველი ეტაპი მოიცავდა 2007 წლის მეორე ნახევარს და ხასიათდებოდა მთავრობის შედარებით გაუბედავი ნაბიჯებით იპოთეკური ბაზრის კრიზისის შედეგების შესარბილებლად. მეორე ეტაპი – 2008 წლის პირველი ნახევარი, როდესაც სახელმწიფომ გაააქტიურა საკუთარი ანტიკრიზისული ღონისძიებები. მესამე ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 2008 წლის სექტემბერ–ნოემბერი, ანუ კრიზისის ყველაზე მწვავე სტადიაზე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. და ბოლოს, მეოთხე ეტაპი, რომელიც მოიცავდა აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ბ. ობამას მიერ გატარებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს.

ანტიკრიზისული პოლიტიკის პირველ და მეორე ეტაპებზე მთავრობის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები ემყარებოდა ტრადიციულ ინსტიტუტებსა და მეთოდებს. კერძოდ, სახელმწიფო, ფინანსთა სამინისტროს სახით, ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ბაზრის სუბიექტებს იპოთეკური ბაზრის კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ 2007 წლის შემოდგომაზე იმჟამინდელ ფინანსთა მინისტრის გ. პოლსონის გეგმის ფარგლებში (გეგმა ითვალსიწინებდა ფინანსური სისტემის ინსტიტუტებისათვის 700 მლრდ დოლარიანი დამხარების

გაწევას) ე.წ. FHASECURE პროგრამის ამოქმედებას, რომლითაც იპოთეკური დავალიანებით დატვირთული საცხოვრებელი სახლების მფლობელებს 2008 წლის ბოლომდე მიეცათ კრედიტების რეფინანსირების შესაძლებლობა. 2008 წლის დასაწყისში, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედმა) გაააქტიურა მონეტარისტული პოლიტიკა და 2008 წლის 28 იანვარს მიიღო ექსტრაორდინალური გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთის 0,75 პუნქტით, ანუ წლიურ 3,5 %-მდე შემცირების შესახებ. 2 დღის შემდეგ კი კიდევ 0,5 %-ით შეამცირა საპროცენტო განაკვეთი. ეს პროცესი შემგომშიც გაგრძელდა და 2008 წლის მაისში საბაზისო საპროცენტო განაკვეთი 2 %-მდე შემცირდა.<sup>1</sup> აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ აშშ-ს მონეტარისტული ხელისუფლება ამ პერიოდში ბიზნესის გააქტიურებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ინფლაციის ტემპების გაზრდის მუქარას.

ანტიკრიზისული პოლიტიკის მთავარი ელემენტი იყო კერძო ბიზნესისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. 2008 წლის თებერვალში კონგრესმა დაამტკიცა ეკონომიკის სანაცის პროგრამა და ამ მიზნით გამოჰყო 167 მლრდ დოლარი. 117 მილიონმა საოჯახო მეურნეობამ მიიღო საგადასახადო შეღავათი: 600 დოლარი ერთ პირზე, 1200 დოლარი ოჯახურ წყვილზე და 300 დოლარი ყოველ ბავშვზე.<sup>2</sup> ეს დამხარება ძირითადად ორიენტირებული იყო მოთხოვნის წახალისებაზე, რომელსაც თავის მხრივ უნდა გამოეწვია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. 2008 წლის მარტ-ივლისის მონაკვეთში მთავრობის ძირითადი ეკონომიკური ღონისძიებები მიმართული იყო ლიკვიდობის დეფიციტის აღმოფხვრისა და ფინანსურ ბაზრებზე პანიკის თავიდან აცილებისაკენ. მთავრობა უშუალოდ მონაწილეობდა ფინანსური კომპანიის Bear Stearns-ის გადარჩენაში, რომელიც სასწრაფოდ იყიდა კომპანია J.P Morgan-მა, როსთვისაც ამ უკანასკნელმა სახელმწიფოსგან მიიღო 30 მლრდ დოლარის კრედიტი. 2008 წლის

1. Супян В. Кризис в США: Экономический контекст. Вестник института Кенана в России. Вып. 15, М., 2009, гв. 22.

2. იგივე ნაშრომი. გვ. 25.

მარტში ფედმა დაიწყო მოკლევადიანი საგანგებო კრედიტის გაცემა იმ ბანკებსა და ფინანსურ კომპანიებზე, რომლებიც ახორციელებდნენ სასესხო დაბანდებებს იპოთეკასთან დაკავშირებულ წარმოებულ ფასიან ქაღალდებში. ამ პროგრამის დასაფინანსებლად ფედმა გამოყო 400 მლრ დოლარი, ანუ საკუთარი რეზერვების დაახლოებით ნახევარი. 2008 წლის 30 ივნისს კონგრესმა დაამტკიცა ახალი კანონი The Housing and Economic Recovery Act of 2008, რომელიც ითვალისწინებდა იპოთეკური დავალიანების მქონე ოჯახებზე 300 მლრდ დოლარის გაცემას. ამ კანონით განხორციელდა მხარდაჭერა ისეთ უმნიშვნელოვანეს ფინანსურ კომპანიებზე, როგორც იყო Fannie Mae და Freddie Mac. ამავე კანონით ფინანსთა სამინისტროს მიეცა უფლება 18 თვის მანძილზე აღნიშნული კომპანიებისათვის გაეხსნა ულიმიტო საკრედიტო ხაზი.

2008 წლის შემოდგომაზე ფინანსური კრიზისი სიმწვავის ახალ ფაზაში შევიდა, რის გამოც სახელმწიფო იძულებული გახდა გაეაქტიურებინა ფინანსური ინსტიტუტებისათვის მხარდაჭერა. დეკემბრის შუა რიცხვებში გაკოტრების პირას აღმოჩნდა საფინანსო რისკების დაზღვევის სფეროს ისეთი გიგანტი, როგორცაა American International Group (AIG). მის გადასარჩენად ფედმა სასწრაფოდ გამოჰყო 85 მლრდ დოლარი. 2008 წლის სექტემბერში ფინანსთა მინისტრმა პოლსონმა კონგრესს წარუდგინა ე.წ. „ტოქსიკური აქტივების“ პრობლემის შერბილებისაკენ მიმართული გეგმა სახელწოდებით Trouble Asset Relief Program (TARP). მისი მთავარი შინაარსი მდგომარეობდა კრიზისში მყოფი საფინანსო ინსტიტუტებიდან 700 მლრდ დოლარის ღირებულების „ცუდი“ ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვაში. მთლიანობაში პოლსონის გეგმა ნიშნავდა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირეულ შეცვლას კერძო ინსტიტუტებთან მიმართებაში და რეგულირების არატრადიციული მეთოდების გამოყენებაზე გადასვლას.

პოლსონის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბანკების რეკაპიტალიზაციის ღონისძიებებს, რომლის აუცილებლობა წარმოშვა ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის ბანკების კაპიტალის არაადეკვატურმა შეფასებამ. 2008 წლის ნოემბერში ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა TARP-ის გადახედვის შესახებ და სახელმწიფოსათვის ხმის



უფლების არმქონე აქციების გადაცემის სანაცვლოდ ფინანსურ ინსტიტუტებს შესთავაზა 125 მლრდ დოლარის ფინანსური დახმარება. დაახლოებით იმავე რაოდენობის თანხა გამოიყო უფრო წვრილი ფინანსური ინსტიტუტების დასახმარებლად.

2008 წლის 7 ნოემბერს სახელმწიფო სტრუქტურის – Federal Housing Finance Agency დირექტორმა განაცხადა, რომ მეურვეობას გაუწევდა (concernationship) კომპანიებს Fannie Mae და Freddie Mac, რის შესახებაც ფედის ხელმძღვანელმა ბ. ბერნანკემ გააკეთა შემდეგი კომენტარი: „ამგვარი მეურვეობა განიხილება, როგორც „ტიმ-აუტი“ იმ მიზნით, რომ გადაიხედოს ფინანსური შუამავლების როლი მისი სრულყოფის თვალსაზრისით“.

ანტიკრიზისულ ღონისძიებათა ინტესიფიცირება დაუკავშირდა აშშ-ს პრეზიდენტად ბ. ობამას არჩევას. მისმა ადმინისტრაციამ წამყვანი ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის მიზნით გაზარდა სახელმწიფოს ხვედრითი წილი Citygroup-ის აქციონერულ კაპიტალში და 2009 წლის ივნისის ბოლოს სახელმწიფო უკვე ფლობდა ამ კომპანიის აქციების 34 %-ს.<sup>1</sup> ისარგებლა რა ამ სიტუაციით, აშშ-ს მთავრობამ აიძულა ეს კომპანია დაეკირავებინა დამოუკიდებელი ექსპერტები კორპორაციული მენეჯმენტის ხარისხის შესაფასებლად. ამავე პერიოდში გრძელდებოდა მძიმე ფინანსური მდგომარეობის მქონდე კომპანიების დახმარების პრაქტიკა. კერძოდ, მიღებული იქნა AIG-ის ფინანსური დახმარების მე-4 პაკეტი, რომლითაც კომპანიებს დამატებით გამოეყო 180 მლრდ დოლარი. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს იყო კერძო კომპანიისათვის სახელმწიფო დახმარების უპრეცედენტო შემთხვევა თანხის მოცულობის თვალსაზრისით. აღნიშნულის სანაცვლოდ აშშ-ს მთავრობის პირდაპირი განკარგვის ქვეშ მოექცა აღნიშნული კომპანიის აქციების 79,9 %, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად AIG სადაზღვეო კომპანიას მთავრობა აკონტროლებს. აშშ-ს მთავრობამ საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა და ფაქტობრივად ნაციონალიზაცია ჩაუტარა 2 უმსხვილეს იპოთეკურ კომპანიას Fannie Mae და Freddie Mac, რის შესახებაც ჩვენ უკვე

---

1. Корищенко К., Соловьёва И. Новые вызовы в регулировании финансового сектора в условиях кризиса. «Вопросы экономики», 2010, №4, гв. 106.

ვისაუბრეთ. ეს იყო ახალი მოვლენა აშშ-ს ეკონომიკურ ისტორიაში და მას ეწოდა „რბილი პრივატიზება“.

აშშ-ს ფინანსთა სამინისტრო აგრძელებდა ბანკებიდან „ცუდი“ აქტივების ჩამოწერას, რომლის მოცულობაც სხვადასხვა შეფასებით 59 მლრდ დოლარიდან 1 ტრლნ დოლარს შეადგენდა. ამ უზარმაზარი თანხების ჩამოწერით მთავრობა იმედოვნებდა, რომ ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები განაახლებდნენ კერძო სექტორზე კრედიტების გაცემას.

2009 წლის 25 მარტს ფედმა გამოაცხადა სამომხმარებლო დაკრედიტების ახალი პროგრამა და შექმნა სპეციალური ფონდი - Term Asset Backed Securities Lending Facility, რომელშიც ფედერალური ბიუჯეტიდან გადაირცხა 200 მლნ დოლარი. აღნიშნული ფონდის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მცირე ბიზნესისა და მომხმარებლებისათვის კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მთავრობის მიერ გატარებულმა აქტიურმა და არაორდინალურმა საფინანსო ეკონომიკურმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო. რიგმა ბანკებმა უკვე 2010 წლის დასაწყისში განაცხადეს, რომ მზად არიან ახალი აქციების გაყიდვიდან მიღებული მილიარდობით დოლარის ხარჯზე დააბრუნონ მთავრობისაგან მიღებული სესხები. ობამას მთავრობის ახალმა ფინანსთა მინისტრმა თ. გაიტნერმა განაცხადა, რომ TARP-ის ფარგლებში გაცემული და უკანდაბრუნებული თანხები ძირითადად მოხმარდებოდა წვრილი საფინანსო ინსტიტუტებისათვის ფინანსური დამხარების გაწევას.

ფინანსურ დახმარებასთან ერთად ფედერალური და შტატების ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურები დაწვრილებით სწავლობდნენ სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების წვლილს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის წარმოშობაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბ. ობამას ადმინისტრაციის ანტიკრიზისული პროგრამა მხოლოდ ფინანსური ღონისძიებებით არ შემოიფარგლებოდა და მასში გათვალისწინებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ფართო წრე. კერძოდ, სახელმწიფო ინვესტიციების გაფართოება განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ დაზღვევაში,

ინფრასტრუქტურასა და ეკოლოგიაში. მოსახლეობის ყველაზე დაუცველი კატეგორიისათვის დახმარების გაწევა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული კონგრესის მიერ მიღებული ეკონომიკის აღდგენისა და ამერიკაში რეინვესტირების კანონი. (American Recovery and Reinvestment Act 2009), რომლის ძირითადი მიზანია მოთხოვნის სტიმულირება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. აღნიშნული მიზნით კონგრესმა გამოჰყო 787 მლრდ დოლარი.

ობამას ხელისუფლების მიერ ხაზგასმით იქნა დეკლარირებული სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურებში გამჭირვალეობისა და ანგარიშვალდებულების უპრეცედენტოდ მაღალი დონის მიღწევის აუცილებლობა, რასაც ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყოს კერძო ბიზნესის საგადასახადო ბაზის მაქსიმალური ტრანსპარენტულობისათვის, მეორე მხრივ კი, კერძო ბიზნესიდან მიღებული თანხების მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებაზე ქმედითი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისათვის.

ობამას ადმინისტრაციის ანტიკრიზისულ გეგმასა და პოსტკრიზისული განვითარების ძირითად მიმართულებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფინანსური ბაზრის რეგულირების სხვადასხვა ასპექტს. აშშ-ს იპოთეკურ ბაზარზე წარმოშობილმა კრიზისმა, მოგვიანებით მისმა გადაზრდამ გლობალურ-ეკონომიკურ კრიზისში, თვალნათლივ აჩვენა, რომ რეგულირების ძველი სისტემა, რომელიც მანამდე გამოიყენებოდა აშშ-სა და რიგ სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, ვეღარ პასუხობდა თანამედროვე რეალობათა მოთხოვნებს. შესაბამისად, გარკვეული რეფორმები დაიწყო ამ მიმართულებით, რომლის პირველ ნაბიჯადაც შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის მაისში მიღებული თაღლითობის წინააღმდეგ და მისი შედეგების დაძლევისაკენ მიმართული კანონი. 2009 წლის 17 ივნისს მიღებული იქნა ფინანსური ბაზრების ლიკვიდურობის რეფორმირების პროგრამა, რომელიც მოიცავდა შემდეგ ხუთ მიმართულებას.

- 1) ფინანსური კომპანიების რეგულირებისა და კონტროლის გამკაცრება. ჩამოყალიბდა ახალი მაკონტროლებელი ორგანო – ფინანსური მომსახურების გაწევაზე კონტროლის საბჭო (Financial Services Oversight Council). მის მთავარ

ამოცანებად განისაზღვრა: პოტენციურად სახიფათო რისკების გამოვლენა; მარეგულირებელ ორგანოთა შორის კოორდინირების გაუმჯობესება; ყველა ფინანსური კომპანიისაგან ინფორმაციის სავალდებულო წესით მიღება. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ასევე ნავარაუდევია ფედისათვის ახალი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც მას გადააქცევს ყველა ფინანსური ინსტიტუტის მთავარ მარეგულირებელ ორგანოდ. გათვალისწინებულია აგრეთვე ეროვნული საბანკო რეგულატორის (National Bank Supervisor, რომელსაც მიენიჭება პრუდენციული რეგულირების ფუნქცია) და ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში დაზღვევის ეროვნული ოფისის შექმნა (Office of National Insurance), რომლის ანალოგი აქამდე აშშ-ს პრაქტიკაში არ ყოფილა.

- 2) ფინანსური ბაზრების ყოვლისმომცველი რეგულირებისა და ზედამხედველობის განხორციელება. კერძოდ, სეკურიტიზაციის ბაზრების რეგულირების სრულყოფა და არასაბირჟო დერივატივების ბაზრის ეფექტიანი რეგულირება.
- 3) ფინანსურ ბაზრებზე მომხმარებლებისა და ინვესტორების უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალური გაძლიერება, რა მიზნითაც ერთიანი ფედერალური მარეგულირებელი ორგანოს სახით იქმნება ფინანსურ ბაზრებზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სააგენტო. (Consumer Financial Protection Agency – CFPA)
- 4) სისტემური რისკების გაძლიერების პირობებში სახელმწიფოსათვის ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ მიმართული საგანგებო საშუალებების გამოყენების უფლების მინიჭება.
- 5) რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების ამაღლება და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2009 წლის აპრილში ლონდონში „დიდი ოცეულის“ (G20) სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებს:
  - კაპიტალის საკმარისობისადმი წაყენებული მოთხოვნების საერთაშორისო სისტემის სრულყოფას;

- გლობალურ–ფინანსურ ბაზრებზე ზედამხედველობის, პირველ რიგში დერივატივების ბაზრების კონტროლის სტანდარტიზაციას და სრულყოფას;
- საერთაშორისო ფინანსურ კომპანიებზე ზედამხედველობის მექანიზმების დახვეწას;
- პრუდენციული ზედამხედველობის გამკაცრებას ლიკვიდობის კრიზისების თავიდან აცილების მიზნით, ანუ ე.წ. „ფინანსური ბალიშების“ შექმნას;
- რეგულირების სფეროს გაფართოებას მასში HEG – ფონდების ჩართვით;
- საერთაშორისო დონეზე კომპანიების მართვის ახალი სისტემების დანერგვას, რომელიც მოიცავს „ტოპ მენეჯერთა“ შრომის ანაზღაურების ახალ წესებს.

ბ. ობამამ ამერიკის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ „თანამედროვე გამოწვევათა გლობალური ხასიათი დღის წესრიგში აყენებს ფინანსური სფეროს რეგულირებაში ამერიკული გამოცდილების სხვა ქვეყნების მხრიდან გაზიარების აუცილებლობას. რაც პრაქტიკულ ასპექტში გულისხმობს ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფას და ფინანსური რეგულირების მაღალი სტანდარტების დანერგვას.<sup>1</sup>

აშშ–ს მთავრობის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული პოლიტიკის განხილვასთან ერთად საინტერესოა ამ სფეროში სხვა ინდუსტრიულ ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების ანალიზიც. კერძოდ, ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა (ინგლისის ბანკმა) ერთ–ერთი უმსხვილესი ბრიტანული კომერციული ბანკის Northern Rock გაკოტრების შემდეგ დაიწყო რამდენიმე მიმართულებით ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება – 2008 წელს მან ფინანსთა სამინისტროსთან ერთობლივად გამოჰყო 500 მლრდ გირვანქა სტერლინგი კომერციული ბანკების საგარანტიო უზრუნველყოფასა და ბანკების რეკაპიტალიზაციაზე, რის შედეგადაც დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო ვალის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა მშპ–ს 224

1. Remarks by President at the National Academy of Sciences Annual Meeting. The White House. Office of the Press Secretary. April 27, 2009. <http://www.scientific.ru>

პროცენტიდან (1990 წელი) 466 პროცენტამდე (2009 წელი).<sup>1</sup> 2009 წლის 5 მარტიდან ინგლისის ბანკმა განახორციელა ახალი ღონისძიება – საკუთარი რეზერვების ხარჯზე კომერციული ბანკების აქტივების შესყიდვა, რისთვისაც გამოჰყო 75 მლრდ გირვანქა სტერლინგი. ასევე უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ ქვეყნის ერთ–ერთი უმსხვილესი ბანკის Brandford & Binley ნაციონალიზაცია.

გერმანიის ცენტრალურმა ბანკმა (ბუნდესბანკმა) კრიზისის დროს სხვადასხვა კერძო კომპანიებისა და მოსახლეობის დასახმარებლად გამოჰყო დაახლოებით 1 ტრლნ ევრო. სწორედ ამ თანხიდან იქნა გარანტირებული მოსახლეობის მიმდინარე და სადეპოზიტო შენატანების მთელი 100 %. მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად გერმანიის მთავრობის მიერ მიზნობრივად გამოიყო 82 მლრდ ევრო. 2009 წლის დეკემბერში კი შეიქმნა სტაბილიზაციის ფონდი 480 მლრდ ევროს, ანუ ქვეყნის 2 წლის ბიუჯეტის მოცულობით. ამ ფონდში შენატანების 65 % გაიღო ფედერალურმა, 35 % კი – მიწების ბიუჯეტებმა.<sup>2</sup> გერმანიის მთავრობა ასევე ფინანსურად დაეხმარა ქვეყნის ერთ–ერთ უმსხვილეს საკრედიტო დაწესებულებას Hypo Real Estate-ს. ბენილუქსის ქვეყნების მთავრობებმა თავიანთი ფინანსური რესურსები გააერთიანეს დიდი ბელგიური ბანკის Fortis-ის გაკოტრებისაგან გადასარჩენად და ა.შ.

აქტიური ანტიკრიზისული ღონისძიებები ტარდებოდა იაპონიაშიც. კერძოდ, ამ ქვეყნის მთავრობამ იაპონიის ცენტრალურ ბანკთან ერთად კრიზისის დროს მიიღო ეროვნული ეკონომიკის სისტემაშემქმნელი კომპანიების, ფინანსური სექტორის, მცირე და საშუალო საწარმოების, მოსახლეობის ფინანსურ–ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებათა პაკეტი, რომლის ფარგლებშიც გამოყოფილი იქნა 5,5 ტრლნ იენი. მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მიერ კერძო სექტორისათვის ფინანსური დახმარების გამო 2010 წლის 31 მარტს იაპონიის სახელმწიფო ვალმა შეადგინა 9,6 ტრლნ დოლარი, ანუ ქვეყნის მშპ–ს 225 %.<sup>3</sup>

---

1. იხ. [www.bankofengland.co.uk/publications/news/2009/019](http://www.bankofengland.co.uk/publications/news/2009/019)

2. Кошаров А., Сумленный С. Союз для хорошей погоды. «Эксперт», 2010, №19, გვ. 26.

3. Зотин А. Великий делеверидж. «Финансы», 2010, №10, გვ. 36.

კრიზისის პირობებში სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვანი გააქტიურება და ბიზნესისადმი აქტიური მხარდაჭერა არ შეიძლება აღქმული იქნას როგორც ცალსახად დადებითი მოვლენა. აუცილებელია დავინახოთ რიგი პრობლემები და საფრთხეები, რომლებიც ამ პროცესთანაა დაკავშირებული.

რამდენიმე მწვავე პრობლემაზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით. ერთ–ერთი მათგანია ლობიზმის გაძლიერების საფრთხე. ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში აშშ–ს მთავრობა ლობისტთა ძლიერი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოყვანილი იქნა შემდეგი ფაქტი: აშშ–ს საავტომობილო გაერთიანებულმა კომიტეტმა განაცხადა, რომ თუ მთავრობა ფინანსურად არ დაეხმარებოდა ამ დარგს, ეს გამოიწვევდა ქვეყნის მასშტაბით 14 მლნ სამუშაო ადგილის დაკარგვას. იმავე დროს ექსპერტების გაანგარიშებით სამუშაო ადგილების დანაკარგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 2 მლნზე მეტი.

შემდეგი პრობლემა დაკავშირებულია ე.წ. „არაკეთილსინდისიერი ქცევის ეფექტის“ (moral hazard) წარმოშობასთან. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: სახელმწიფო როდესაც საკუთარ თავზე იღებს კომპანიების გადაჭარბებულად რისკიანი ოპერაციების შედეგად მიღებულ ზარალს, ამით კომპანიებს უჩენს მსგავსი მოქმედების განმეორების სურვილს. ისინი იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო ყოველთვის აანაზღაურებს მათ დანაკარგებს. დამნაშავეს მიერ ზარალის ანაზღაურების არსებული წესი კიდევ უფრო აღრმავებს ამ წინააღმდეგობას. კერძოდ, ზარალის ნებისმიერი სიდიდე, რომელიც ეკონომიკური აგენტის ქონებაზე მეტია, მისთვის მხოლოდ ვირტუალური ცნებაა. რეალურად იგი ვერასდროს გადაიხდის იმაზე მეტს, რა ქონებაც გააჩნია. შესაბამისად, საკუთარი გადახდისუნარიანობის მიღმა მისი აქტივობა ხშირად არ არის ფრთხილი, მოზომილი და რისკებსაც ნაკლები ყურადღება ეთმობა. როდესაც გარკვეულ მომენტში ბაზარზე დგება „განკითხვის ჟამი“ – კრიზისის სახით, ეკონომიკური აგენტები სასოწარკვეთაში ვარდებიან, სახელმწიფოსაკენ იშვერენ ხელს და მისი დაშანტაჟების მცდელობასაც არ ერიდებიან. ასეთ შემთხვევებში ეკონომიკური

აგენტების ქცევის მექანიზმს უნდა განსაზღვრავდეს ფინანსური ბაზრის ცალკეულ პროდუქტებზე შეუზღუდავი კონტრაქტების კანონით აკრძალვა. იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური აგენტების ქონება მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების რისკის ხარისხის თანაზომადია, ამ ეკონომიკური სუბიექტების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ე.წ. ex post მიდგომა, რომელიც გულისხმობს მიყენებული ზარალის სრული მოცულობით იძულებით ანაზღაურებას. ეს პრინციპი განსაკუთრებით ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მმართველთა უმაღლესი კატეგორიის (ე.წ. „ტოპ მენეჯერების“) მიმართ.

ეკონომისტთა ერთსულოვანი შეფასებით გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იყო კორპორაციული მართვის დაბალი ხარისხი. ტოპ მენეჯერები საკმარისად არ ითვალისწინებდნენ მოსალოდნელ რისკებს და ხშირად მოქმედებდნენ ყოველგვარი წინასწარი ანალიზის გარეშე. გლობალიზაციამ და ფინანსური ინოვაციების მასობრივმა გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები. ამჟამად დღის წესრიგში აქტუალურად დგას კორპორატიული მართვის ახალი პარადიგმის შექმნის ამოცანა, რომელშიც კომპანიების მოგების მაქსიმიზაცია და კაპიტალიზაციის სწრაფი ზრდიდან მენეჯერთა აქტივობა გადაინაცვლებს გრძელვადიანი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაზე და ამ უკანასკნელს მიეხება მმართველთა სტიმულირების მექანიზმი. ახალ პარადიგმაში ასევე აისახება ტოპ მენეჯერთა პასუხისმგებლობა იმ დანაკარგებზე, რომლებიც კომპანიებმა შეიძლება განიცადოს მენეჯერთა მხრიდან ზედმეტად რისკიანი ოპერაციების განხორციელების ან საქმიანი ეთიკის დარღვევის გამო. მნიშვნელოვან ბონუსებს მხოლოდ ის მენეჯერები უნდა იღებდნენ, რომელთა მმართველობაში მყოფი კომპანიების აქციონერები ხანგრძლივი დროის მანძილზე სტაბილურ დივიდენდებს იღებენ. სახელმწიფომ ეფექტიანი კონტროლი უნდა დააწესოს კომპანიების შიგნით ინტერესთა კონფლიქტზე. დაუშვებელია, რომ ერთი და იგივე კომპანია კონსალტინგსაც ახორციელებდეს და აუდიტსაც, ან ერთი კომპანიის მენეჯერი იყოს მეორე კომპანიის მმართველთა საბჭოში და იქ გასამრჯელოს იღებდეს.



ამრიგად, თეზისური სახით კრიზისულ პერიოდში სახელმწიფოს აქტივობის გაძლიერებასთან დაკავშირებული პრობლემები (რისკები) ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- კრიზისამდელი არაეფექტიანი სტრუქტურების კონსერვაციის რისკი;
- კონკურენტუნარიანობის დაქვეითების რისკი;
- აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილის სახელმწიფოს ხელში გადასვლით გამოწვეული მართვის ეფექტიანობის დაქვეითების რისკი;
- კრიზისიდან დროში გაწელილი და დუნედ გამოსვლის რისკი;
- სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური ხარჯვისა და კორუფციის გაძლიერების რისკი;
- ლობირების გაძლიერების რისკი;
- არაკეთილსინდისიერი ქცევის გაძლიერების რისკი;
- „სტატუს კვოს“ შენარჩუნებისა და მოდერნიზაციაზე უარის თქმის სურვილის გაძლიერების რისკი (“business as usual”);
- დიდი სახელმწიფოს (big government) იდეოლოგიისა და პრაქტიკის რეანიმაციის რისკი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაიბადოს კითხვა – თუკი ასეთ რისკებთანაა დაკავშირებული კრიზისულ პერიოდებში სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის გაძლიერება, რატომ აქვს მას ადგილი? საქმე იმაშია, რომ ასეთ სიტუაციებში ჩაურევლობა კიდევ უფრო მძიმე შედეგების მომტანი იქნებოდა.

კრიზისის დროს ქვეყნის მთავრობები უპირატესად ეხმარებიან მსხვილ კომპანიებს სწორედ იმის გამო, რომ ისინი მეტისმეტად დიდები არიან იმისათვის, რომ გაკოტრდნენ („too big to fail“). აქ სიდიდის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ მათი მოცულობა, არამედ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ან გაწეული მომსახურების ხასიათი, მნიშვნელობა და მათი დახურვით გამოწვეული სოციალურ–ეკონომიკური შედეგები.

მაშასადამე, სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ბრიჯ–მენეჯმენტის“ პოლიტიკის განხორციელება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ძალისხმევით ეროვნული ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას და პოსტკრიზისული განვითარების დაწყებას,

ობიექტური აუცილებლობაა. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა ამ საკითხისადმი დაბალანსებული მიდგომა, რაც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა–დახვეწას და არა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს პირდაპირ ან/და უშუალო მონაწილეობას.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი და მნიშვნელოვანია კრიზისიდან გამოსვლისა და პოსტკრიზისულ საწყის პერიოდში სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა. პოსტკრიზისული განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების ფუნქციონირებას, არამედ ძველის, შედარებით ჩამორჩენილის და არაეფექტიანის ასპარეზიდან გაქრობას. თუკი ამ უკანასკნელთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელება ძველი პოლიტიკა, ანუ ისინი კვლავ მიიღებენ უხვ ფინანსურ დახმარებას, შესაძლებელი გახდება მათი არსებობის ხელოვნური შენარჩუნება, რაც შეასუსტებს ჯანსაღ კონკურენციას და ხელს შეუშლის ეკონომიკურ პროგრესს. ამგვარ მიდგომარეობას პროფ. ვ. პაპავა ეკონომიკის ზომბირებას უწოდებს და აღნიშნავს: „ ზომბი – ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს. როგორც ცნობილია, სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრაობა ახასიათებს, რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. ასეთ პირობებში, როგორც წესი, მთავრობისაგან მოითხოვენ ეკონომიკის ასეთი მიდგომარეობიდან გამოყვანას, ის კი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს. ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მემკვიდრეობად იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს სახელმწიფოს მხრიდან ის ფინანსური მხარდაჭერის სისტემა შეინარჩუნოს, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბი – ეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს.“<sup>1</sup>

---

1. პაპავა ვ. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010, გვ. 17-18.

პოსტკრიზისულ პერიოდში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ურთიერთობის ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია მთავრობის დამოკიდებულება მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ. აქამდე თითქმის საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ მცირე ბიზნესი წარმოადგენს კაპიტალისტური ეკონომიკის ინოვაციურობისა და დინამიზმის ძირითად წყაროს („small is beautiful“). კრიზისმა გვიჩვენა, რომ ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, სახელმწიფოს მთავარი ყურადღება დიდ ბიზნესზე იქნა ფოკუსირებული. პოსტკრიზისულ პერიოდში თუკი ეს პრაქტიკა გაგრძელდა, ეს გამოიწვევს ეკონომიკური პროგრესის შემაფერხებელი პარადიგმის გაჩენას, რისი პირველი ნიშნებიც უკვე სახეზეა. კერძოდ, გიგანტური კომპანიების მხრიდან მოდერნიზაციის მცდელობა აბსოლუტურად შეუსაბამო აღმოჩნდა იმ ფინანსური დახმარების მოცულობის, რომელიც კრიზისის პერიოდში მათ გაეწიათ სახელმწიფოს მხრიდან.

ამრიგად, კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში სახელმწიფოს როლის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესში არის ობიექტური აუცილებლობა, ხოლო დევიზი – „დროა გამოვაცხადოთ კრიზისზე გამარჯვება და უარი ვთქვათ მასტიმულირებელ პოლიტიკაზე“<sup>1</sup> არის მცდარი და უარყოფითი შედეგების მომტანი. ამასთანავე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება გაგებული უნდა იქნეს არა როგორც ეკონომიკურ პროცესებში პირდაპირი ჩარევა, კერძო ბიზნესისა და ზოგადად კერძო ინიციატივის შეზღუდვა, არამედ როგორც მისი სტიმულირება, სახელმწიფოს მიერ ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება შესაბამისი ფინანსურ–ეკონომიკური, ორგანიზაციულ–ადმინისტრაციული და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების საშუალებით.

---

1. Goodhart Ch. It Is Time to Declare Victory and Withdraw Easing. “The Financial Times”, Dec. 1, 2010, გვ. 28.

## თავი II. ბიზნესის ფუნქციონირება–განვითარების კანონზომიერებები

### 2.1. ბიზნესისა და მეწარმეობის არსის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი

ნებისმიერი მეცნიერება ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული ცნებებისა და კატეგორიების მწყობრ ერთიანობას, ანუ სისტემას წარმოადგენს. შესაბამისად, ყოველი მეცნიერების შესწავლა მათი განსაზღვრით იწყება. ეკონომიკური, განსაკუთრებით კი ბიზნესისა და მენეჯმენტის მეცნიერებებისათვის ფუნდამენტურ ცნებებს წარმოადგენს ბიზნესი და მეწარმეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნებების გამოყენებას თეორიასა და პრაქტიკაში ხანგრძლივი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი შეხედულება მათი არსის შესახებ. განსაკუთრებით სადისკუსიოა ბიზნესისა და მეწარმეობის ურთიერთმიმართების საკითხი. საზღვარგარეთელი და ქართველი ავტორების შეხედულებათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შევეცდებით საკუთარი პოზიცია ჩამოვაყალიბოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ახლახანს გამოცემულ „თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ პროფ. რ. ასათიანი წერს: „ბიზნესი - ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობაა, რომელსაც მოგება მოაქვს“.<sup>1</sup> ბიზნესმენი კი არის „კომერსანტი, მეწარმე, რომელიც ბიზნესს ეწევა“.<sup>2</sup> რაც შეეხება მეწარმეობას, აღნიშნული ავტორის აზრით, ეს არის „შემოსავლის, მოგების მიღებისათვის გამიზნული ფიზიკური ან იურიდიული პირის დამოუკიდებელი, კანონით ნებადართული სამეწარმეო (სამეურნეო) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება საკუთარი სახელით, რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით“.<sup>3</sup> შესაბამისად, „მეწარმე არის პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა“.<sup>4</sup>

მსგავსი განმარტებები აქვს ჩამოყალიბებული პროფ. ა. სილაგაძეს: „ბიზნესი - საქმე, ანტრეპრენიორობა, მეწარმეობა - მოგების მომტანი ეკონომიკური საქმიანობა,

---

1. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2012, გვ. 48.

2. იგივე ნაშრომი. გვ. 49.

3. იგივე ნაშრომი. გვ. 232.

4. იქვე.

საქმიანობის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც მოაქვს შემოსავალი, ან პირადი სარგებელი“.<sup>1</sup> ბიზნესმენი კი განმარტებულია როგორც „საქმიანი ადამიანი, მეწარმე, ანტრეპრენიორი, რომელიც დაკავებულია საკუთარი ბიზნესით. აქვს თავისი საქმე მოგების ან რაიმე სხვა სარგებლის მიღების მიზნით“.<sup>2</sup> მეწარმეობა, პროფ. ა. სილაგაძის განმარტებით, არის „ინიციატივიანი, დამოუკიდებელი, თავისი სახელით, რისკით, ქონებრივი პასუხისმგებლობით, მოქალაქეების, ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობა, რომლის მიზანია შემოსავლის, მოგების სისტემატური მიღება ქონების გამოყენებით, საქონლის გაყიდვით, სამუშაოების შესრულებით, მომსახურების გაწევით“.<sup>3</sup> ბიზნესის ზემოაღნიშნული ორი განმარტება მსგავსებასთან ერთად განსხვავებასაც შეიცავს. კერძოდ, პროფ. რ. ასათიანი ბიზნესის მამოძრავებელ მიზნად მოგების მიღებას მიიჩნევს, პროფ. ა. სილაგაძე კი ნებისმიერ შემოსავალს ან პირად სარგებელს. ჩვენი აზრით, ბიზნესი, როგორც ზოგადად ეკონომიკური (მეურნეობრივი) საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, კაპიტალიზმის წარმოშობას უკავშირდება. ამიტომ მისი მიზანია არა ყოველგვარი შემოსავლის ან პირადი სარგებლის, არამედ მოგების მიღება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნესი, ეკონომიკური საქმიანობისაგან განსხვავებით, ისტორიული ხასიათის ეკონომიკური კატეგორიაა.

ბიზნესისა და მეწარმეობის შესახებ სხვადასხვა დროს მრავალი მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. გ. შუბლაძეს. კერძოდ, იგი წერს: „ბიზნესი არის სამეურნეო (ეკონომიკური) საქმიანობა, რომლის მიზანია მოგების მიღება. მოგება კი მიიღება მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქციისა და მომსახურების შექმნისა და მიწოდების გზით“.<sup>4</sup> რაც შეეხება ბიზნესმენს, იგი „არის საქმიანი კაცი, ადამიანი, რომელიც ეწევა

---

1. სილაგაძე ა. ეკონომიკური ლექსიკონი. თბ., 2001, გვ. 59

2. იგივე ნაშრომი. გვ. 60.

3. იქვე.

4. შუბლაძე გ., წიგნოლაური ფ. ბიზნესის არსისა და დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, N6, გვ. 134. იხ. აგრეთვე: შუბლაძე გ. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. თბ., 2009, გვ. 72 და სხვ.

ბიზნესს. იგი ქონების, კაპიტალის, ანუ საკუთრების მფლობელია“.<sup>1</sup> მეწარმეობისა და მეწარმის ცალკე დეფინიციებს ეს მეცნიერი არ გვთავაზობს, რაც მისი პოზიციიდან გამომდინარეობს - იგი აყენებს საკითხს, რომ ქართულ იურიდიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში „მეწარმეობის“ და „მეწარმის“ ნაცვლად დამკვიდრდეს ტერმინები - „ბიზნესი“ და „ბიზნესმენი“.<sup>2</sup> ერთადერთი, რასაც პროფ. გ. შუბლაძე მეწარმეობის შესახებ აღნიშნავს: „ბიზნესის განსაკუთრებული შემთხვევაა მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა). იგი უშუალო კავშირშია მეწარმის პიროვნებასთან, რომელიც ახორციელებს ბიზნესს მოგების მიღების მიზნით საკუთარი სახსრებისა და პირადი რისკის საფუძველზე“.<sup>3</sup> ამ მსჯელობაში ჩვენთვის გაუგებარია - თუკი მეწარმე ბიზნესს ახორციელებს მოგების მიღების მიზნით, რატომ არ შეიძლება მას ვუწოდოთ ბიზნესმენი? პროფ. გ. შუბლაძეს ორიგინალური მოსაზრება გააჩნია ბიზნესისა და მეწარმეობის ურთიერთდამოკიდებულების მიმართ, რასაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

პროფ. გ. ერქომაიშვილი აღნიშნავს: „ბიზნესი არის საქმიანობა, რომელიც მიმართულია გარკვეული სამომხმარებლო თვისებების მქონე საქონლის წარმოებასა და რეალიზაციაზე მოგების მიღების მიზნით“.<sup>4</sup> შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის სხვადასხვა განმარტებები არსებობს. კერძოდ, ზოგი მას საქმიანობას უწოდებს, ზოგი - საქმოსნობას, ზოგი კი - საქმეს.<sup>5</sup> პროფ. უ. სამადაშვილის აზრით, „ინგლისური სიტყვის „ბიზნესი“ სინონიმია „საქმე“, ანუ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა მოგების ან რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით“.<sup>6</sup>

- 
1. შუბლაძე გ., წიგნითი ფ. ბიზნესის არსისა და დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, N6, გვ. 134. იხ. აგრეთვე: შუბლაძე გ. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. თბ., 2009, გვ. 72 და სხვ.
  2. იგივე ნაშრომი. გვ. 139.
  3. იქვე.
  4. ერქომაიშვილი გ. ბიზნესი: ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბ., 2007, გვ. 14.
  5. იქვე.
  6. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. ბ., 2007, გვ. 19.

მეწარმეობაზე, როგორც საბაზრო ეკონომიკის ძირითად შინაარსზე და მეწარმეზე, როგორც საბაზრო ეკონომიკის ცენტრალურ სუბიექტზე, აქცენტს აკეთებენ ქართველი მკვლევარები ი. არჩვაძე და ლ. ქურხული. ისინი აღნიშნავენ: „საბაზრო ეკონომიკის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი მეწარმეობაა“<sup>1</sup> და გვთავაზობენ მეწარმეობის შემდეგ დეფინიციას: „მეწარმეობა არის მოქალაქეთა (ინდივიდის ან ასოცირებულ ინდივიდთა ჯგუფის) საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მათი სახელით, პირადი რისკით, ქონებრივი პასუხისმგებლობით და მიმართულია მოგებისა და პირადი შემოსავლის მისაღებად... მეწარმე - სასაქონლო მეურნეობის, საბაზრო ეკონომიკის ძირითადი სუბიექტია, რომელიც დაკავებულია საქონელწარმოებით საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გაცვლითი ოპერაციის (ვაჭრობის) მეშვეობით“.<sup>2</sup>

ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბიზნესის (ბიზნესმენის) და მეწარმეობის (მეწარმის) არსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის ერთიანი შეხედულება არ არსებობს და განსაკუთრებით დიკუსიურია მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მეცნიერთა ერთი ჯგუფი (რ. ასათიანი, ა. სილაგაძე, ჭ. ადგიშვილი და სხვ.) შინაარსობრივი თვალსაზრისით ამ ორ ცნებას ერთმანეთთან აიგივებს, მეორე ჯგუფი (გ. შუბლაძე, გ. ერქომაიშვილი და სხვ.) მკვეთრად მიჯნავს მათ. საკითხის მიმართ ეკლექტიკურ მიდგომას გვთავაზობს უ. სამადაშვილი, რომელიც ერთდროულად კიდევ აიგივებს და, ამასთანავე, ანსხვავებს ამ ცნებებს. ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას ბიზნესისა და მეწარმეობის არაიდენტურობის შესახებ, თუმცა არ ვართ ისეთი კატეგორიული, როგორც პროფ. გ. შუბლაძე.<sup>3</sup>

---

1. არჩვაძე ი., ქურხული ლ. ეკონომიკური ფსიქოლოგია. თბ., 2011, გვ. 81.

2. იგივე ნაშრომი. გვ. 83.

3. შუბლაძე გ. როგორ გავმიჯნოთ ბიზნესი და მეწარმეობა. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2006, N16.

შევეცდებით საკუთარი არგუმენტების საფუძველზე დავასაბუთოთ ჩვენი პოზიცია. ეს მიდგომა ემყარება საკითხის კვლევაში ისტორიულ-გეოგრაფიული, ეტიმოლოგიური და თანამედროვე (გლობალური) ასპექტების გამოყოფას. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**ისტორიულ-გეოგრაფიული ასპექტი.** მეწარმეობისა და მეწარმის ცნება მე-18 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა. იგი პირველად გამოიყენა ირლანდიური წარმოშობის ფრანგმა ეკონომისტმა რ. კანტილიონმა.<sup>❖</sup> იგი მეწარმეს განასხვავებდა როგორც მუშისაგან, ისე სახელმწიფო მოხელისაგან და განიხილავდა ადამიანად, რომელიც საკუთარი რისკით წარმართავს საქმიანობას არამდგრადი შემოსავლის მისაღებად.<sup>1</sup> თავისი ეკონომიკური შეხედულებით, კანტილიონს შუალედური ადგილი უკავია მერკანტილისტებსა და ფიზიოკრატებს შორის, რაც გამოხატულებას პოულობს მეწარმეობისა და მეწარმის მიმართ მის დამოკიდებულებაში. კერძოდ, მეწარმის განსაზღვრაში კანტილიონი პრიორიტეტს ანიჭებს პროდუქტის წარმოებას და მის უფრო მაღალ ფასად გაყიდვას. ამასთანავე, იგი მეწარმეობასა და მეწარმეს უპირატესად ვაჭრობის სფეროს უკავშირებს.

ცნობილმა ფრანგმა ეკონომისტმა ჟ. ბ. სეიმ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მეწარმისა და მეწარმეობის საკითხების კვლევას. წარმოების პროცესში მან გამოჰყო ორი სტადია - სამეცნიერო და სამეწარმეო. მეორე სტადიის მთავარ მოქმედ პირად განიხილა მეწარმე, რომელიც „საკუთარი ხარჯით, რისკით ცდილობს სარგებლის მისაღებად რაიმე პროდუქტის წარმოებას“.<sup>2</sup> სეიმ მეწარმეს განსაზღვრავს როგორც ეკონომიკურ აგენტს, რომელიც ახდენს წარმოების ფაქტორთა კომბინირებას, „ეკონომიკური რესურსები

---

❖საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპი „laissez faire“ წარმოიშვა არა ინგლისში - იმ დროს ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში, არამედ საფრანგეთში და იგი ეკუთვნის ცნობილ ფრანგ ეკონომისტს, ფიზიოკრატ ფ. კენეს. მოგვიანებით ეს პრინციპი „ეკონომიკური ადამიანის“ ცნებასთან ერთად ფართოდ იქნა გამოყენებული კლასიკური ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლის ა. სმიტის მიერ სრულყოფილი კონკურენციის კაპიტალიზმის დასახასიათებლად.

1. Бейтон А., Казорла К., Дупло А. М. 25 ключевых книг по экономике. Челябинск, Урал, LTD, 1990, გვ. 18.

2. Сэй Ж. Б. Трактат по политической экономии. М., «Дело», გვ. 35.



დაბალი მწარმოებლურობისა და შემოსავლიანობის სფეროებიდან მაღალი მწარმოებლურობისა და შემოსავლიანობის სფეროებში გადაჰყავს“.<sup>1</sup>

მეწარმეობისა და მეწარმის შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ეკონომიკური თეორიის ავსტრიული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებელს ფ. ვიზერს, რომელიც მიიჩნევდა, რომ მეწარმე ერთდროულად წარმოების მესაკუთრეცაა და დამქირავებელიც, კრედიტორიც და დებიტორიც, არენდის გამცემიც და მიმღებიც (არენდატორიც). ამასთანავე, იგი წარმოების მართვაშიც იღებს მონაწილეობას. ვიზერი წერს: „მეწარმის ეკონომიკური ლიდერობა იწყება საწარმოს დაარსებიდან. იგი არა მარტო კაპიტალს დებს წარმოებაში, არამედ იდეის ავტორიცა, აზუსტებს და ახორციელებს გეგმას, იწვევს თანამშრომლებს. როდესაც წარმოება უკვე ორგანიზებულია, მეწარმე მმართველის პოზიციას იკავებს როგორც თეორიულ, ისე კომერციულ საკითხებში“.<sup>2</sup>

ეკონომიკური თეორიის ლოზანის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ვ. პარეტოს აზრით, მეწარმისათვის დამახასიათებელია მტკიცე ნება, მაღალი ინტელექტი, მორალური შეზღუდვებისაგან თავისუფლება და „კომბინაციური ინსტიქტის დომინირება“,<sup>3</sup> რასაც თანამედროვე ტერმინოლოგიით „ოპორტუნისტის ფსიქოლოგიას“ უწოდებენ.

მეწარმეობისა და მეწარმის პრობლემის კვლევაში ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ავსტრიელ ეკონომისტს ი. შუმპეტერს, რომლის პარადიგმა გულისხმობს ორი ტიპის მეწარმის-„ნოვატორისა“ და „კონსერვატორის“ დიქოტომიას. ევოლუციური პროცესი მის მიერ განიხილება „ნოვატორთა“ არენაზე გამოსვლის, მათი მხრიდან „კონსერვატორთა“ შევიწროების, ბაზრიდან თანმიმდევრული გამოდევნის და მათ მიერ გამოთავისუფლებული ნიშის დაკავების სახით. შუმპეტერი მეწარმის დახასიათებისას წინა პლანზე წამოსწევს ინოვაციების როლს და გამოჰყოფს მათ ორ ჯგუფს. პირველი

---

1. Сэй Ж. Б. Трактат по политической экономии. გვ. 37.

2. Автономов В. С. Австрийская школа и её представители. М., «Экономика», 1992, გვ. 93.

3. Парето В. Компендиум по общей социологии. М., Изд. дом ГУ ВШЭ, 2007, გვ. 26.

არის ის სიახლეები, რომლებიც ზემოქმედებს წარმოების პროცესზე, მეორე კი - პროდუქციაზე. ეს სიახლეები გაერთიანებულია შემდეგ ხუთ ჯგუფში:

1. ახალი მოხმარების საგნების შემოღება;
2. წარმოებისა და ტრანსპორტირების ახალი მეთოდები;
3. ახალი კომერციული შესაძლებლობები, ანუ ახალი ბაზრების ათვისება;
4. ნედლეულის ახალი სახეობების ექსპლოატაცია;
5. ახალი სამრეწველო ორგანიზაცია (მაგ., რომელიმე დარგის რეორგანიზაცია).<sup>1</sup>

სხვა ნაშრომში ი. შუმპეტერი წარმოების სამ კლასიკურ ფაქტორს (შრომა, მიწა, კაპიტალი) მეოთხე ფაქტორს ამატებს მეწარმეობის სახით.<sup>2</sup>

ამრიგად, მეწარმეობის ცნება აღმოცენდა საფრანგეთში და შემდეგ გავრცელდა კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნებში - გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში და ა.შ. ამჟამად ამ ქვეყნებში ეს ცნება უპირატესად გამოიყენება, თუმცა მზარდ კონკურენციას აწყდება ბიზნესის ცნების მხრიდან, რომელიც აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან შემოვიდა ევროპაში. სიტყვა „ბიზნესი“ გაჩნდა მეწარმეობიდან ოდნავ მოგვიანებით - მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში დიდი ბრიტანეთში და შემდეგ სწრაფად გავრცელდა აშშ-ში. ბიზნესი, მეწარმეობის მსგავსად, თავდაპირველად აღნიშნავდა ვაჭრობას და განიხილებოდა როგორც პირადი გამდიდრების წყარო. ამჟამად ინგლისურენოვან ლიტერატურაში თითქმის ყოველთვის გამოიყენება ბიზნესისა და ბიზნესმენის ცნებები, ხოლო მეწარმეობასა და მეწარმეს დაამოუკიდებლად თითქმის არ მოიხსენიებენ. ამ თვალსაზრისით, ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუძემდებელი პ. დრუკერი, რომელიც მკვეთრად მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან. იგი აღნიშნავს: „მეწარმეა ის ადამიანი, რომელიც იწყებს თავის წვრილ ბიზნესს... ამასთანავე, ყოველი ახალი წვრილი ბიზნესი არ წარმოადგენს მეწარმეობას“.<sup>3</sup> წვრილი ბიზნესი მეწარმეობას რომ წარმოადგენდეს, დრუკერის აზრით, იგი უნდა

1. Schumpeter J. Capitalism, Socialism and Democracy. London, Unwin Paperbacks, (1942) 1987, გვ. 32.

2. Schumpeter J. History of Economic Analysis. London, Allen and Unwin, 1954, გვ. 13.

3. Друкер П. Ф. Рынок: как выйти в лидеры. Практика и принципы. М., 1992, гв. 27.

ქმნიდეს «მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ან ახალ წყაროს, ან ახალ სამომხმარებლო მოთხოვნას».<sup>1</sup> ი. შუმპეტერის მსგავსად, პ. დრუკერიც მეწარმეობას პირდაპირ აკავშირებს ინოვაციებთან და წერს: „მეწარმეთა ამოცანაა სიახლეთა წყაროების მიზანმიმართული მოძიება და მათი მაქსიმალური გამოყენება წარმატების მისაღწევად“.<sup>2</sup> დრუკერი თვლის, რომ ბიზნესის სამყაროში მეწარმეები, ამ სიტყვის კლასიკური მნიშვნელობით, უმცირესობას შეადგენს. კაპიტალისტები, მენეჯერები და ინვესტორები არ არიან მეწარმეები, თუმცა ისინი საჭიროებენ კაპიტალსა და ინვესტიციებს. მეწარმეთა განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ (დრუკერის აზრით) ისინი ცდილობენ რაღაც ახლის, არსებულისაგან განსხვავებულის შექმნას და ფასეულობითი განწყობების გარდაქმნას. დრუკერი მიიჩნევს, რომ მეწარმეთა საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ბიზნესის სფეროთი. მეწარმეობად იგი მიიჩნევს ახალი უნივერსიტეტების, სამეცნიერო დაწესებულებების და ა.შ. დაარსებისაკენ მიმართულ აქტივობებს.

ამრიგად, პ. დრუკერი აგრძელებს ი. შუმპეტერის მიდგომას, რომელიც მეწარმის ფიგურას ინოვაციებთან აკავშირებს. ინოვატორ მეწარმეთა პირველი თაობა წარმოიშვა ინგლისში, სამრეწველო გადატრიალების ეპოქაში, ანუ ე. წ. „პირველ ინოვაციურ ტალღაზე“. მეწარმეთა რაოდენობა განუხრელად მატულობდა მეორე და მესამე ინოვაციურ ტალღებზე და ეს იყო ეკონომიკური პროგრესის უძლიერესი იმპულსი.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში „მეწარმეობის“ ცნება „ბიზნესთან“ შედარებით გაცილებით ადრე წარმოიშვა. პირველი უკავშირდება გასული საუკუნის პირველ ნახევარს,<sup>3</sup> მეორე კი - 90-იანი წლების დასაწყისს. ბიზნესის ცნების დამკვიდრებაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროფ. გ. ბაბუნაშვილის ღვაწლი, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა სტრუქტურაში

---

1. Друкер П. Ф. Рынок: как выйти в лидеры. Практика и принципы. გვ.29.

2. იგივე ნაშრომი. გვ. 30.

3. გოგიჩაიშვილი. ფ. ხელოსნობა საქართველოში. თბ., 1990; პ. გუგუშვილი. კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში და ამიერკავკასიაში. თბ., 1941.

საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა ბიზნესის ფაკულტეტი და დაიწყო იმ პერიოდისათვის ისეთი ახალი საგნე ბის სწავლება, როგორცაა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, ბიზნესის ორგანიზაცია, მენეჯმენტი და სხვ. ამ საგნებს ასწავლიდნენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორები დ. ძნელაძე, გ. შუბლაძე, გ. პაპავა, ვ. პაპავა, ე. მექვაბიშვილი და სხვ. ამ უკანასკნელს ეკუთვნის ბიზნესში ქართულ ენაზე პირველი სალექციო კურსი.<sup>1</sup>

**ეტიმოლოგიური ასპექტი.** ბევრი ფიქრობს, რომ მეწარმის შესაბამისი უცხო სიტყვაა „entrepreneur“, რომელიც წარმოდგება ინგლისური სიტყვისაგან „enterprise“ - საწარმო. სინამდვილეში ორივე ფრანგული სიტყვაა, აქედან შევიდა ინგლისურში და - არა პირიქით.\* “ ბიზნესი“ (business), ანუ საქმიანობა (საქმე) და შესაბამისად, ბიზნესმენი (businessmen) - საქმიანი ადამიანი წმინდა ინგლისური სიტყვებია, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში. ამ ეტიმოლოგიური განსხვავების უკან მნიშვნელოვანი ეკონომიკური შინაარსი იმალება, რომელსაც, ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო ცნებების სწორი განსაზღვრისათვის. მეწარმეობა დაკავშირებულია მთელი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებასთან, ანუ კვლავწარმოებასთან (საქონლისა და მომსახურების წარმოება, გაცვლა, განაწილება, მოხმარება). შესაბამისად, გამოიყოფა სამეურნეო აქტიურობის რამდენიმე სფერო. კერძოდ:

- უშუალო წარმოებითი პროცესების განხორციელება, ანუ საქონლის მომსახურების, ცოდნის, ინფორმაციის წარმოება;
- საშუამავლო ოპერაციების განხორციელება, ანუ საქმიანობა, რომელიც ემსახურება წარმოებული საქონლის მომხმარებლამდე მიტანას;

---

1. მექვაბიშვილი ე. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 1990.

\*შუა საუკუნეებში საფრანგეთში „ანტრეპრენიორი“ ნიშნავდა დიდი მუსიკალური წარმოდგენების, სხვადასხვა აღლუმების და სამშენებლო-საწარმოო პროექტების ორგანიზატორს. მე-17 საუკუნიდან ანტრეპრენიორს იმ პირებს უწოდებდნენ, რომლებიც განსაზღვრულ სამუშაოს შესრულებაზე კონტრაქტს აფორმებდნენ სახელმწიფოსთან და შუამავლის როლში გამოდიოდნენ შემკვეთსა და შემსრულებელს შორის.

- ფინანსური სფეროს ოპერაციები, რომლებიც ღირებულების ფორმათა ცვლილების პროცესს ემსახურება.

ეს სფეროები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ავსებს ერთმანეთს, თუმცა თითოეული მათგანის როლი და ადგილი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში განსხვავებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეწარმეობის ქვეშ ჩვენ განვიხილავთ არა მთელ კვლავწარმოების პროცესთან დაკავშირებულ საქმიანობას, არამედ უშუალოდ საწარმოო საქმიანობას, რომელიც ინფორმაციულ და ტექნიკურ მხარეებსაც მოიცავს. შესაბამისად, მეწარმე არის პირი, რომელიც დაკავებულია უშუალოდ საწარმოო საქმიანობით, ანუ მატერიალურ-ნივთობრივი დოვლათის ან მომსახურების შექმნით. მაშასადამე, ჩვენი ინტერპრეტაციით, ბიზნესი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მეწარმეობა და პირველი მოიცავს მეორეს. შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეობა არის წარმოებრივი ხასიათის ბიზნესი. აღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება დავეთანხმოთ პროფ. გ. შუბლამის მოსაზრებას, რომ „ბიზნესის განსაკუთრებული შემთხვევაა მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა)“.<sup>1</sup>

**თანამედროვე (გლობალური) ასპექტი.** ამჟამინდელი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირება-განვითარებას გლობალიზაცია განსაზღვრავს, რომლის ქვაკუთხედიცაა ფინანსური სფეროს გლობალიზაცია.<sup>2</sup> ფინანსური გლობალიზაცია რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენაა, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: ფინანსური სექტორი, რომელსაც ტრადიციულად მატერიალური წარმოების, ანუ ე.წ. „ფიზიკური ეკონომიკის“ მომსახურების ფუნქცია ეკისრებოდა, დღეს თავად დომინირებს მასზე. ეს მოვლენა ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ეკონომიკის „ფინანსებიზაციის“, „ფინანსური დესპოტიზმის“, „დერივატული კაპიტალიზმის“ და ა. შ. სახელწოდებებით. ფინანსური სექტორის დომინირების პირობებში არსებით მოდიფიცირებას განიცდის მეწარმის ტრადიციული შემპეტერისეული კლასიფიკაცია - „ნოვატორი“-

1. შუბლამე გ., წიგნოლოგიური ფ. ბიზნესის არსისა და დეფინიციის შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, N6, გვ. 134.

2. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009, გვ. 38.

„კონსერვატორი“. სწორედ ფინანსურ სფეროში წარმოიშობა და განუხრელად ძლიერდება ბიზნესმენის ტიპი, რომელსაც „მტაცებლებს“ („ზვიგენებს“) უწოდებენ. ესენი არიან ბანკირები და საფონდო ბირჟების სხვადასხვა მოთამაშეები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მოგებისადმი დაუოკებელი სწრაფვა. ისინი გამოსულნი არიან ყოველგვარი მორალურ-ეთიკური ჩარჩოებიდან, ხშირად კანონებსაც არღვევენ და უპირატესად სპეკულაციური ოპერაციებით აგროვებენ უზარმაზარ ქონებას. მათი ფსიქოლოგია მკვეთრად გამოხატული მომხვეჭელობითი ხასიათისაა.<sup>1</sup> ამკარაა, რომ ამ „ფინანსური ზვიგენების“ მეწარმეებად ჩათვლა შეცდომა იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ საქმიანობაში ისინი ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ფინანსურ ინოვაციებს.

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში სრულ უფრო ხშირად გამოითქმის მოსაზრება, რომ ბოლო დროს გახშირებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი სწორედ ფინანსური სფეროს დომინირება და „ფინანსური ზვიგენების“ ჰიპერაქტიურობაა. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მათი მოქმედების სფეროს შეზღუდვა და ჭეშმარიტი მეწარმის სამოქმედო არეალის გაფართოება, რაც ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანს ამჟამად ამოყირავებული პირამიდის კონფიგურაციის მქონე მსოფლიო და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ სისტემებს. წარსული დროისა და თანამედროვე მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებული გამოვყოთ შემდეგი მთავარი მახასიათებლები:<sup>2</sup>

- ინიციატივა;
- მოგებისაკენ სწრაფვა;
- ინოვაციურობა;

---

1. Ольсевич Ю. Я. Психологические основы экономического поведения. М., 2009, გვ. 57.

2. ფრანგი ეკონომისტი და სახელმწიფო მოღვაწე რ. ბარი მეწარმეობის კიდევ ერთ მხარეს გამოყოფს და აღნიშნავს: „XX საუკუნის ეკონომიკაში პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს მეწარმის ფუნქციის განუყოფელ ნაწილს“ – იხ. : Барр Р. Политическая экономия. Т.1, М., 1995. გვ.360. ბარის ეს

სიტყვები მთლიანად შეიძლება გავრცელდეს 21-ე საუკუნის მეწარმეზედაც.

- რისკი.

ჩამოთვლილი ნიშნებიდან პირველი სამი საფუძვლიანადაა განხილული უცხოურ და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, რასაც ვერ ვიტყვით რისკთან დაკავშირებით. ამიტომ სწორედ მასზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სიტყვა რისკი წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „რისკონი“, რაც პირდაპირი მნიშვნელობით გემის ქიმს ნიშნავს. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ რისკი ფართო და ვიწრო გაგებით. პირველი თვალსაზრისით, რისკი იმგვარი სიტუაციის დახასიათებაა, რომლის შედეგები განუჭვრეტელია. რისკი ასევე გულისხმობს არადამაჯერებლობას ან სასურველი შედეგის დადგომის შესახებ სარწმუნო ცოდნის (ინფორმაციის) მიღების შეუძლებლობას. რისკის ვიწრო გაგების ქვეშ იგულისხმება არასასურველი შედეგის დადგომის ალბათობა ან მისი გაზომვის (შეფასების) შესაძლებლობა. ყოფით სიტუაციებში რისკის ცნება გამოიყენება დანაკარგის საფრთხის სინონიმად.

ფსიქოლოგიის მეცნიერებაში რისკის ცნება უკავშირდება ორ ძირითად წარმოდგენას:

- რისკი, როგორც საქმიანობაში წარუმატებლობის მოლოდინის ზომა;
- რისკი, რომლითაც სუბიექტს გარკვეული დანაკარგი (წაგება, ავადმყოფობა, სხვადასხვა ზარალი და ა.შ.) ემუქრება.

ბიზნესთან და მეწარმეობასთან დაკავშირებული კომერციული რისკი იმით განსხვავდება ზოგადი რისკისგან, რომ იგი ეფუძვნება ფხიზელ გათვლას და უარყოფითი შედეგის შესაძლო შედეგის დადგომის გაცნობიერებას. წარმატებისაკენ გულმოდგინე სრაფვა ბალანსირდება მეურნეობრივი პასუხისმგებლობით. ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებს განუზღვრელობის გარკვეული ხარისხი გააჩნია ანუ ეს პროცესები არის არადეტერმინირებული, სტოქასტური და ალბათური ხასიათის. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ ბიზნესმენის მხრიდან მიღებული ნებისმიერი ოპერატიული და განსაკუთრებით სტრატეგიული გადაწყვეტილება გარკვეული ხარისხის რისკის შემცველია. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ამერიკელი

მეცნიერი პ.სამუელსონი შენიშნავდა: „ბაზრის შესახებ ჩვენი გამოკვლევები იმ წინასწარმეტყველებას ემყარება, რომ დანახარჯები და მოთხოვნა თავიდანვეა ცნობილი და თითოეულ საწარმოს შეუძლია გაითვალისწინოს მისი კონკურენტ საწარმოს ქცევა. ამასთანავე, განუზღვრელობა და რისკი – ბიზნეს სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია“.<sup>1</sup>

ბიზნესის ძირითადი არსია კაპიტალის აწმყოში დაბანდება მომავალში მოგების მიზნით და ამ თვალსაზრისით ბიზნესმენი განუზღვრელი მომავლის „მძევალი“ ხდება. შესაბამისად აუცილებელია იმ ინსტრუმენტების არსებობა, რომლებითაც შესაძლებელია ამ განუზღვრელობის მოხსნა, შემცირება ან გადანაწილება სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტებს შორის.

რისკისადმი მიდრეკილება წარმოადგენს ფსიქოლოგიის შედარებით მდგრად მახასიათებელ თვისებას. იგი უკავშირდება ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა: იმპულსურობა, დამოუკიდებლობა, წარმატებისკენ სწრაფვა, დომინირებისადმი მიდრეკილება და ა.შ. ყველა ეს თვისება განსაკუთრებული ძალითაა გამოხატული მეწარმის (ბიზნესმენის) ფიგურაში. რისკიან ქცევაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს კულტურა და სოციალური გარემო, რომელშიდაც ინდივიდები არსებობენ.

რისკის ცნებიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ განსხვავება ბიზნესმენს (მეწარმეს) და მენეჯერს შორის. ორივე მათგანი მაღალი მიზანსწრაფულობით გამოირჩევა, თუმცა განსხვავებულია მათი დამოკიდებულება სიახლეებისა და რისკების მიმართ. მენეჯერები უფრო უფროთხიან ერთსაც და მეორესაც, რადგან მათი მთავარი ამოცანაა იმ კოლექტივში სტაბილურობის შენარჩუნება, რომლებსაც ისინი მართავენ. ბიზნესმენი, განსაკუთრებით კი მისი ნაირსახეობა – მეწარმე მენეჯერისგან განსხვავებით უფრო მიდრეკილია ცვლილებებისკენ, განვითარებისაკენ და რისკისაკენ. აქედან გამომდინარე ჩვენ ვერ დავეთანხმებით მენეჯმენტის ცნობილი ამერიკელი სპეციალისტის ი. ანსოფის მოსაზრებას, რომ

---

1 . Самуельсон П.Э., Нордхаус В.Д. Микроэкономика. Москва – Санкт-Петербург – Киев. 2008. გვ. 374-375.



მენეჯერთა საქმიანობა რისკის იმავე ხარისხთანაა დაკავშირებული, როგორც მეწარმეების და ამ თვალსაზრისით მენეჯერებიც მეწარმეები არიან.<sup>1</sup>

ანსოფი ასევე მიიჩნევს, რომ მეწარმეებად შეიძლება ჩაითვალოს მესაკუთრე – აქციონერები და ეს განსაკუთრებით შეეხება მსხვილ აქციონერებს, რომლებიც ახორციელებენ კომპანიების აღმასრულებელი რგოლების კონტროლს. შესაბამისად, „ადგილი აქვს სამეწარმეო–სამეურნეო–სახელისუფლებო უფლებამოსილებათა გაყოფას ხელმძღვანელობის ფუნქციად და მართვის ფუნქციად. პირველ ფუნქციას ასრულებენ აუქციონერები, მეორეს კი მენეჯერები. ორივენი ამავედროულად წარმოადგენს სამეურნეო ძალაუფლების მატარებელ თანაბარუფლებიან სუბიექტებს“.<sup>2</sup>

ამრიგად, მოცემული პარაგრაფის მოკლე შეჯამების სახით შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა.

1. მკაცრი მეცნიერული აზრით, ბიზნესი და მეწარმეობა არ არის იდენტური ცნებები.
2. ამასთანავე, კვლევის კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე მათი გაიგივება არ შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს.
3. ქართულ ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ბიზნესის გვერდით მეწარმის ცნების დამკვიდრება განაპირობა კანონმა „მეწარმეობის შესახებ“, რომელიც ემყარება გერმანულ ანალოგს. აღნიშნული კანონის შექმნაში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანელი იურისტები.
4. სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ჩვენ ვაყალიბებთ ბიზნესის (მეწარმეობის) შემდეგ განმარტებას: ეს არის სამეურნეო საქმიანობის კონკრეტული ფორმა, რომლის განმახორციელებელი ეკონომიკური სუბიექტების (ბიზნესმენების და მეწარმეების) მოქმედებას ახასიათებს: ინიციატივა, პასუხისმგებლობა, ნოვატორულობა, რისკი და ეს საქმიანობა მიმართულია მოგების მისაღებად.

---

1. Ансофф. И. Новая корпоративная стратегия. С-Петербург, 1999. გვ.207.

2. დასახელებული ნაშრომი. გვ.279–280.

## 2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის (მეწარმეობის) როლი

საწარმოები ზომის მიხედვით შემდეგნაირად იყოფა: მსხვილი, საშუალო და მცირე.<sup>1</sup> 2011 წლის დასაწყისში საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებით გაჩნდა აგრეთვე მიკროსაწარმოს ცნება. მცირე და საშუალო საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისათვის 20 დასაქმებულს და 500ათას ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის 100 კაცზე მეტ დასაქმებულს და 1მლნ 500ათას ლარზე მეტ წლიურ ბრუნვას.

გასული საუკუნის მანძილზე მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1959–იანი –1960–იანი წლების მიჯნამდე იგი ითვლებოდა სუსტადგანვითარებულ, უპერსპექტივო სექტორად და ძირითადი აქცენტი კეთდებოდა მსხვილ კორპორაციებზე, რომლებიც წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია–ცენტრალიზაციის კანონზომიერი შედეგი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით დასახლებული პერიოდიდან მოყოლებული, ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყნებმა ორიენტაცია აიღეს მოსახლეობის სრულ დასაქმებასა და ინდივიდთა მოთხოვნილებების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებაზე. ამ სტრატეგიის რელიზაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად გადაიქცა მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარება, რაც გულისხმობდა აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას. შესაბამისად, მცირე და საშუალო მეწარმეობა (ბიზნესი) განვითარებული ქვეყნების ეროვნული მეურნეობების განუყოფელ და ყველაზე დინამიურ ნაწილად გადაიქცა. მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება იმ ფუნქციებში, რომელსაც ეს სფერო ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ,

---

1. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. (სტატისტიკური პუბლიკაცია). თბ., 2009, გვ.7.

პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ ფუნქციებში რეალიზდება მცირე და საშუალო ბიზნესის როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

პირველ რიგში ჩვენ გამოვყოფთ მცირე და საშუალო მეწარმეობის ლატენტურ საზოგადოებრივ ფუნქციებს:

- საბაზრო ეკონომიკის მობილურობისა და მოქნილობის უზრუნველყოფა, რომელიც მიიღწევა ღრმა კოოპერირების გზით და მიმართულია კონკრეტულ მომხმარებელთა მრავალფეროვანი და სწრაფად ზრდადი მოთხოვნილებების ეფექტიანად დაკმაყოფილებისაკენ;
- სამეწარმეო სულისკვეთების ფორმირება, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის არსებობა და განვითარება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მცირე მეწარმეობა(ბიზნესი) არ მოითხოვს დიდ საწყის კაპიტალდაბანდებებს და ხელმისაწვდომია საზოგადოების დიდი ნაწილისათვის;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის (ბიზნესის) სოციალური ფუნქცია, რომელიც გამოიხატება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ცნებაში (Social Responsibility of Businesses). ეს უკანასკნელი გულისხმობს „ბიზნესის ვალდებულებას წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად სოციალურ–ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარებაში, ხელი შეუწყოს საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაციას და ნეგატიური გავლენის მინიმიზაციას ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუმჯობესების გზით, დაიცვას ეთიკური პრინციპები“<sup>1</sup>
- საშუალო კლასის ჩამოყალიბების საფუძვლის მომზადება.

საშუალო კლასი საზოგადოების არა მარტო მატერიალური კეთილდღეობის მთავარი შემქმნელი ძალაა, არამედ „განვითარების კლასია“, რომელიც ორიენტირებულია პოსტინდუსტრიული ტიპის ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ახალი ეკონომიკის შექმნაზე. ამასთანავე საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მისი

---

1. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2012, გვ.62.

ნორმალური არსებობა შესაძლებელია მხოლოდ სოლიდარულ, თვითმმართველურ და დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს რეალობიდან და განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე. ამიტომ მის განხილვაზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი კანონზომიერება იყო საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია, რომელმაც შეცვალა საბჭოური მოდელისათვის ნიშანდობლივი სოციალური ერთგვაროვნების სურათი. ამასთანავე, აშკარაა პოსტკომუნისტური პერიოდის საქართველოში სოციალური დიფერენციაციის სიმწვავე და სიღრმე. კერძოდ, დეცილური კოეფიციენტის სიდიდე<sup>1</sup> 1980-იანი წლების ბოლოსათვის არ აღემატებოდა თანაფარდობას 4:1-თან. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში არა მარტო ზოგადად გაიზარდა ამ კოეფიციენტის სიდიდე (2010 წელს მთლიანი ხარჯების მიხედვით იგი აღწევს – 16:1, ხოლო ფულადი ხარჯების მიხედვით – 17:1),<sup>2</sup> არამედ არსებითად შეიცვალა მისი სტრუქტურა: ამჟამინდელი საშუალო შემოსავლები და ხარჯები, ქართული ლარისა და 1980-იანი წლების ბოლო პერიოდის საბჭოთა მანეთის მსყიდველობითი უნარიანობის თანაფარდობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად დაუახლოვდა (90%) საქართველოს დამოუკიდებლობის წინა პერიოდის მაჩვენებელს. ამასთანავე, 2010 წელს უდაბლესი, პირველი დეცილური ჯგუფის მთელი შემოსავლების მსყიდველობითი უნარიანობა 1990 წლის შესაბამისი ჯგუფის 64 პროცენტია, უმაღლესი მეათე ჯგუფის მიხედვით კი თანაფარდობა შეადგენს 115 პროცენტს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ საქართველოში ამჟამინდელი ღარიბები ორი ათეულზე მეტი წლის წინანდელ ღარიბებზე ხელმოკლენი არიან, ხოლო ამჟამინდელი მდიდრები მაშინდელთან შედარებით უფრო მდიდრები.

---

1. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც გაიანგარიშება მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი მეათე ჯგუფის შემოსავლების /ხარჯების თანაფარდობით ყველაზე დაბალშემოსავლიანი, პირველი ჯგუფის შემოსავლებთან/ ხარჯებთან.

2. საქართველო: შინამეურნეობები. 2010, გვ.67.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა (პოსტკომუნისტურ) სივრცეში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენცირების ზემოაღნიშნული კოეფიციენტი საქართველოში ყველაზე მაღალია და აღემატება: უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელს – 2,5-ჯერ, სომხეთისას – 1,9-ჯერ, აზერბაიჯანისას – 1,6-ჯერ, რუსეთისას – 1,3-ჯერ და ა.შ.<sup>1</sup> საქართველოში საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკური სტრატეფიკაცია ჯერადად განსხვავდება იმ ოპტიმუმისაგან, რის შესახებაც უკვე მიღწეულია კონსესუსი შესაბამის სამეცნიერო და პრაქტიკულ წრეებში. კერძოდ, ოპტიმალურად ითვლება შემდეგი სტრატეფიკაცია: ღარიბებისა და მდიდრების წილი –15–20 პროცენტი თითოეული, საშუალო კლასი – დაახლოებით 60–65 პროცენტი. პოსტკომუნისტურ გარდამავალი პერიოდის საქართველოში მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა დაახლოებით ასე გამოიყურება: მდიდრები – 5 პროცენტი, შეძლებულები – 10 პროცენტი, ნაკლებად უზრუნველყოფილები – 20 პროცენტი, ღარიბები – 45 პროცენტი, ლატაკები – 10 პროცენტი.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ღარიბთა და ლატაკთა და სიღარიბის რისკის ზონაში მყოფთა ხვედრითი წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაშ შეადგენს დაახლოებით 85 პროცენტს, რაც ძალიან ცუდი და სახიფათო მაჩვენებელია.

შესაბამისად, ქვეყანაში არსებული სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედს უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაჭრის აუცილებელი პირობებია: დასაქმების ზრდა, დასაქმების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის და მის საფუძველზე მთლიანი შიდა პროდუქტისა და მასთან მაღალ კორელაციაში მყოფი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. სწორედ ბიზნესისა და ზოგადად ეკონომიკის განუვითარებლობის გამო მასობრივად ტოვებს ქვეყანას შრომისუნარიანი მოსახლეობა. ერთი შეხედვით, რაც უფრო მეტი ღარიბი ადამიანი დატოვებს ქვეყანას, დარჩენილთა ცხოვრების დონე, საშუალო მოხმარება, კეთილდღეობა უფრო მაღალი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც წესი,

1. Human Development Report 2009/2010, გვ. 311-312.

2. გაბიძაშვილი ბ., შონია ზ., კირვალიძე ზ. „ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს?“ „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №2, გვ.37.

მიგრანტთა დიდი ნაწილი შედარებით ახალგაზრდა, ეკონომიკურად, დემოგრაფიულად ყველაზე აქტიურ ასაკში მყოფი მოსახლეობაა, რის გამოც მიგრაცია ამცირებს ადგილზე დარჩენილი მოსახლეობის ეკონომიკურ პოტენციალს.

საქართველოში კეთილდღეობის დონის მსოფლიოს საშუალო დონისგან თითქმის სამჯერადი ჩამორჩენის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საზოგადოებაში საშუალო კლასის ფაქტობრივად არარსებობა, რასაც თავის მხრივ განაპირობებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი წილი ქვეყნის ეკონომიკაში. კერძოდ მსხვილი ბიზნესის წილი 2–ჯერ, ხოლო მცირე ბიზნესისა თითქმის 3–ჯერ ჩამორჩება შესაბამის ევროპულ დონეს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება არის საშუალო კლასის ჩამოყალიბების გარანტი. საშუალო კლასის როლი კი თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებულია, რაც შემდეგში გამოიხატება:

- საშუალო კლასი პირადი და ეკონომიკური თავისუფლების გარანტია. მისი სასიცოცხლო ინტერესია თავისუფალი მოქმედების არაელის გაფართოება და განმტკიცება. ეს უპირველეს ყოვლისა, შეეხება თავისუფალ საბაზრო სივრცეს. შუა საუკუნეების პერიოდის ე.წ. კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებიდან მოყოლებული მეწარმეები მუდმივად იბრძოდნენ საკუთარი საქმიანობის თავისუფლებისათვის, ნებისმიერი კერძო საკუთრების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვისათვის;
- საშუალო კლასი ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის, სოციალური თანხმობის მიღწევისა და სოციალური ინტერესების დაბალანსების საფუძველია;
- საშუალო კლასი ეკონომიკის დინამიური განვითარების გარანტია. მეწარმე არის ინოვაციური და კომუნიკატორი, რომელიც ითვისებს ახალ ბაზრებს და ამყარებს ახალ კავშირებს. მისთვის უმნიშვნელოვანესია კონკურენციაში წარმატების მიღწევა, რაც ეკონომიკის დინამიზმის აუცილებელი პირობაა.

- საშუალო კლასი წარმოშობს სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებლობას, სადაც ყველა თანაბრად ემორჩილება და ასრულებს კანონებს. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც საბაზრო სისტემის შემადგენელი ნაწილი, ემყარება პარტნიორთა შორის საკონტრაქტო სისტემას. ბიზნესის სუბიექტთა შორის კონტრაქტის გაფორმება და ნაკისრ ვალდებულებათა უპირობო შესრულება არ წარმოადგენს მხოლოდ მასში მონაწილე ორი მხარის იზოლირებულ აქტს. ამ ურთიერთობებზე უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენს ის გარემო, სადაც მზადდება და ფორმდება ეს გარიგება, რომლის მონაწილეები დარწმუნებული უნდა იყვნენ მიღწეული შეთანხმების დაცვაში. ყოველივე აღნიშნული გულისხმობს მიუკერძოებელი, მაღალი ნდობის ხარისხით აღჭურვილი სამართლიანი სასამართლოს არსებობას, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია.

მცირე და საშუალო ბიზნესის ზემოაღნიშნულ ლატენტურ ფუნქციებთან ერთად შეიძლება გამოიყოს მისი უფრო ვიწრო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციები. კერძოდ:

- მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში იქმნება ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი. ასე მაგალითად, ევროკავშირის ექვს ქვეყანაში (ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წონა მთელ საწარმოთა რაოდენობაში შეადგენს 80 პროცენტს და ისინი აწარმოებენ ამ ქვეყნებში ახლადშექმნილი ღირებულების 35–იდან 70 პროცენტამდე.<sup>1</sup> აშშ – ში 2010 წელს რეგისტრირებულმა მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობამ 24,6 მლნ–ს მიაღწია და მათ მიერ იწარმოებოდა ამ ქვეყნის მშპ–ს 45 პროცენტამდე.<sup>2</sup>
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში. ევროკავშირის ზემოაღნიშნულ ექვს ქვეყანაში მცირე

1. ლუდუშაური ნ., გუგავა გ. მცირე საწარმოების ფუნქციონირების ზოგიერთი უცხოური გამოცდილება. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2001, №1, გვ.99.

2. იგივე ნაშრომი. გვ.63.

და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წონა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 40–70 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.<sup>1</sup>

მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალებას იძლევა დასაქმდეს მეტი ადამიანი და ნაკლებად იყვნენ ისინი დამოკიდებული სახელმწიფო შემწეობაზე. როდესაც ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი საქმე, სამუშაო და შესაბამისად, შემოსავლებიც, სახელმწიფოს საგრძნობლად უადვილდება საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესრულება.

- განსაკუთრებით აღსანიშნავია მცირე ბიზნესის როლი ინოვაციური პროცესების დაჩქარებაში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ინოვაციურობა მეწარმეობისათვის იმანენტურადაა დამახასიათებელი, თუმცა განსაკუთრებული სიძლიერით იგი მცირე ბიზნესში ვლინდება. ამერიკელი ეკონომისტების გაანგარიშებით, ინოვაციების შექმნაზე ერთ მეცნიერზე და ინჟინერზე მცირე ფირმებში 4–ჯერ ნაკლები დანახარჯები მოდის ვიდრე საშუალო საწარმოებზე და 24–ჯერ ნაკლები ვიდრე მსხვილ კორპორაციებზე.<sup>2</sup> მცირე და საშუალო ფირმებში გამოგონებებისა და ინოვაციების რიცხვი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 4–ჯერ მეტი, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში ახალი ან განახლებული ნაკეთობების ხვედრითი წონა მესამედით მეტია მსხვილ კორპორაციებთან შედარებით. განვითარებულ ეკონომიკებში მცირე ბიზნესი მსხვილ ბიზნესს კი არ უპირისპირდება, არამედ ისინი ორგანულად ავსებენ ერთმანეთს. მცირე საწარმოები მსხვილი საწარმოებისათვის სიახლეთა გამოცდისა და ათვისების პოლიგონს წარმოადგენს. იქმნება მსხვილი და მცირე საწარმოთა ქსელები, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიულად განვითარებული და პოსტიდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

---

1. ლუდუშაური ნ., გუგავა გ. მცირე საწარმოების ფუნქციონირების ზოგიერთი უცხოური გამოცდილება.

ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2001, №1, გვ.63.

2. ერქომაიშვილი გ. ბიზნესი: ფირმის ეკონომიკა. თბ., 2007, გვ.25.



უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების როლი ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში. ადგილობრივი რესურსების სიმწირის პირობებში მიზანშეუწონელია მსხვილი საწარმოების შექმნა. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა რესურსებით მათი სხვა რეგიონებიდან მომარაგება, რაც გაზრდიდა წარმოების ხარჯებს და შეამცირებდა ასეთი საწარმოების კონკურენტუნარიანობას. მცირე საწარმოების პირობებში ადვილად ხდება ადგილობრივი მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება.

- ცალკე უნდა გამოიყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ფისკალური ფუნქცია. ბევრ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოები გადასახადებს იხდიან ადგილობრივ (მუნიციპალურ) ბიუჯეტებში და წარმოადგენენ ლოკალურ დონეზე მმართველობის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის ძირითად წყაროს.
- მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენს მოხმარების საგნებითა და მომსახურებით ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების მნიშვნელოვან წყაროს, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოთა სოციოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ 2007 წელს ვაჭრობის დარგის საწარმოთა უმრავლესობა (45,2 პროცენტი) ვაჭრობდა ძირითადად იმპორტულ საქონლით, 18,8 პროცენტი მხოლოდ იმპორტული საქონლით და 11,5 პროცენტი მხოლოდ ადგილობრივი წარმოების საქონლით. დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო 2008 წელს. კერძოდ, ვაჭრობის დარგის საწარმოთა უმრავლესობა (40,4, პროცენტი) ვაჭრობდა ძირითადად იმპორტული საქონლით და 8,5 პროცენტი მხოლოდ ადგილობრივი წარმოების საქონლით. 2007 წელს გამოკვლეულ სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა (77,7 პროცენტი) საკუთარ პროდუქციას ასაღებდა მთლიანად ადგილობრივ ბაზარზე (2008 წელს 73,5 პროცენტი), 9,7 პროცენტი – ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე (2008 წელს –10,1 პროცენტი), 2,8 პროცენტი ძირითადად საგარეო ბაზარზე (2008 წელს–1,7

პროცენტი), 0,6 პროცენტი – მხოლოდ საგარეო ბაზარზე (2008 წელს 2,3 პროცენტი), ხოლო საწარმოთა 1,5 პროცენტს საერთოდ არ უჭირდა გასაღების ბაზრის პოვნა (2008 წელს – 1,7პროცენტს).<sup>1</sup>

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ერთი მხრივ, ვაჭრობის დარგის მცირე და საშუალო საწარმოები უმთავრესად იმპორტული პროდუქტებით ვაჭრობენ, ხოლო მეორე მხრივ, მცირე და საშუალო სამრეწველო საწარმოები ძირითადად ადგილობრივ ბაზრებზე არიან ორიენტირებული. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარება წარმოადგენს ადგილობრივი ბაზრის უცხოური, ხშირ შემთხვევაში უხარისხო, პროდუქციისაგან დაცვის ეფექტიან საშუალებას.

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს როგორც ინდუსტრიულად განვითარებული, ისე განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ამ სფეროს პრობლემების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

### 2.3. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივა საქართველოში

მეოცე საუკუნის 90–იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში აღინიშნა სამეწარმეო აქტიურობის გამოცოხლება, რაც რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა. კერძოდ, მიღებული იქნა სპეციალური კანონი `მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ`, რომელმაც განსაზღვრა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის ძირითადი პრინციპები, მოცემული სფეროს საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები, მეთოდები და ფორმები. დაფუძნდა

---

1. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში. (სტატისტიკური პუბლიკაცია). თბ., 2009, გვ.79.

მცირე საწარმოთა საკორდინაციო საბჭო, მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ფონდი, რომლებსაც აღნიშნული კანონის შესაბამისად დაეკისრა ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებათა კოორდინაცია, საწარმოთა ხელშეწყობის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ორგანიზება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ზემოაღნიშნული მიმართულებით ბოლო რვა წლის მანძილზე. კერძოდ:

- წარმატებით განხორციელდა ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომელმაც მინიმუმამდე შეამცირა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ბიზნესმენებისაგან ქრთამის აღების ფაქტები;
- მნიშვნელოვნად გაადვილდა ბიზნესის დაწყება, რაც გამოიხატა დარეგისტრირების პროცესის გამარტივებასა და მისი ვადების შემცირებაში;
- გაუქმდა ლიცენზიების უმეტესობა და საგრძნობლად გამარტივდა ქონების რეგისტრაციის პროცედურა;
- მნიშვნელოვნად გამარტივდა საგადასახადო კოდექსი. შემცირდა გადასახადების რაოდენობა, საგადასახადო და საბაჟო გადასახადების განაკვეთები; საგადასახადო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა პრაქტიკაში დაამკვიდრა მცირე ბიზნესის შეღავათიანი რეგულაცია, მიკრო ბიზნესი კი საერთოდ გაათავისუფლა გადასახადებისგან;
- განხორციელდა შრომის კოდექსის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია.

ამასთანავე, საქართველოში დღეს ბიზნესის განვითარების მრავალი ხელშემშლელი მიზეზი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არის შემდეგი:

- ზედმეტად არამყარი და არაპროგნოზირებადი ბიზნეს გარემო, რასაც განაპირობებს საკანონმდებლო ბაზაში ხშირად შეტანილი ურთიერთსაწინააღმდეგო და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შესწორებები;
- ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი დონე;
- საკუთრების უფლების ხშირი დარღვევა;

- ადმინისტრაციულ დავებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიკერძოებული გადაწყვეტილებების ხშირად მიღება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უაღრესად პრობლემატურობა;
- ეკონომიკური სუბიექტების მიერ საქმიანობის შეწყვეტისა და ბაზრიდან გასვლის პროცედურათა სირთულე;
- უცხოელი ბიზნესმენების ხშირ შემთხვევაში პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება ადგილობრივთან შედარებით;
- მეწარმეთა განათლების არასაკმარისი დონე და პროფესიული უნარ-ჩვევების განუვითარებლობა.

სწორედ ზემოაღნიშნული და რიგი სხვა მიზეზების გამო მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროს განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით, როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე ბევრ განვითარებად და პოსტკომუნისტური ეკონომიკის ქვეყანას. განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესზე მოდის მშპ-ს ნახევარზე მეტი. იგი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი წყაროა და უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეობის 55–60 პროცენტის დასაქმებას. ევროკავშირის ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოების ხვედრითი წილი მშპ – ში საშუალოდ 65 პროცენტი, ხოლო დასაქმებაში 72 პროცენტია. ამ ქვეყნებში მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით ფუნქციონირებს საშუალოდ 45 მცირე საწარმო, მაშინ როცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 15–ს არ არემატება. ჩვენ ქვეყანაში მცირე საწარმოთა წილად მოდის შექმნილი მშპ-ს მხოლოდ მეოთხედი, ხოლო აქ დასაქმებულთა წილი დასაქმებულთა მთელი რაოდენობის 30 პროცენტის ფარგლებშია. მცირე საწარმოები საქართველოში დღეს ვერ ასრულებს სასურველ ფისკალურ როლს. მათ მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება არ აღემატება ქვეყნის კრეზსითი მაჩვენებლის 20 პროცენტს. მცირე საწარმოები ჩამორჩება კაპიტალაღჭურვილობისა და შრომის ნყოფიერების მიხედვითაც.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის (ბიზნესის) მდგომარეობის ანალიზი ჩვენ განვახორციელეთ იმ სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე,

რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებში ჩატარდა 2007, 2008 და 2011 წლებში. პირველი პროექტი დაფინანსებული იყო ევროპის კომისიის მიერ და განახორციელა სტატისტიკის დეპარტამენტმა, მეორე დაფინანსდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის(IFC) და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) მიერ. მოცემულ პარაგრაფში ყველა მონაცემი სწორედ ამ მასალებიდანაა აღებული.

2008 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის მთლიანმა ბრუნვამ 767,9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2007 წელთან შედარებით 13,7 პროცენტით იყო შემცირებული. მცირე და საშუალო ბიზნესის წლიური ბრუნვა 2008 წელს ბიზნესის სექტორის მთლიანი ბრუნვის 15,6 პროცენტი იყო, რაც თითქმის 2 პროცენტით ჩამორჩებოდა 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2011 წელს საქართველოში საწარმოთა (ბიზნეს სექტორის) მთლიანმა ბრუნვამ შეადგინა 687 მილიონი ლარი. მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის 15,4 პროცენტი იყო ანუ ჩამორჩებოდა როგორც 2008 წლის ისე განსაკუთრებით 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 2008 წელს 459,1 მილიონი ლარი ანუ ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 17,1 პროცენტი შეადგინა, რაც 10,1 პროცენტით ჩამორჩებოდა 2007 წლის მაჩვენებელს (2007 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის პროდუქციის გამოშვებამ ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 19,0 პროცენტი შეადგინა). 2011 წელს პროდუქციის მთლიანი გამოშვების მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოების წილად მოდიოდა ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების 16,3 პროცენტი. მთლიანი ბრუნვა საკვლევ პერიოდებში საწარმოების ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

2007 წელს

- მცირე საწარმოები – 46,3 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 53,7 პროცენტი.

2008 წელს

- მცირე საწარმოები – 51,1 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 48,9 პროცენტი.

### 2011 წელს

- მცირე საწარმოები – 53,8 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 46,2 პროცენტი.

ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში. კერძოდ,

### 2007 წელს

- მცირე საწარმოები – 38,6 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 61,4 პროცენტი.

### 2008 წელს

- მცირე საწარმოები – 46,2 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 53,8 პროცენტი.

### 2011 წელს

- მცირე საწარმოები – 48,5 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 51,5 პროცენტი.

მცირე და საშუალო საწარმოების მიერ განხორციელებულმა მთლიანმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ კაპიტალში 2008 წელს 36,1 მილიონი ლარი ანუ ბიზნეს სექტორში განხორციელებული ინვესტიციების 16,2 პროცენტი შეადგინა, რაც საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

- მცირე საწარმოები – 86,1 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 14,9 პროცენტი.

### 2007 წელს შემდეგნაირ განაწილებას ჰქონდა ადგილი:

- მცირე საწარმოები – 22,9 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 77,1 პროცენტი

2011 წელს

- მცირე საწარმოები – 33,1 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 66,9 პროცენტი

მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა მთლიანმა რაოდენობამ 2007 წელს შეადგინა 138092 პირი ანუ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 42,1 პროცენტი. დასაქმებულთა რაოდენობა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

- მცირე საწარმოები – 48,2 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 51,8 პროცენტი

2008 წელს მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი შეადგენდა ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 30,3 პროცენტს. დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

- მცირე საწარმოები – 57,6 პროცენტი,
- საშუალო საწარმოები – 42,4 პროცენტი.

2011 წელს დასაქმებულთა 64,8, პროცენტი თავმოყრილი იყო მსხვილ ბიზნესში, 19,9 პროცენტი – მცირეში, 14,3 პროცენტი – საშუალოში.

საშუალო თვიურმა ხელფასმა მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში 2007 წელს შეადგინა 300,9 ლარი, მაშინ როდესაც მსხვილ ბიზნესში საშუალო თვიური ხელფასის სიდიდე შეადგენდა 581,9 ლარს. 2008 წელს შესაბამისად – 366,7 ლარს და 720,8 ლარს; 2011 წელს კი – 503,3 ლარს და 717,7 ლარს.

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი ასე გამოიყურებოდა:

2007 წელს

- მცირე საწარმოები – 252,0 ლარი,
- საშუალო საწარმოები – 337,0 ლარი.

## 2008 წელს

- მცირე საწარმოები – 306,0 ლარი,
- საშუალო საწარმოები – 436,6 ლარი.

## 2011 წელს

- მცირე საწარმოები – 507,1 ლარი,
- საშუალო საწარმოები – 610,0 ლარი.

2007 წელს საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში წამყვანი პოზიციები ეკავა: "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 45,7 პროცენტი და სხვა სექტორები შემდეგი თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი:

- დამამუშავებელი მრეწველობა – 16,0 პროცენტი,
- მშენებლობა – 11,7 პროცენტი,
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 9,0 პროცენტი,
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 5,8 პროცენტი.

2008 წელს კი საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიან ბრუნვაში სექტორების წილი ოდნავ განსხვავებული, თანმიმდევრობა კი იგივე იყო. კერძოდ:

- "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 44,7, პროცენტი,
- დამამუშავებელი მრეწველობა – 15,2 პროცენტი,
- მშენებლობა – 11,1 პროცენტი,
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის
- მომსახურების გაწევა – 9,7 პროცენტი,
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 6,8 პროცენტი.



2011 წელს

- "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 41,4 პროცენტი,
- დამამუშავებელი მრეწველობა –13,9 პროცენტი,
- მშენებლობა – 13,3 პროცენტი,
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 10,8 პროცენტი,
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 7,9 პროცენტი.

საქმიანობის სახეების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში როგორც 2007 ისე 2008 წლებში პრევალირებდნენ:

2007 წელს – დამამუშავებელი მრეწველობა – 25,8 პროცენტი, მშენებლობა 20,0 პროცენტი, "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 14,3, პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 13,9 პროცენტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 6,1 პროცენტი.

2008 წელს ოდნავ განსხვავებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი: დამამუშავებელი მრეწველობა – 25,5 პროცენტი, მშენებლობა 18,2 პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 16,1 პროცენტი, "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 13,5 პროცენტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 6,7 პროცენტი.

2011 წელს თანმიმდევრობა იგივე იყო, მცირედ შეიცვალა მხოლოდ წილები: დამამუშავებელი მრეწველობა – 23,7 პროცენტი, მშენებლობა 20,4 პროცენტი, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 17,2 პროცენტი, "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 11,6 პროცენტი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 6,1 პროცენტი.

დასაქმებულთა რაოდენობას რაც შეეხება, 2007 წელს საქმიანობის სახეების მიხედვით ასეთი სურათი იყო:

- "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 19,4 პროცენტი,
- დამამუშავებელი მრეწველობა – 16,6 პროცენტი,
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება – 13,1 პროცენტი,
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 12,7 პროცენტი,
- მშენებლობა – 9,3 პროცენტი

2008 წელს პრეველირებდნენ იგივე სექტორები ოდნავ განსხვავებული თანმიმდევრობით:

- "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 20,7 პროცენტი,
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 14,4 პროცენტი,
- დამამუშავებელი მრეწველობა – 14,3 პროცენტი,
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება – 12,9 პროცენტი,
- მშენებლობა – 9,4 პროცენტი.

2011 წელს სფეროთა თანმიმდევრობა არ შეცვლილა, განსხვავდებოდა მხოლოდ პროცენტული მაჩვენებლები:

- "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი" – 19,2 პროცენტი,
- ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა – 16,5 პროცენტი,
- დამამუშავებელი მრეწველობა – 13,2 პროცენტი,
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება – 13,1 პროცენტი,
- მშენებლობა – 11,4 პროცენტი.

რეგიონულ ჭრილში მთლიან ბრუნვაში როგორც 2007 ისე 2008 და 2011 წლებში პრევალირებდა ქალაქი თბილისი, სხვა რეგიონები კი შემდეგი თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი:

#### 2007 წელს

- ქალაქი თბილისი – 56,4 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 10,5 პროცენტი,
- იმერეთი – 9,3 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6,4 პროცენტი,
- სამეგრელო–ზემო სვანეთი – 6,3 პროცენტი,
- კახეთი – 3,7 პროცენტი.

#### 2008 წელს

- ქალაქი თბილისი – 53,1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 11,7 პროცენტი,
- იმერეთი – 11,5 პროცენტი,
- სამეგრელო–ზემო სვანეთი – 6,4 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5,8 პროცენტი,
- შიდა ქართლი – 3,6 პროცენტი.

#### 2011 წელი

- ქალაქი თბილისი – 52,8 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 12,1 პროცენტი,
- იმერეთი – 10,7 პროცენტი,
- სამეგრელო–ზემო სვანეთი – 6,7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5,4 პროცენტი,
- შიდა ქართლი – 4,3 პროცენტი.

პროდუქციის მთლიან გამოშვებაშიც აშკარა ლიდერი თბილისია და მას მოყვება სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით (2011 წლის მონაცემებით):

- ქალაქი თბილისი – 62,1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 10,2 პროცენტი,
- იმერეთი – 8,4 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6,5 პროცენტი,
- სამეგრელო–ზემო სვანეთი – 5,3 პროცენტი.

დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად რანჟირდება:

2007 წელს

- ქალაქი თბილისი – 45,0 პროცენტი,
- იმერეთი – 13 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8,7 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 6,5 პროცენტი,
- სამეგრელო–ზემო სვანეთი – 7,1 პროცენტი.

2008 წელს

- ქალაქი თბილისი – 43,0 პროცენტი,
- იმერეთი – 14 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 10,5 პროცენტი,
- სამეგრელო–ზემო სვანეთი – 7,6 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 7,3 პროცენტი.

2011 წელს

- ქალაქი თბილისი – 46,7 პროცენტი,
- იმერეთი – 13,1 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 12,2 პროცენტი,

- სამეგრელო–ზემო სვანეთი –7.8 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 6,4 პროცენტი.

წარმოდგენილი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილია ბიზნეს გარემოს შეფასება, რომელიც რამდენიმე პარამეტრს შეიცავს. სხვადასხვა წლების მაჩვენებელთა შედარება გარკვეულ დინამიკას ასახავს. გამოკვლევის თანახმად 2007 წელს მცირე და საშუალო საწარმოთა უმეტესი ნაწილი (28,1 პროცენტი) სამეწარმეო საქმიანობას ეწევა 5–10 წელია, 25,6 პროცენტი 3–5 წელია, 25,2 პროცენტი – 10 წელზე მეტია.

დაახლოებით ანალოგიური სიტუაცია იყო 2008 და 2011 წლებში. 2008 წლის მონაცემებით, კერძოდ 28,2 პროცენტი 5–10 წელია ეწევა საქმიანობას, 25,7 პროცენტი 3–5 წელია, 25,5 პროცენტი 10 წელზე მეტია. 2011 წელს შესაბამისად: 27,6 პროცენტი, 26,2 პროცენტი, 25,3 პროცენტი. 2007 წელს მცირე და საშუალო მეწარმეთა უმეტესი ნაწილი (43,0 პროცენტი) თვლიდა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სამეწარმეო გარემო უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა, 27,4 პროცენტის აზრით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 5,5 პროცენტი მიიჩნევდა, რომ სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2008 წელს აღნიშნული თვალსაზრისით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და გამოკითხულ მცირე და საშუალო მეწარმეთა მხოლოდ 36,0 პროცენტი თვლიდა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე სამეწარმეო გარემო უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. 15,4 პროცენტის აზრით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 12,4 პროცენტს მიაღწია იმ მეწარმეთა წილმა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე სამეწარმეო გარემო მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2011 წელს მცირე და საშუალო მეწარმეებში აღინიშნებოდა ოპტიმიზმის ოდნავ მომატება. კერძოდ: 37,3 პროცენტამდე გაიზარდა იმ მეწარმეთა წილი, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე სამეწარმეო გარემო უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა. გამოკითხულთა 18,7 პროცენტის აზრით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 6,8 პროცენტის აზრით მნიშვნელოვნად გაუარესდა. საკმაოდ საინტერესოა მეწარმეთა პროგნოზები სამეწარმეო გარემოს მომავალში ცვლილებასთან დაკავშირებით. 2007 წელს უმეტესი

ნაწილი (31,3 პროცენტი) მიიჩნევა, რომ მდგომარეობა უმნიშვნელოდ გამოსწორდებოდა. 29,2 პროცენტი ძალიან ოპტიმისტურად უყურებდა მომავალს და თვლიდა, რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდებოდა. პესიმისტები გამოკითხულთა უმცირესობას (2,2პროცენტი) შეადგენდა, რომელიც თვლიდა, რომ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა. 2008 წელს მდგომარეობა შეიცვალა . შემცირდა იმ მეწარმეთა ხვედრითი წილები, რომლებიც მიიჩნევა, რომ მომავალში მდგომარეობა უმნიშვნელოდ (28,3 პროცენტი) ან მნიშვნელოვნად (13,4 პროცენტი) გაუმჯობესდებოდა. გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს(27,8 პროცენტი) გაუჭირდა პროგნოზის გაკეთება და გაიზარდა იმ მეწარმეთა ხვედრითი წილი, რომელმაც პასუხი არ გასცა ამ შეკითხვას(17,8 პროცენტი) ან ვარაუდობდა სამეწარმეო გარემოს გაუარესებას (12,2 პროცენტი). 2011 წელს შემდეგი სურათი იყო: გამოკითხულ მეწარმეთა 30,8 პროცენტი მიიჩნევა, რომ გარემო უმნიშვნელოდ გაუმჯობესდებოდა, 26,8 პროცენტი ოპტიმისტურად იყო განწყობილი მომავლის მიმართ, ხოლო 4,1 პროცენტი პესიმისტურად.

მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მეწარმეობის ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორთა ანალიზი. 2007 წლის გამოკვლევების მიხედვით, მეწარმეთა 1,2 პროცენტი აცხადებდა, რომ სისტემატურად უხდებოდა არაოფიციალური გადასახადების გადახდა. 2008 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 0,8 პროცენტამდე. გამოკითხულთა 7,8 პროცენტი 2007 წელს აცხადებდა, რომ არაოფიციალურ გადასახადს იხდიდა, მაგრამ იშვიათად. 2008 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 5,5 პროცენტამდე, 2011 წელს კი 3,7 პროცენტამდე. 2007 წელს გამოკითხულთა 85,3 პროცენტი არ იხდიდა არანაირ არაოფიციალურ გადასახადს, 2008 და 2011 წლებში შესაბამისად 83,0 პროცენტი და 86,7 პროცენტი.

2007 წლის გამოკვლევების მიხედვით, მეწარმეთა 69,7 პროცენტს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აუღია სესხი ბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან, 28,4 პროცენტი კი საერთოდ არ სარგებლობდა სესხით (კრედიტით). 2008 წლის მონაცემებით 28,4 პროცენტიდან 22,4 პროცენტამდე შემცირდა იმ მცირე და საშუალო

საწარმოების წილი, რომლებიც სარგებლობდნენ კრედიტით. 2011 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა იმ მეწარმეთა წილი (29,2 პროცენტი), რომლებიც სარგებლობდნენ ბანკის კრედიტით ან სხვა სესხით. შესაბამისად, 2007 წლის გამოკვლევის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოების 64,0 პროცენტი ფუნქციონირებდა მთლიანად საკუთარი სახსრების ხარჯზე. 2008 წელს 64,3 პროცენტი, ხოლო 2011 წელს 61,3 პროცენტი. ძირითადად საკუთარი სახსრების ხარჯზე ფუნქციონირებდა მცირე და საშუალო საწარმოთა 20,2 პროცენტი(2007 წელს), 17,5 პროცენტი (2008 წელს) და 18,7 პროცენტი(2011 წელს). ძირითადად კრედიტების ხარჯზე: 6,6 პროცენტი(2007 წელს), 3,8 პროცენტი(2008 წელს) და 7,7 პროცენტი (2011 წელს).

2007 წლის გამოკვლევის მიხედვით მცირე და საშუალო საწარმოთა 4,1 პროცენტის საწარმოო სიმძლავრეები და ტექნოლოგიები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. 2008 წელს 4,9 პროცენტი, ხოლო 2011 წელს 5,9 პროცენტი. 10,7 პროცენტის აზრით, საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო. 2008 წელს 8,8 პროცენტი დ 2011 წელს 11,7 პროცენტი. 11,7 პროცენტის საწარმოო სიმძლავრეები და ტექნოლოგიები მოძველებულია(2007 წელს), 12,3 პროცენტის 2008 წელს და 10,3 პროცენტის 2011 წელს. სრულიად უვარგისი და შესაცვლელია -1,7 პროცენტის (2007 წელს), 1,2 პროცენტის (2008 წელს) და 2,2 პროცენტის (2011 წელს).

დარგობრივ ჭრილში, მეწარმეთაგან, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი სიმძლავრეები და ტექნოლოგიები უვარგისი და მთლიანად შესაცვლელია, 2007 წელს 36,5 პროცენტი მოდიოდა "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების" დარგის საწარმოებზე, 20,2 პროცენტი – ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევაზე. განსაკუთრებით მაღალი წილი, მოძველებულ საწარმოო სიმძლავრეებსა და ტექნოლოგიებში, ჰქონდა ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოების დარგის საწარმოებს(53,1 პროცენტი). 2008 წელს, მეწარმეთაგან, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი საწარმოო სიმძლავრეები და ტექნოლოგიები უვარგისი და მთლიანად შესაცვლელია 21,5 პროცენტი მოდიოდა "ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და

მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევაზე" დარგის საწარმოებზე, 14,4 პროცენტი – "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის" დარგის საწარმოებზე. 2011 წლის მონაცემებით 19,3 პროცენტი მოდიოდა "ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის" დარგის საწარმოებზე, 15,7 პროცენტი "ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის" დარგის საწარმოებზე, 13,6 პროცენტი – სასტუმროებისა და რესტორნების დარგის საწარმოებზე.

2007 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით გამოკითხულ მცირე და საშუალო მეწარმეთა 85,3 პროცენტი აპირებდა საკუთარი საქმიანობის გაგრძელებას, 10,4 პროცენტი არ აპირებდა, ხოლო 4,3 პროცენტმა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხისაგან. 2008 წლის გამოკვლევამ ოდნავ განსხვავებული შედეგები აჩვენა. კერძოდ: გამოკვლეულ მცირე და საშუალო მეწარმეთა 83,1 პროცენტი აპირებდა საკუთარი საქმიანობის გაგრძელებას, 9,4 პროცენტი არ აპირებდა, ხოლო 7,5 პროცენტმა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხისაგან. საწარმოები, რომლებიც არ აპირებდნენ საქმიანობის გაგრძელებას მიზეზად ასახელებდნენ მის უპერსპექტივობას და ზარალიანობას, ზოგიერთს კი მიაჩნდა, რომ არსებულ პირობებში საქმიანობის გაგრძელება უბრალოდ შეუძლებელი იყო.

შეკითხვაზე – აპირებთ თუ არა ამჟამინდელი საქმიანობის გაფართოებას უახლესი ერთი წლის განმავლობაში? 2007 წელს გამოკითხულთა 36 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა, 2008 წელს –32,4 პროცენტმა, 2011 წელს კი 34,1 პროცენტმა. აღნიშნულ შეკითხვაზე უარყოფითად უპასუხა: 46,6 პროცენტმა (2007 წელს), 51,6 პროცენტმა (2008 წელს) და 43,4 პროცენტმა. დანარჩენ ნაწილს უძნელდებოდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. იმ მცირე და საშუალო მეწარმეთაგან, რომლებიც აპირებდნენ საკუთარი საქმიანობის გაფართოებას უახლესი ერთი წლის მანძილზე, 2007 წელს ამას გეგმავდა საკუთარი ან პარტნიორების დანაზოგით –58,3 პროცენტი, საბანკო კრედიტით ან სესხით 28,5 პროცენტი, საქმეში ახალი პარტნიორების ჩათვლით 8,7



პროცენტი. 2008 და 2011 წლებში ასეთი სურათი იყო: საკუთარი ან და პარტნიორების დანაზოგებით 63,8 პროცენტი(2008 წ.) და 56,4 პროცენტი (2011 წ), საბანკო კრედიტით ან სესხით 20,1 პროცენტი (2008 წ) და 23,8 პროცენტი საბანკო კრედიტით ან სესხით; საქმეში ახალი პარტნიორების ჩართვით – 12,0 პროცენტი (2008წ.) და 11,2 პროცენტი(2011 წ).

ამრიგად, 2007, 2008 და 2011 წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემთა ანალიზი საშუალებას იძლევა ზემოაღნიშნულ ზოგად დასკვნებთან ერთად ჩამოყალიბდეს კონკრეტული მოსაზრებები.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის, ამ სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის ზოგიერთი მიმართულების შესახებ კონკრეტული მოსაზრებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში, თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით, ყველაზე კარგი მდგომარეობა იყო 2007 წელს. 2008 წელს სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა, რაც განპირობებული იყო ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორცაა 2008 წლის აგვისტოს ომი და გლობალური ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ, ბიზნესის სფეროზე. რაც შეეხება 2011 წელს, ბიზნესის სფეროს ბევრი მაჩვენებელი გაუმჯობესდა 2008 წელთან მიმართებაში, თუმცა რიგი პარამეტრების მიხედვით შეინიშნებოდა ჩამორჩენა 2007 წელთან შედარებით.

კონკრეტულად გამოიკვეთა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების როგორც ხელშემწყობი ისე ხელშემშლელი ფაქტორები. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება:

- კორუფციის მინიმუმამდე დაყვანა;
- მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესება;
- შიდა ბაზრის დაცვა კონტრაბანდისაგან;
- საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაცია – მიკრო ბიზნესის გათავისუფლება გადასახადებისაგან, საშუალო და მცირე ბიზნესისათვის შეღავათიანი რეგულაციის შემოღება.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებად და მისი განვითარების ხელშემშლელ მიზეზებად დაფიქსირდა:

- საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მატება;
- ინვესტიციების მოძიების სიძნელე;
- საბანკო კრედიტებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, რასაც განაპირობებდა საპროცენტო განაკვეთების მაღალი დონე და მაღალი საგირავნო მოთხოვნები ბანკებისა თუ სხვა საკრედიტო სტრუქტურების მხრიდან;
- საწარმოო სიმძლავრეებისა და ტექნოლოგიების მოძველებულობა და ჩამორჩენილობა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის უაღრესად უთანაბრო რეგიონული განაწილება;
- სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის არასათანადო დონეზე მხარდაჭერა.

ამგვარი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, უმთავრესად გამოწვეულია არასწორი თეორიული პოსტულატით – ნებისმიერი სახის სამეწარმეო საქმიანობისათვის სახელმწიფო ხელშეწყობა და პრიორიტეტის მინიჭება, თითქოსდა, არღვევს თავისუფალი ბაზრის პრინციპს.

ამრიგად საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის (ბიზნესის) განვითარების კარგი შესაძლებლობა არსებობს, თუმცა მისი რეალობად გადაქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა შორის მთავრობის მიერ აღნიშნული სფეროს მხარდაჭერა და წახალისება ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია.

### თავი III. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის თანამედროვე ფორმები და მათი განვითარების პერსპექტივა

#### 3.1. ბიზნესზე სახელმწიფოს ზემოქმედების მიმართულებები

ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფლებას) წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესის გარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე.

ეკონომისტები ბიზნესის გარემოს კლასიფიცირებას ახდენენ სხვადასხვა ნიშნის საფუძველზე. გამოიყოფა ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო,<sup>1</sup> ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ გეოგრაფიული, დემოგრაფიული და ა.შ. გარემო.<sup>2</sup> ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის კანონზომიერებიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის მეგა გარემოს გამოყოფა. ეს უკანასკნელი გამოხატავს მოწინავე და კონკურენტუნარიანი ფირმების საერთაშორისო (გლობალურ) ბაზრებზე ორიენტირებულობას.

ბიზნესის გარემო ყალიბდება ბიზნესზე, როგორც ზემოქმედების ობიექტზე, მიმართული სახელმწიფოს სხვადასხვა ღონისძიებების შედეგად. ამგვარი ზემოქმედების შინაარსიდან და ხასიათიდან გამომდინარე მათი დაყოფა შესაძლებელია ბიზნესთან არაპირდაპირ(ირიბად) და პირდაპირ დაკავშირებულ ღონისძიებებად. პირველ ჯგუფში ერთიანდება ის ღონისძიებები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფოს ლატერალურ ფუნქციებთან. კერძოდ:

1 . ერქომაიშვილი გ. ბიზნესი: ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბ., 2007, გვ.63.

2 . სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007. გვ.118; 121–122.

- ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი წესრიგის, მეწარმის ფიზიკური უსაფრთხოებისა და მისი ქონების დაცვა;
- ეკონომიკური ზრდის წახალისება შესაბამისი მონეტარული, ფისკალური, ინვესტიციურ–სტრუქტურული და სხვა სახის პოლიტიკის საშუალებით;
- კონკურენტული გარემოს შექმნა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ჩარჩოებში;
- ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ცივილიზებული საბაზრო თამაშის წესების შემუშავება და განუხრელი დაცვა.

აღნიშნულ ღონისძიებათა პრაქტიკაში განხორციელება უზრუნველყოფს ხელსაყრელი ბიზნეს–გარემოს შექმნას, რომელიც თავის მხრივ, ყველა ტიპისა და ზომის ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

სახელმწიფოსთან ერთად ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოებას, რაც გამოიხატება მისი მხრიდან ბიზნესმენტთა (მეწარმეთა) მიმართ კეთილმოსურნე განწყობის შექმნასა და საბოლოო ანგარიშით, საზოგადოების წევრთა საბაზრო მენტალიტეტის ფორმირებაში.

ამრიგად, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების წინაპირობები შეიძლება სამ ჯგუფად გაერთიანდეს:

- სახელმწიფოს პოლიტიკა ბიზნესთან მიმართებაში;
- საზოგადოების კულტურა და ფასეულობათა სისტემა;
- სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობისადმი ადამიანთა მიდრეკილება და მათი უნარი.

ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბიზნესზე განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესზე, უშუალოდ ორიენტირებულ სახელმწიფო ღონისძიებებს, რომელიც მოიცავს ფინანსურ (საგადასახადო და საკრედიტო), ორგანიზაციულ–ინსტიტუციურ, საინფორმაციო–საგანმანათლებლო და სხვა სახის მექანიზმებისა და ბერკეტების ეფექტიანად გამოყენებას.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

გადასახადები სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფორმაა. გადასახადები არის ის სავალდებულო, ინდივიდუალური, აუნაზღაურებადი, ძალდატანებითი „შენაწირი“, რომელსაც ახორციელებს ქვეყნის მოქალაქეები და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული იურიდიული და ფიზიკური პირები სახელმწიფოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მათ შორის თავიანთი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გადასახადების გადამხდელ ფიზიკურ და იურიდიული პირებისათვის გადასახადები ის საფასურია, რომელსაც ისინი უხდიან სახელმწიფოს პირადი და კორპორაციული უსაფრთხოებისათვის, პროგნოზირებადი სამეწარმეო გარემოს შექმნისათვის, რისკების მინიმიზაციისათვის და საზოგადოებრივი სიკეთეებით (თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სოციალური მომსახურება და.შ.) სარგებლობისათვის.<sup>1</sup>

ამასთანავე, ადამიანთა უმრავლესობა, მათ შორის რა თქმა უნდა, ბიზნესმენებიც, გადასახადების გადახდას აღიქვამს როგორც საკუთარი შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილის დაკარგვას ანუ საგადასახადო ტვირთს, რომელიც, მათი წარმოდგენით, უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოსაგან მიღებულ სიკეთეებზე გაციელებით მეტია. ამიტომ გადასახადების მიმართ მათი დამოკიდებულება ნეგატიურია. თუმცა, ეს ნაკლებად გამოიხატება ღია პროცესის სახით, და როგორც წესი, ვლინდება სხვადასხვა ფორმებში: გადასახადებისგან თავის არიდების მცდელობაში, ეკონომიკური აქტივობის „ჩრდილში“ გადატანაში და ა.შ. ამგვარი მცდელობები ერთგვარი პასუხია ქვეყანაში გატარებული საგადასახადო პოლიტიკის მიმართ, რომელიც ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

კერძო ბიზნესის თვალთახედვით გადასახადების გადახდა ზრდის მათ მიერ წარმოებული პროდუქტისა თუ მომსახურების ერთეულის ღირებულებას და აქვეითებს მათ კონკურენტუნარიანობას. სწორედ ამიტომ თვით აშშ-იც კი, სადაც საგადასახადო სისტემა ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და იხვეწებოდა, ფიზიკური პირები და

---

1 . მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბ., 2002. გვ.177.

კორპორაციები სახელმწიფოს ხშირად უმაღლესად გადასახადებს. ექსპერტთა შეფასებით, დამალული შემოსავლები ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ხუთი პროცენტის ფარგლებშია.<sup>1</sup>

გადასახადების მიმართ დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი კატეგორიები, როგორცაა საგადასახადო მენტალიტეტი და საგადასახადო მორალი. საგადასახადო მენტალიტეტი წარმოადგენს გადასახადებისადმი ადამიანის სუბიექტურ განწყობას და დეტერმინირებულია საზოგადოების საერთო განწყობით. საგადასახადო მორალი გამოხატავს საგადასახადო კანონის დარღვევისადმი ადამიანის დამოკიდებულებას (პოზიციას).

ნებისმიერი ბიზნესი, მისი ზომის მიუხედავად, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას და ამიტომ ზოგადად ბიზნესი თავად უნდა იყოს დაინტერესებული ეფექტიანი და ქმედითი სახელმწიფო სტრუქტურების არსებობით. აუცილებელია მკვეთრად არ შემცირდეს საბიუჯეტო შემოსავლები, ამავე დროს ბიზნესს არ დაეკარგოს გაფართოების სტიმული და არ გაუჩნდეს ლეგალური სფეროებიდან „ჩრდილოვან ეკონომიკაში“ გადასვლის სურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ქვეყანაში საგადასახადო პოლიტიკა ეხება სახელმწიფოს, ფირმებსა და მოქალაქეებს, იგი არსად არ წარმოადგენს საზოგადოებაში კონსენსუსის შედეგს. მისი მიღება და განხორციელება ყველგან და ყოველთვის სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საქართველოში საგადასახადო პოლიტიკამ და პრაქტიკამ საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი გზა გაიარა. გვახსოვს ისეთი პერიოდები, როდესაც ქვეყანაში საგადასახადო დისციპლინა უკიდურესად დაბალ დონეზე იმყოფებოდა, ხოლო გადასახადების დამალვა თითქმის წესად იყო ქცეული. ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საგადასახადო სფეროში გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული. საგრძნობლად გაძლიერდა საგადასახადო დისციპლინა, გამარტივდა გადასახადების ადმინისტრირება, მნიშვნელოვნად შემცირდა კორუფცია ამ სფეროში, შემცირდა

---

1 . Вавилов Ю. Лобизм и коррупция в США. „Российские вести“, 2009, №4, გვ. 12.

გადასახადების რაოდენობა და ა.შ. ამასთანავე, როგორც მეწარმეთა და ბიზნესმენტა გამოკითხვები გვიჩვენებს, საგადასახადო კანონმდებლობა და მისი განხორციელების წესი სერიოზულ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებს. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მოქალაქეებში საგადასახადო კულტურისა და პასუხისმგებლობის ამაღლების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გადასახადებისათვის მეწარმეობის მხარდამჭერი ხასიათის მინიჭება, რომელიც შეიძლება რეალიზებული იქნეს შემდეგი მიმართულებებით: საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებაში მცირე მეწარმეებისა და მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების აქტიური ჩაბმა, მცირე და საშუალო ბიზნესის ფისკალური მხარდაჭერა, რომელიც საგადასახადო შეღავათების გარდა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სუბსიდიების გაცემას. მეწარმეობის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ახლადშექმნილი მცირე საწარმოების ფუნქციონირების დაწყებიდან ორი წლის მანძილზე მათი მოგების გადასახადის განახევრება;
- მცირე და საშუალო საწარმოების მთლიანად განთავისუფლება რეინვესტირებულ კაპიტალზე მოგების გადასახადიდან;
- მცირე საწარმოებისთვის უფლების მინიჭება ისარგებლონ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებით;
- მცირე საწარმოების მიმართ გამარტივებული საბუღალტრო წესის გამოყენება;
- გადასახადების რაოდენობის შემცირება მათი აგრეგირების გზით.

როგორც დავინახეთ, ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო მხარდაჭერის გარეშე. გამოკითხულ მცირე და საშუალო მეწარმეთა აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი მათი საქმიანობის მთავარ შემაფერხებელ მიზეზად ასახელებდა საბანკო და არასაბანკო კრედიტებზე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო რისკის მაღალი ხარისხით და გაცემულ სესხებზე სათანადო გარანტიების არარსებობით. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული

მექანიზმის სრულყოფა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მიმართულებით. უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია ბიზნესის მხარდაჭერის ინსტიტუციური ბაზის ჩამოყალიბება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- მიკროდაფინანსების არასაბანკო ინსტიტუტების ჩამოყალიბების სტიმულირება;
- საბანკო მომსახურების სფეროს დივერსიფიცირება;
- შეზღუდული ლიცენზიის მქონე მცირე ბანკების განვითარება;
- დისტანციური საფინანსო მომსახურების პრაქტიკის დანერგვა;
- ელექტრონული და მობილური გადახდის საშუალებების, მათ შორის ელექტრონული ფულის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა;
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განშტოებული ქსელის შექმნის მხარდაჭერა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თანამედროვე პერსპექტიული მიმართულებაა ინოვაციური ბიზნესი. შესაბამისად, აუცილებელია ახალი, ინოვაციური, რესურსდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შემქმნელი და დამნერგავი პროექტების ფინანსური და საკრედიტო-საგარანტიო სქემების შექმნა. ასეთმა პროექტებმა შეიძლება მოიცვას:

- ვენჩურული ინტელექტუალური ფონდისა და სპეციალიზებული ინვესტიციური ბანკის შექმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში მეცნიერებათტევადი ტექნოლოგიების დაფინანსებისათვის;
- ინტელექტუალური საკუთრებით გარანტირებული მაღალი ტექნოლოგიების ფორმების ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების ბაზრის ჩამოყალიბება;
- ვენჩურული დაფინანსების ინსტიტუტების, სალიზინგო კომპანიებისა და საგარანტიო ფონდების ქსელების შექმნა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების წყაროების შექმნის „ქვევიდან წამოსული“ ინიციატივების (საკრედიტო კოოპერატივები, ურთიერთ-დაკრედიტების საზოგადოებები) და იმ ორგანოებისა და სტრუქტურების ნუსხა, რომლებიც უშუალოდ



აგებენ პასუხს საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მთელ პროცესზე.

ბიზნესთან მიმართებაში მეტად მნიშვნელოვანია აქტიური სტრუქტურული პოლიტიკის გატარება. იგი გულისხმობს იმ პრიორიტეტული დარგებისა და საწარმოების შერჩევას, რომლებიც სათანადო რესურსებით უზრუნველყოფის პირობებში შეძლებენ მაქსიმალური ეკონომიკური უკუგების მოცემას. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს პრიორიტეტები შეიძლება შეიცვალოს, თუმცა შესაძლებელია მეტნაკლებად სტაბილური და მაღალი შედეგების მომტანი შემდეგი სფეროების გამოყოფა:

- სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავება;
- მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებათმცვადი წარმოება და ინოვაციები;
- საექსპორტო და იმპორტშემცვლელი წარმოება;
- ტურიზმი და ინფრასტრუქტურა.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე ეტაპის ხასიათიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნოლოგიური ხასიათის ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს:

- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროებისა და საშუალებების განსაზღვრას;
- ტექნოლოგიების შემოტანის ისეთი ფორმების გამოყენებას, როგორცაა ლიცენზიები და ნოუ-ჰაუ, საწარმოთა კოოპერაცია, ერთობლივი მეწარმეობა და სხვ.
- ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანის ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბება: ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, სალიზინგო კომპანიების და ა.შ. შექმნა;
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სწავლება და კონსულტაციები;

- წახალისებისა და შეღავათების სისტემის გამოყენება იმ მეწარმეთა მიმართ, რომლებიც ორიენტირებული არიან მოწინავე ტექნოლოგიათა იმპორტირებასა და დანერგვაზე.

მცირე საწარმოთა ტექნოლოგიური მომსახურების თანამედროვე და პერსპექტიულ ფორმად მიჩნეულია ფინანსური და ოპერატიული ლიზინგი. ფინანსური ლიზინგი, ტრადიციული საბაკო დაკრედიტებისაგან განსხვავებით, მეწარმეს საშუალებას აძლევს მიიღოს აუცილებელი ძირითადი საშუალებები ერთდროული დანახარჯების განხორციელების გარეშე. იგი ითვალისწინებს ძირითად საშუალებებზე საამორტიზაციო ღირებულების მთლიან ან ნაწილობრივ გადახდას, რის შემდეგაც ქონება დამქირავებლის საკუთრებაში გადადის. ამ ინსტრუმენტის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთი სახის წარმოებაში, რომელიც ხასიათდება მაღალი ციკლორობით და სეზონურობით. ფინანსური ლიზინგი მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს აძლევს მეწარმეს. კერძოდ, იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები არ აღირიცხება საბალანსო ანგარიშებში აქტივების სახით, საარენდო შენატანები არ იბეგრება და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ლიზინგით შემოტანილი მოწყობილობები და დანადგარები თავისუფლდება საბაჟო გადასახადებისაგან. ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ოპერატიული ლიზინგი, რომელიც გულისხმობს ძირითად საშუალებათა იჯარას მათი საამორტიზაციო ვადაზე ნაკლები პერიოდით.

მოწინავე უცხოური გამოცდილებიდან გამომდინარე, მეწარმეობის მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორცაა ბიზნეს-ინკუბატორები. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლინებას და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა სწრაფად დანერგვას. ბიზნეს-ინკუბატორი არის სპეციალური ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ახალი საწარმოები. ისინი სარგებლობენ ადგილობრივი ინფრასტრუქტურითა და აუცილებელი მომსახურებით. ბიზნეს-ინკუბატორებში აქტიურად მიიზიდება როგორც

ადგილობრივი ისე უცხოური ინვესტიციები. წარმოება ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური საექსპორტო პროდუქციის შექმნაზე.

ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა საკმაოდ რთული, შრომატევადი და კაპიტალტევადი საქმეა, რომელიც მოითხოვს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას. კერძოდ, აუცილებელია ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსის განსაზღვრა, მართვის სტრუქტურებისა და ფუნქციების დადგენა და სხვ. ბიზნეს-ინკუბატორი სამართლებრივ – ორგანიზაციული წესით არის დამოუკიდებელი და არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას წარმართავს კოლეგიური ორგანო, მაგალითად საბჭო. მეტად მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურის თანამშრომლობა მცირე მეწარმეობის ხელშემწყობ და განმავითარებელ ადგილობრივ ორგანოებთან, ასევე მოცემულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებად საკონსულტაციო მომსახურების ცენტრებთან. მიზანშეწონილია, რომ საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა უმთავრესად წარიმართოს : ა) მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად და ბ) მომსახურების სფეროში მეწარმეობის გასავითარებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნეს-ინკუბატორებისათვის ადგილმდებარეობის სწორი შერჩევა, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს სათანადო ინფრასტრუქტურების არსებობა, პირველ რიგში კი – თანამედროვე კომუნიკაციების გამოყენების შესაძლებლობა.

აუცილებელია ბიზნეს-ინკუბატორების მიზმა რეგიონალურ პოლიტიკასთან და მართვის ადგილობრივი ორგანოების აქტიური ჩართვა ბიზნეს-ინკუბატორების ფუნქციონირების პროცესში. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მმართველი პერსონალის შერჩევას, მართვის ეფექტიანი პროცედურების შემუშავებას, მენეჯერთა საქმიანობის სწორ შეფასებას და სათანადო სტიმულირებას.

ბიზნესის წარმატებით განვითარების შესაძლებლობას ძალიან დიდი ზომით განსაზღვრავს ბიზნესმენთა და მეწარმეთა განათლების დონე, პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყოველივე ამის მიღწევა არის

რთული პროცესი, რომელიც დიდ დროს, ძალისხმევას და სერიოზული კაპიტალდაბანდებების განხორციელებას მოითხოვს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, რომელსაც ისტორიულად დაემთხვა განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდა, კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს კომპლექსური სწავლების ცენტრების შექმნა და მასში საკუთარი კვალიფიკაციური კადრების მომზადება.<sup>1</sup> ასეთი ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და აქ დასაქმებულია როგორც კვალიფიციური პედაგოგები, რომლებსაც ძირითადად მიჰყავთ თეორიული კურსები, ასევე საწამო პრაქტიკის განმახორციელებელი, ძირითადად ახალგაზრდა ინსტრუქტორები. შესაბამისად, მსგავს ცენტრებში მიღწეულია ფუნდამენტური თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სინთეზი და მთლიანად სწავლების პროცესი მაქსიმალურადაა დაახლოებული რეალური წარმოების გარემოსთან.

კომპლექსური სასწავლო ცენტრები განსაკუთრებით აქტიურად და ეფექტიანად გამოიყენება ისეთი ცნობილი საავტომობილო კონცერნების მიერ, როგორიცაა: ამერიკული „ფორდი“, ფრანგული „რენო“, იტალიური „ოლივეტი“.

სასწავლო ცენტრები ბევრ ქვეყანაში კორპორაციების ძლიერი ქვედანაყოფებია. კადრების შიდასაფირმო მომზადებასთან ერთდ ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს კორპორაციათაშორისი სასწავლო ცენტრები, რომელთა მთავარი ამოცანაა ამ კორპორაციებთან ფინანსურად, ტექნოლოგიურად დაკავშირებული მცირე და საშუალო ფირმებისათვის კადრების მომზადება. ასეთი ცენტრები არსებობს იტალიურ ნავთობქიმიურ კომპანიასთან „მონტე დისონი“, რამდენიმე კორპორაციათაშორისი სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს საფრანგეთისა და გერმანიის ქიმიურ მრეწველობაში. ამ ცენტრებში თავმოყრილია საუკეთესო აპარატურა და მოწყობილობა; თეორიული მომზადების ხვედრითი წონა საერთო მომზადების პროგრამაში დაახლოებით 30

---

1 . Иноземцев В. Цели и структура корпорации как основы её конкурентоспособности. „Проблемы теории и практики управления“. 2011, №3, гв. 65.

პროცენტს აღწევს. ზემოაღნიშნულ ცენტრებში კადრების მომზადება მიმდინარეობს ძირითადად ორი მიმართულებით: სამუშაოზე ახლად მიღებული თანამშრომლების სწავლება სპეციალიზებული პროგრამების მიხედვით და კვალიფიკაციის ამაღლება. პრაქტიკაში დამკვიდრებულია პირველი კატეგორიის მუშაკთა დაწინაურების წესი, თუკი ისინი წარმატებით გაივლიან სასწავლო პროგრამას. ობიექტური და სამართლიანი შეფასების მიზნით ახალგაზრდა თანამშრომელთა სასწავლო აქტივობების შეფასებები შეიტანება სპეციალურ დოსიეში და ინახება სასწავლო ცენტრში. ინჟინერ–ტექნიკური და სხვა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, დასავლეთის მეცნიერთა აზრით, წარმოების თანამედროვე ხასიათიდან გამომდინარეობს და ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გრძელდებოდეს.<sup>1</sup>

სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება, როგორც წესი, რეალიზდება სამი მთავარი მიმართულებით: ა) იმ მუშაკთა ცოდნის გაღრმავება– გაფართოება, რომლებიც რჩებიან დაკავებულ თანამდებობაზე; ბ) მუშაკთა მომზადება ხელმძღვანელი თანამდებობების დასაკავებლად, გ) მუშაკთა გადაკვალიფიცირება და ახალი პროფესიის დაუფლება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ წლებში კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის მიღებისათვის დამატებითი სტიმულირების მინიჭების მიზნით, ბევრ კომპანიას საკუთარი სასწავლო ცენტრის პროგრამაში შეაქვს საინჟინრო და მენეჯმენტის მეცნიერებებში ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება.

ამრიგად, სასწავლო ცენტრების შექმნა, სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება დასავლეთში დღეს განიხილება კორპორაციების გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ორგანულ შემადგენელ ნაწილად, რომელიც კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გზით, უზრუნველყოფს სამეცნიერო–ტექნიკური, საწარმოო, საინვესტიციო, მარკეტინგული რისკების შემცირების და ზოგადად კორპორატიულ განვითარებას.

---

1 . Друкер П. Задачи менеджмента в XXI веке. М., 2002, გვ.112.

დასავლეთის ქვეყნების ზემოაღნიშნული გამოცდილება, რა თქმა უნდა, საინტერესოა ჩვენთვის, თუმცა მისი პირდაპირი გადმოტანა საქართველოს რეალურ სინამდვილეში შეუძლებელია იმის გამო, რომ ჩვენ არ გავაჩნია ისეთი ძლიერი ბიზნეს-სტრუქტურები, რომლებიც დამოუკიდებლად მოახერხებენ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემის საკუთარი ძალებით ფუნქციონირების უზრუნველყოფას. შესაბამისად, ამ პროცესის განხორციელების მთავარი მონაწილე სახელმწიფო შეიძლება იყოს. ამასთანავე, სახელმწიფომ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით უნდა წახალისოს ბიზნეს-სტრუქტურები აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად,

ამრიგად, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის ღონისძიებათა ეფექტიანი და ქმედითი სისტემის შექმნა და გამოყენება წარმოადგენს ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობას.

### 3.2. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ფორმების განვითარება

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის (ბიზნესის) პარტნიორობა (Public Private Partnership - PPP) ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სამეურნეო ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმას და მათ გადაცემას კერძო კომპანიების ხელში, თუკი ისინი უფრო უკეთესად ახორციელებენ ამ საქმიანობას, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეული ფუნქციების კვაზიპრივატიზებას, განსაკუთრებით რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე, რომელიც ემსახურება კოლექტიური მოთხოვნილებების

დაკმაყოფილებისათვის საზოგადოებრივი საქონლის უფრო ეფექტიანად მიწოდების ამოცანას.<sup>1</sup>

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რომის სამართალი ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ კერძო პირებზე კონცესიების გადაცემას მოქალაქეთა სუფთა წყლით მომარაგებაზე.<sup>2</sup> ა.სმიტი „ხალხთა სიმდიდრეში“ წერდა, რომ მეფეთა უფლებამოსილების გარკვეული ნაწილის კერძო პირებზე გადაცემა შეამცირებდა სახელმწიფოს ვალს და უზრუნველყოფდა კაპიტალის ეფექტიან გამოყენებას<sup>3</sup>.

მეცხრამეტე საუკუნეში ევროპასა და აშშ-ში კერძო პირებს ეძლეოდა კონცესია რკინიგზის გაყვანაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავსტრიაში კერძო პირები რკინიგზის მშენებლობასა და მართვაზე კონცესიის მიღებაზე მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდნენ, რაც სახელმწიფო მათ დაპირდა გრანტების გამოყოფას.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი მონაწილეობით ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში ესპანეთში გაყვანილი იქნა პირველი ფასიანი ავტომაგისტრალები. 1990-იანი წლების დასაწყისიდან მნიშვნელოვნად იმატა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ერთობლივად დაფინანსებული პროექტების რაოდენობამ. ამასთანავე მუდმივ ცვლილებასა და განვითარებას განიცდიდა ამგვარი თანამშრომლობის(პარტნიორობის) ფორმები და მექანიზმები. იზრდებოდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებშიაც პარტნიორობა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის მაღალი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეკონომიკაში.

---

1 . იხ.: Asse Iberg R. PPP was passiert Wo in der EU. 2010, გვ.13-14. Демидова Л., Система партнёрских отношений: Новые тенденции и эффективность. Государство и бизнес : Институциональные аспекты. М., ИМЭМО, 2006. გვ.76; Суботин М. Государственно-частные партнёрства: мировой опыт. М., ИМЭМО РАН, 2006, გვ.131; Варнавский В. Концессионный механизм партнёрства государства и частного сектора. Московский общественный научный фонд и ИМЭМО РАН, 2009, გვ.34-35 და სხვ.  
2 . ტალიაშვილი ა. ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი. თბ., 2009, გვ.25.  
3 . სმიტი ა. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ. თბ., 1938. გვ.87.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის თანამშრომლობას განსაკუთრებით მაღალი ეფექტიანობა ახასიათებს მსხვილი პროექტების განხორციელების პროცესში. ასეთ პარტნიორობას საფუძვლად უდევს არამართო მთავრობის საბიუჯეტო ასიგნებები (სუბსიდიები, გრანტები და ა.შ.), არამედ პროექტებში მონაწილე კერძო სექტორის საწარმოებისათვის სხვადასხვა შეღავათების (პრეფერენციების) მინიჭება. ეს პირველ რიგში შეეხება საგადასახადო შეღავათებს. სახელმწიფოს მონაწილეობა ერთობლივ პროექტებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობასთან მიმართებაში, სადაც ძალიან დიდია აუცილებელ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, ხანგრძლივია მათი გამოსყიდვის ვადები და მაღალია რისკების ხარისხი.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოსა და კერძო ფირმების პარტნიორობა დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება ადგილობრივ დონეზე. აქ იგი, როგორც წესი, უკავშირდება ქალაქების პრობლემური რაიონების რეკონსტრუქციას, მუნიციპალურ საბინაო მშენებლობას და კომუნალური სტრუქტურების მოდერნიზაციას. ამ ფორმით კონკურენციული პრინციპები ვრცელდება მნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალური მომსახურების მიმწოდებელ ისეთ დარგებზე, რომლებიც წინათ გამოირჩეოდნენ მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხით.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის შერეულ ხასიათს და განვითარების გრძელვადიან პერსპექტივას.<sup>1</sup>

ერთობლივი პროექტების რეალიზაციის მასშტაბები საკმაოდ განსხვავებულია როგორც ქვეყნების, ისე ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჭრილში. ამასთანავე შეინიშნება ზოგიერთი გამოკვეთილი ტენდენცია. კერძოდ:

- ევროპის რიგ ქვეყნებში – ირლანდიაში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და იტალიაში მიღებულია საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მნიშვნელოვნად აიოლებს

---

1. გოგობია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004, გვ.17.



სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობას სხვადასხვა პროექტების რეალიზაციის პროცესში;

- გერმანიაში, ნიდერლანდებსა და ავსტრიაში მსგავსი პროექტების განხორციელება ჯერ კიდევ საწყის სტადიაშია;
- ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში – უნგრეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, ხორვატიასა და პოლონეთში ამჟამად მიმდინარეობას თეორიული დისკუსია მსგავსი თანამშრომლობის აუცილებლობისა და ეფექტიანობის საკითხების ირგვლივ;
- კანადასა და ავსტრალიაში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის პარტნიორობის კონცეფციები ჩართულია სახელმწიფო პროგრამებში;
- ბევრ განვითარებად ქვეყანაში – ჩინეთში, არგენტინაში, მალაიზიაში და სხვ. ახლა იწყება პროექტების შემუშავება სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის მონაწილეობით.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის(PPP) ჩარჩოებში ამჟამად ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის ხუთი საბაზისო მოდელი, რომლებსაც ახასიათებს საკუთრების, ფინანსირებისა და მმართველობის სპეციფიკური ნიშნები.

პრაქტიკულ ასპექტში მოდელის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ ინფრასტრუქტურის რომელ სფეროში უნდა განხორციელდეს იგი. კერძოდ, ე.წ. ოპერატორის მოდელი გამოიყენება ნარჩენების გადამუშავების სფეროში. მისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ამ სფეროში ოპერირებადი კერძო საწარმოს ვალდებულებათა ზუსტი განსაზღვრა, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაზე მკაცრი კონტროლი. კონცერნის მოდელი ძირითადად გამოიყენება იმ დარგებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია პროექტების რეალიზაციის ხანგრძლივი ვადები და ისეთ შემთხვევაში, როცა სამართლებრივ ან პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე შეუძლებელია საკუთრების უფლების გადაცემა სახელმწიფოდან კერძო ფირმაზე. ლიზინგის მოდელი გამოიყენება საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობის დროს. ლიზინგი სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც მიმართულია დროებით თავისუფალი ან მოზიდული

სახსრების ინვესტირებისაკენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიზინგი არის საწარმოო დანიშნულების მქონე მანქანების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა მოძრავი თუ უძრავი ქონების არენდა. ჩვეულებრივი არენდისაგან განსხვავებით ლიზინგი გულისხმობს არანაკლებ სამი სუბიექტის არსებობას. ესენია:

- ა) არენდით გაცემული მანქანების და მოწყობილობის მწარმოებელი ფირმა;
- ბ) სალიზინგო კომპანია, რომელიც ყოველივე ამას ყიდულობს მწარმოებლისაგან;
- გ) სალიზინგო ხელშეკრულებით მანქანა – მოწყობილობების შემსყიდველი ფირმა.

ამ სამი სუბიექტის გარდა სალიზინგო ხელშეკრულებაში შეიძლება მონაწილეობდეს ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა იურიდიული პირები. ლიზინგის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია მცირე ფირმებისათვის, ვინაიდან მათ დამატებითი საბანკო კრედიტების გარეშე შეუძლიათ გამოიყენონ მოწინავე ტექნიკა, მოწყობილობა და ტექნოლოგიები. ამასთანავე შეძენილი მოწყობილობების საფასურის განვადებით გადახდა და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის თვითღირებულებისადმი მიკუთვნება შესაძლებლობას აძლევს მცირე მეწარმეს(ბიზნესმენს) შეამციროს საგადასახადო ბაზა. ლიზინგი ასტიმულირებს მანქანა-მოწყობილობათა მწარმოებელ ფირმებსაც მათი პროდუქციის რეალიზაციის გარანტირებული ბაზრის შექმნის გზით. ლიზინგის განვითარებასთან მიმართებაში სახელმწიფოს აქტიური როლის შესრულება შეუძლია შერეული კერძო – სახელმწიფო სალიზინგო კომპანიების შექმნის გზით.

ლიზინგის მოდელი წარმოადგენს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის (ბიზნესის) პარტნიორობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელშიაც სახელმწიფოს საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა. პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება შერეული მოდელებიც.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის(ბიზნესის) პარტნიორობის კონცეფციის ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო თავად განსაზღვრავს მისთვის აუცილებელი მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის სახეობებს, კერძო ინვესტორები კი მას სთავაზობენ ისეთ წინადადებებს, რომლებიც ყველაზე უკეთესად

პასუხობს სახელმწიფოდან წამოსულ მოთხოვნებს. PPP – კონცეფციის პრაქტიკულ განხორციელებას გარკვეული თანმიმდევრობა ახასიათებს და იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველი, იმ პროექტების დამუშავება, რომელთა ჩარჩოში კერძო სექტორის ფირმები გეგმავენ, აგებენ და ნაწილობრივ მართავენ კიდევ ინვესტირების ობიექტს სახელმწიფოდან მიღებული დავალების შესაბამისად; მეორე, სახელმწიფოს მიერ პროექტით გათვალისწინებული ინვესტიციის დაფინანსება; მესამე, გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმება სახელმწიფო ხელისუფლებისა და კერძო ფირმის წარმომადგენლებს შორის; მეოთხე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ ობიექტის გადასვლა კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში.

PPP – ში სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ერთი მხრივ, იმით, რომ იგი კერძო ფირმების მომსახურების მიმღები სუბიექტია; მეორე მხრივ, იგი გვევლინება ჩარჩო–შეთანხმების პირობების განმსაზღვრელად. ამრიგად, PPP განიხილება როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კერძო სექტორის რესურსების ეფექტიანი გამოყენების მექანიზმი (ინსტრუმენტი), რომელიც საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა.

PPP კონცეფციაში სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში მაქსიმალური დამატებული ღირებულების მიღების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის პირობაა კერძო ბიზნესის მიერ გაწეული მომსახურების გაიაფება, რომელიც თავის მხრივ მიიღწევა კერძო ფირმების მენეჯმენტის მაღალი დონით და ინვესტიციების სწრაფად განხორციელებით. კიდევ ერთი მიზანი, რასაც სახელმწიფო ამგვარი თანამშრომლობისას აღწევს მდგომარეობს რისკების კერძო პარტნიორებზე გადაწარმოებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად შესაძლებელია გამოიყოს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობიდან სახელმწიფოს მიერ მიღებული კიდევ რამდენიმე კონკრეტული დადებითი ეფექტი. კერძოდ:

- ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების რელიზაციის დაჩქარება;

- მომსახურების გაწევის ფორმების სრულყოფა;
- სახელმწიფო მართვის ორგანოებზე დატვირთვის შემსუბუქება;
- დაფინანსების სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- ადგილობრივი და უცხოური დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გზრდა;
- რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება;
- ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის პარტნიორობის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:<sup>1</sup>

- PPP პროექტების პოლიტიკური და ინსტიტუციური მხარდაჭერა;
- სტაბილური პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო;
- ეკონომიკის ეფექტიანი სტრუქტურა;
- შესაძლებლობებისა და რისკების სამართლიანი განაწილება;
- სახელმწიფო შეკვეთების გამჭვირვალე და ეფექტიანი განთავსება;
- პროექტის ხარჯებისა და შედეგების ზუსტი გაანგარიშება.

შესაბამისად, PPP მოდელის განხორციელებაში სწორედ ის ქვეყნები აღწევენ წარმატებას, რომლებიც ახერხებენ ამ პირობათა კომპლექსურად უზრუნველყოფას.

მსგავსი პროექტების გაფართოების აუცილებლობას განაპირობებს ის დისბალანსი, რომელიც არსებობს საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის აუცილებლობასა და ამისთვის საჭირო საბიუჯეტო სახსრების შეზღუდულობას შორის. სწორედ ამიტომ, ევროპის ბევრ ქვეყანაში – ნიდერლანდებში, ესპანეთში, იტალიაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, გერმანიაში და სკანდინავიის ქვეყნებში სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები(მოდელები) სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს.

---

1. Private Public Partnership: Alternative Modelle for State Infrastruqtur. Price Water –house Coopers, 2008, გვ.39.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის მრავალფეროვანი ფორმებიდან ჩვენ განვიხილავთ რამდენიმეს. ერთერთი მათგანია საკონტრაქტო სისტემა, რომელიც თავისი შინაარსით საბაზრო-კონკურენტულია, ვინაიდან გულისხმობს სახელმწიფო შეკვეთების განთავსებას ღია ან დახურული ვაჭრობის ანუ კონკურენტული შეთავაზების გზით.

აღნიშნული სისტემა სამ ფუნქციას ასრულებს:

პირველი, იგი უზრუნველყოფს კონკურენტულ რეჟიმს საქონლისა და მომსახურების პოტენციურ მიმწოდებელთა შორის და ამით ხელს უწყობს სახელმწიფო შეკვეთების მაქსიმალურად ეფექტიან განვითარებას; მეორე, უზრუნველყოფს სახელმწიფო შეკვეთების გარანტირებულ შესრულებას შეთანხმებულ პირობებსა და ვადებში; მესამე, რადგანაც მსგავსი შეთანხმება (კონტრაქტი) სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო მეწარმეებს( ბიზნესმენებს) შორის, როგორც წესი, ხანგრძლივი ვადით იდება, საკონტრაქტო სისტემა შეიძლება გახდეს სამეწარმეო საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველი. ამის მაგალითები პრაქტიკაში მრავალი არსებობს. მაგალითად, აშშ – ში მოქმედებს ე.წ. „გრძელვადიანი საკონტრაქტო სისტემა“, რომელიც გულისხმობს 500 მლნ. აშშ დოლარიდან 10 მლრდ. დოლარამდე ღირებულების კონტრაქტის გაფორმებას 5–10 წლის ვადით. იმავე აშშ – ში სახელმწიფო ბიუჯეტის შესყიდვები ამ ქვეყნის მშპ – ის ერთ მეხუთედს შეადგენს. საკონტრაქტო სისტემა უპირატესად მოიცავს შემდეგ სფეროებს: სამოქალაქო და სამხედრო ობიექტების მშენებლობა, სამეცნიერო კვლევები და საცდელ საკონსტრუქტორო დამუშავებები, სატრანსპორტო და საკავშირგაბმულო მომსახურება, იარაღის, ნედლეულის, სათბობის და ა.შ. მიწოდება.

სახელმწიფო უწყებებს, როგორც შემკვეთებს, ევალება შეკვეთების განვითარებამდე მოსამზადებელი სამუშაოების სკრუპულოზური ჩატარება, რომელიც მოიცავს ბაზრის შესაბამისი სეგმენტისა და პოტენციური მოიჯარე-კორპორაციის შესაძლებლობების ანალიზს. კონკურსში მონაწილე ყველა ფირმა ვალდებულია შესაბამის ორგანოს საკუთარი შეთავაზება-პროექტი წარუდგინოს ანონიმური და კოდირებული სახით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტენდერების გამჭვირვალედ ჩატარებას და

სატენდერო ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას. კორპორაციისთვის სახელმწიფო შეკვეთის მიცემაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ დამოუკიდებელი კომისიები, რომლებიც შედგება სამთავრობო დაქვემდებარებაში არამყოფი მეცნიერებისაგან, ექსპერტებისაგან, სპეციალისტებისაგან.

გენერალური მოიჯარის მიერ სუბმოიჯარების შერჩევა და მათთან კონტრაქტების გაფორმება ასევე ხორციელდება კონკურენტულ-საკონტრაქტო წესით. უფრო მეტიც, ახალ ტექნოლოგიებთან და ტექნიკასთან, სამეცნიერო კვლევებთან და დამუშავებებთან მიმართებაში სახელმწიფო, როგორც დამკვეთი პირდაპირ აყენებს კონტრაქტის ყველა ეტაპზე სხვადასხვა ფორმებს შორის კონკურენციის უზრუნველყოფის მოთხოვნას. აშშ-ში ასეთმა პრაქტიკამ მიიღო „მეორე მოიჯარე კორპორაციების კონკურენციის“ სახელწოდება.

კონტრაქტაციის მთელი სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფისა და კონტროლის ფუნქცია აშშ-ში დაკისრებული აქვს კონგრესს. ეს უკანასკნელი ყოველწლიურად იღებს კანონს პროგრამების ინიცირებისა და მათი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. ამ კანონით განისაზღვრება სახელმწიფო საჭიროებისათვის საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, პროგრამების დაგეგმვის, ორგანიზაციის, მართვის, კონტროლისა და ანგარიშგების წესი.

აშშ-ის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საკონტრაქტო კონკრეტული სისტემის სრულყოფის საკითხს და მისი წარმატებით შესრულების მიზნით პროგრამებში მონაწილე კერძო ფირმებს აძლევს რიგ პირდაპირ და არაპირდაპირ შეღავათებს.

ამრიგად, აშშ-ში ათწლეულების მანძილზე დამკვიდრდა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორცაა საკონტრაქტო სისტემა, რომელსაც ახასიათებს მკაცრი კონკურენცია, გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და საჯაროობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს გამოცდილება საინტერესო იქნება საქართველოსთვისაც. რაც მთავარია, საქართველოში აუცილებლად უნდა დაიწყოს მსგავსი საკონტრაქტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო,

ორგანიზაციული, ინსტიტუციური, ფინანსურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო-ინფორმაციული ღონისძიებების განხორციელება.

სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი სფეროა სოციალური ურთიერთობები, სადაც იგი წარმოგვიდგება სოციალური პარტნიორობის ფორმით. ეს უკანასკნელი ნიშნავს „საბაზრო ურთიერთობების გადაზრდას საკუთრივ ეკონომიკური სფეროდან სოციალური ურთიერთობის სფეროში ანუ ისეთ მდგომარეობას, „როცა სამუშაო ძალის მყიდველები და გამყიდველები „გარიგების“ პირობებზე თანხმდებიან, როგორც სოციალური კონტრაქტის თანასწორუფლებიანი სუბიექტები.“<sup>1</sup> ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი კი სახელმწიფოა.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან და 60-იანი წლების დასაწყისიდან რიგ ქვეყნებში, ეს პირველ რიგში შეეხება კონტინენტური ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერებამ განაპირობა სახელმწიფოსა და ბიზნესის სოციალურ სფეროში ურთიერთობის ისეთი ფორმების აღმოცენება, როგორცაა კორპორატივიზმი და ტრიპარტიტიზმი.

სიტყვა კორპორატივიზმი ეტიმოლოგიურად წარმოდგება ლათინური სიტყვისგან „corporation“, რაც ნიშნავს „გაერთიანებას“, „თანამეგობრობას“. ამ ფენომენის ჩამოყალიბების ფესვები შუა საუკუნეებშია. სწორედ აღნიშნულ პერიოდში დღის წესრიგში აქტუალურად დადგა საკითხი ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფი ცალკეული ჯგუფების სახელმწიფოსთან მიმართების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შექმნის აუცილებლობის შესახებ. შუა საუკუნეებში არსებობდა კორპორაციის ისეთი კლასიკური ფორმა, როგორცაა სავაჭრო გილდიები, რომლებიც ვაჭრების ეკონომიკურ აქტიურობასთან ერთად ხელოსნების საქმიანობასაც არეგულირებდა.

კორპორატივიზმის იდეა წარმატებით ვითარდებოდა მეოცე საუკუნის 30-იან 40-იან წლებამდე, ვიდრე არ მოხდა მისი დისკრედიტაცია ფაშისტურ იტალიაში, გერმანიაში და ესპანეთში, სადაც კორპორაციებმა წარმომადგენლობითი ორგანოების

---

1. Нестеренко А. Социальная рыночная экономика: концептуальные основы и исторический опыт. Журн. „Вопросы экономики“. 1998, №8, გვ. 76.

ადგილი დაიკავა და სახელმწიფოს მხრიდან ისინი ტოტალურად კონტროლდებოდა. მოგვიანებით განხორციელდა ფაშისტური რეჟიმისა და კორპორატივიზმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და მათი ფართო გამოყენება თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც ამჟამად ისინი წარმოადგენენ ლეგიტიმურ სოციალურ ინსტიტუციას.

განხორციელდა კორპორატივიზმის ნეოკორპორატივიზმის კონცეფციაში ტრანსფორმაცია, რომლის არსი სხვადასხვა გაერთიანებებისა და სახელმწიფოს ინტერესთა ნებაყოფლობით შეთანხმებაში მდგომარეობს.

კორპორატივიზმის იდეას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე სოციალ-დემოკრატიულ და ქრისტიან-დემოკრატიულ კონცეფციებში. ასევე პოპულარულია კათოლიკური სოციალური დოქტრინა, რომელიც ცდილობს ერთმანეთს შეუხამოს შუა საუკუნეების გილდიებზე ნოსტალგია და თანამედროვე ინდუსტრიული თუ პოსტინდუსტრიული საზოგადოების რეალობა.

ამ პრობლემის მკვლევარების მიერ კორპორატივიზმი წარმოდგენილია სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობის საპირწონე ძალად. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნების რეალობას რომლებშიაც დღესაც ჭარბობს პატერნალისტურ – კლიენტისტური განწყობები და ფასეულობები. ზოგიერთი ავტორი კორპორატივიზმის არსისა და როლის დახასიათებისას წინა პლანზე წამოწევს სახელმწიფოს ურთიერთკავშირს ინტერესთა ისეთი ჯგუფების მიმართ, როგორცაა ბიზნესმენტა სხვადასხვა ტიპის გაერთიანებები და კავშირები.<sup>1</sup> აღინიშნება, რომ ბიზნესმენტებს და დაქირავებულ მუშებს სჭირდებათ ერთმანეთი და ისინი ავსებენ ერთმანეთს. კორპორატივიზმის ცნებაში მთავარია სოციალურ ინტერესთა პლურალიზმი და არა მათი იერარქია. სახელმწიფო ასრულებს ამ ინტერესთა შეთანხმების ფუნქციას და არ დგას ინტერესის მატარებელ ჯგუფებზე „ზევით“. მაშასადამე, ინტერეს-ჯგუფები და მთავრობა თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან და გამორიცხულია სახელმწიფოს, როგორც ჰეგემონის როლი. ამასთანავე კორპორატივიზმი კოლექტიურ ინტერესებს პრიორიტეტს

---

1 . Scholtzman K.; Thierry J. Organzed Interests and American Democracy. N.Y., 2006, გვ.133-134.



ანიჭებს კერძო ინტერესებთან მიმართებაში და ამის რეალიზების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად სახელმწიფოს მიიჩნევს.

კორპორატივიზმის კონცეფციის ჩარჩოში სახელმწიფოსა და ცალკეული ინტერეს-ჯგუფების ურთიერთკავშირმა და ურთიერთზეგავლენამ სპეციალურ ლიტერატურაში მიიღო სოციალური პარტნიორობის სახელწოდება, რომელიც უპირისპირდება კლასობრივი ბრძოლის კონფრონტაციულ მარქსისტულ იდეოლოგიას<sup>1</sup>. სოციალური პარტნიორობის პრინციპი გულისხმობს: კაპიტალისტებსა და მუშებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების დაძლევის მოლაპარაკებათა გზით, სოციალურ-ეკონომიკური, პირველ რიგში შემოსავლების შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებას, სოციალური პარტნიორობის მონაწილე მხარეების ინტერესების გარანტირებულ დაცვას, დაქირავებულ მუშათა აქტიურ მონაწილეობას მართვაში, წარმოებისა და შრომის პროცესში ზოგად ცივილიზაციური, ჰუმანური პრინციპების დამკვიდრებას.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, აღნიშნული პრინციპების პრაქტიკული რეალიზებით მიიღწევა მეწარმეებისა და დაქირავებული მუშაკების ერთობლივი დაინტერესება ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის, წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის გამყარებისა და დემოკრატიის გაძლიერების მიმართ.

ნეოკორპორატივიზმის კონცეფციაში მეტად მნიშვნელოვანია შრომასა და კაპიტალს, მთავრობასა და კორპორაციებს შორის კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი გადაჭრის საკითხები. სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა კონფლიქტებში მონაწილე მხარეთა მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომისა და ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების უზრუნველყოფა. მსგავსი მიდგომა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „არანულოვანი თანხით თამაშის“ სახელწოდებით. ეს იმას

---

1 . Ламперт Х. Социальная рыночная экономика. Германский путь. М., 1993, гл.167; Эрхард Л. Благосостояние для всех. М., 1990, гл. 231. და სხვ.

ნიშნავს, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარე მოგებულ რჩება, თუმცა შესაძლოა განსხვავებული ხარისხით.

ცალკეულ ქვეყნებში ნეოკორპორატივიზმი სხვადასხვა სახელწოდებით არსებობს. მაგალითად, აშშ-ში მას „ეროვნულ შეთანხმებას“ უწოდებენ, გერმანიაში – „ერთობლივ მოქმედებას“, დიდ ბრიტანეთში – „სოციალურ კონტრაქტს“, ბელგიაში – „სოციალურ პროგრამირებას“ და ა.შ.

ნეოკორპორატივიზმის სტრუქტურაწარმომქმნელი ელემენტებია სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, მეწარმეთა გაერთიანებები და პროფკავშირები, რის გამოც გადაწყვეტილებათა მიღების ამ მექანიზმს ხშირად უწოდებენ „ტრიპარტიზმს“. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი მეცნიერი ამ გაიგივების წინააღმდეგია.<sup>1</sup>

არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მონაწილეობა აუცილებელია, თუმცა არასაკმარისი პირობაა კორპორატიული შეთანხმების მისაღწევად. ამის მიზეზია ის, რომ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში რომელიმე ინტერეს ჯგუფმა შეიძლება უარი თქვას შეთანხმებაზე ან დაარღვიოს იგი, თუკი ჩათვლის, რომ შეთანხმების შესრულებაში მეტისმეტად მაღალი საფასურის გადახდა მოუწევს.<sup>2</sup>

ტრიპარტივიზმი, როგორც წესი, ფართოდ გამოიყენება სოციალურ-შრომითი ურთიერთობის სფეროში. ეკონომიკის ფუნქციონირების მაკრო, მეზო და მიკრო დონეებზე იგი რეალიზდება გენერალური, დარგობრივი სატარიფო შეთანხმებისა და ფირმაში კოლექტიური ხელშეკრულების სახით. ეს შეთანხმებები ერთმანეთის დუბლირებას კი არ ახდენს, არამედ ასახავს სოციალური შრომითი ურთიერთობების სფეროში ხელისუფლების, ბიზნესისა და შრომის, როგორც ზოგადის, განსაკუთრებულისა და ცალკეულის დიალექტიკურ ურთიერთკავშირს. კერძოდ:

- გენერალური სატარიფო შეთანხმების დონეზე წყდება ერთიანი სატარიფო ბადის დაწესებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არეგულირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაკთა სამუშაო დღისა და ანაზღაურებადი შვებულების

1. Grante W. The Political Economy of Corporatism. L., 2005, გვ.19.

2. Ламперт X. დასახელებული ნაშრომი. გვ.132.

ხანგრძლივობას; ინფლაციური პროცესების გათვალისწინებით მუშაკთა ხელფასის კომპენსირების წესს და ა.შ.,

- რეგიონულ და დარგობრივ სატარიფო შეთანხმებებში განისაზღვრება კონკრეტულ დარგსა თუ რეგიონში შრომისა და ანაზღაურების პირობები;
- ფირმების დონეზე ხდება ამ პირობების კიდევ უფრო დაკონკრეტება და დაზუსტება.

სოციალური პარტნიორობა სატარიფო შეთანხმების გარდა მოიცავს:

- ფირმის საკუთრებასა და შემოსავლებში მუშების მონაწილეობას;
- შემრიგებელი და არბიტრაჟული ორგანოების შექმნას სამხრეთ (ტრიპარტიზმის) საფუძველზე შრომითი კონფლიქტის მოგვარების მიზნით;
- ფირმების მართვაში დაქირავებული მუშების მონაწილეობის სხვადასხვა ფორმებს.

გადაწყვეტილების მიღების კორპორატიული სისტემა და მით უფრო მისი განვითარებული ფორმა – სოციალური პარტნიორობა საქართველოში, სამწუხაროდ არ არსებობს, რაც ბევრი მიზეზითაა გამოწვეული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ ჩამოყალიბებულია ორგანიზებული ინტერესთა გამოკვეთილი ჯგუფები, სუსტია როგორც მეწარმეთა გაერთიანებები, ისე პროფკავშირები. ამის გამო სახელმწიფოს ორივე სუბიექტთან მიმართებაში გაბატონებული პოზიცია უკავია. ყოველივე ეს რეალურ ცხოვრებაში ხშირად ვლინდება როგორც მეწარმეთა ისე დაქირავებულ მუშაკთა მიმართ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ძალმომრეობასა და მათი უფლებების შეზღუდვაში. დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობაც უთანასწორო და უსამართლოა, რასაც განაპირობებს არსებული შრომის კოდექსი. ეს უკანასკნელი აშკარად იცავს დამქირავებლის და ზღუდავს დაქირავებულის ინტერესებს. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურებიდან არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული ეს დოკუმენტი, საქართველოს მთავრობა დღემდე ჯიუტად ცდილობს მის შენარჩუნებას. შრომისა და კაპიტალს შორის წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციებში ჩვენი სახელმწიფო გამოდის არა მიუკერძოებელი არბიტრისა თუ მომრიგებლის როლში, არამედ ხშირ შემთხვევაში ძალადობრივ მეთოდებს იყენებს

დამჭირავებლის (კაპიტალის) სასარგებლოდ, რაც სრულიად წარმოუდგენელია განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებისათვის.

ბუნებრივია, რომ შრომასა და კაპიტალს შორის ყოველთვის არსებობდა, არსებობს და ალბათ მომავალშიც იარსებებს სერიოზული წინააღმდეგობა, მაგრამ, სახელმწიფოს ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ უზრუნველყოს საზოგადოებაში ამ ინტერესთა ბალანსი, მოახერხოს დაპირისპირებულ ინტერესთა მატარებელი მხარეების თანამშრომლობა, გამორიცხოს ერთი მხარის მხარდაჭერა მეორის საზიანოდ. ყველგან და ყოველთვის სახელმწიფო უნდა იყოს მხოლოდ მიუდგომელი არბიტრი და გარანტი წარმოშობილი კონფლიქტების კომპრომისული გადაწყვეტის პროცესში.

უმნიშვნელოვანეს საკითხად მიგვაჩნია საქართველოს რეალობაში სახელმწიფოს როლის გააქტიურება ტრიპარტიზმის ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

მთავარი და გადამწყვეტი, ჩვენი აზრით ის არის, რომ მეცნიერების, ექსპერტების, სპეციალისტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ინტერეს–ჯგუფების წარმომადგენლების ერთობლივი მეცადინეობითა და ძალისხმევით შეიქმნას ჩვენი ქვეყნის რეალურობისა და მისი პერსპექტიული განვითარებისათვის ყველაზე მისაღები და მისადაგებული სოციალური პარტნიორობის მოდელი, რომელიც შეიძლება იქცეს ეკონომიკური აღმავლობის, სოციალური სიმშვიდისა და პოლიტიკური დემოკრატიის განვითარების მყარ გარანტად.

### 3.3. ლობირება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა

ლობირება წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან (lobby-კულუარები) და გულისხმობს გარკვეული ინტერესთა ჯგუფის (მაგალითად, მეწარმეების) სხვადასხვა სახის ზემოქმედებას სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებზე.

ლობირების ინსტიტუტის წარმოშობისა და გენეზისის საფუძველი იყო საზოგადოებრივი განვითარების დინამიურ პროცესში სახელმწიფო ბიუროკრატის როლის უპრეცედენტო გაძლიერება. ბიუროკრატია ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით საწერი მაგიდის ბატონობას ნიშნავს. ბიუროკრატის ძალა იმაში გამოიხატებოდა და გამოიხატება, რომ მას შეუძლია ნებისმიერი ეკონომიკური თუ სოციალური საკითხის გადაჭრის დაჩქარება ან შენელება (შეფერხება). აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებზე ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან ზემოქმედება არის ამ უკანასკნელთა სპეციფიკურ ინტერესთა რეალიზების უმნიშვნელოვანესი პირობა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ბიუროკრატია ხშირად გამოდის კერძო კორპორაციათა ბიუროკრატის ბუნებრივი მოკავშირის როლში. არც თუ იშვიათად საქმე გვაქვს მათ ურთიერთშერწყმასთანაც. ამ სიმბიოზის შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ხორციელდება კორპორაციების ინტერესთა გათვალისწინებით და მათ სასარგებლოდ. აღნიშნულთან დაკავშირებით ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი ჯ. კ. გელბრეიტი თავის დროზე აღნიშნავდა: „იქ სადაც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები ურთიერთდახმარების სულისკვეთებით მოქმედებს, ძლიერდება მათი ძალაუფლება შრომის დანაწილების საფუძველზე. ეს შესაძლებელს ხდის ლობისტთა მოქმედებას, პოლიტიკური ფონდების გამოყენებას, პროფკავშირებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წახალისებას და ა.შ.“<sup>1</sup>

1 . Гелбрейт Дж. К. Экономическая теория и цели общества. М., 1979, гл. 279.

ლობიზმს, როგორც საქმიანი ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფის მხარდაჭერის ინსტიტუტს, ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, თუმცა განსაკორტელებული მნიშვნელობა მან შეიძინა მეოცე საუკუნეში და ეს დაკავშირებული იყო ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებასთან. სპეციალურ ლიტერატურაში ლობირება და ლობისტები წარმოდგენილია როგორც ნეგატიურ (საჭირო სახელმწიფო მოხელეებისათვის ქრთამის მიცემა, პოლიტიკური პარტიებისა თუ პოლიტიკური მოღვაწეების მიერ დადგენილ ფონდებში არაკანონიერი შენატანების გაკეთება და ა.შ.), ასევე პოზიტიურ ასპექტში, ცივილიზებული ანუ ინსტიტუციონალიზებული ლობიზმის სახით.

ლობიზმი, როგორც წესი, სამ იპოსტაზში განიხილება: ლობიზმი როგორც სოციალური მოვლენა (ინსტიტუტი), ლობირება როგორც პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი ნაირსახეობა და ლობი როგორც გარკვეულ პირთა პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა.

ლობირება, ამ სიტყვის ფართო გაგებით, გულისხმობს წარმომადგენლობითი (როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი) ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის მუშაკებთან მუშაობას, რომლის მიზანია გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების ამ სტრუქტურებში წარდგენა და სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან მათი მხარდაჭერის მოპოვება. აღნიშნული მიზანი მიიღწევა შესაბამისი მექანიზმების, ტექნოლოგიების, ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლის საბოლოო შედეგია შესაბამისი ინტერეს ჯგუფების მოთხოვნების ასახვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

ლობი არის ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომლის წევრები ოფიციალურად მოქმედებენ და არ აცხადებენ პრეტენზიას საკუთარ ინტერესებზე. ამ შემთხვევაში მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ ფინანსური ინტერესი, რომელიც აისახება გაწეული ლობისტური მომსახურების ანაზღაურებაში, რასაც ასევე ლეგალური ხასიათი გააჩნია.

ლობიზმის ფართოდ გავრცელება დაკავშირებული იყო სამ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პროცესთან: 1. საბაზრო ეკონომიკის

აღმოცენებასთან, 2. სამოქალაქო საზოგადოებისა და 3. პლურალისტური პოლიტიკური სისტემის ფორმირებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია ის ფაქტი, რომ საქართველოში დღეისათვის ლობირების ფენომენი ინსტიტუციურად ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, რადგანაც ჩვენთან, ერთი მხრივ, არ არსებობს მკვეთრად სტრუქტურულიზებული და ორგანიზებული ინტერეს ჯგუფები, ხოლო მეორე მხრივ, ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სხვადასხვა ტიპის ლობისტური ორგანიზაციები.

ლობირება შეიძლება ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა პირველ რიგში იგი ეკონომიკური მიზნების მიღწევას ანუ დაინტერესებული ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების რეალიზებას ემსახურება. აქედან გამომდინარე, ლობირების პრობლემა უპირატესად ბიზნესისა და მეწარმეობის სტრუქტურებს ეხება.

ლობირებასთან დაკავშირებული ურთიერთობა ლობისტურ ფირმებს, ინტერესთა ჯგუფებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ყალიბდება კონკრეტული კანონების მიღებასთან, საგადასახადო შეღავათების დაწესებასთან, დოტაციებისა და სუბსიდიების გამოყოფასთან, კვოტებისა და ლიცენზიების გაცემასთან და ა.შ. დაკავშირებით.

აშშ-ში ლობირების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კორპორაციების მიერ ლობირებაზე გაწეული ხარჯები არა მარტო ანაზღაურებს საკუთარ თავს, არამედ დიდი მოგების მომტანიცაა მათთვის.<sup>1</sup>

დასავლეთის ქვეყნებში დიდი მიშვნელობა ენიჭება ლობირების რეგულირებას და კონტროლს შესაბამისი კანონმდებლობის საშუალებით, რაც მეტად რთული და მრავალმხრივი პროცესია. აშშ-ში ლობისტური საქმიანობის ლეგიტიმურობის დასასაბუთებლად ხშირად იყენებენ ამ ქვეყნის კონსტიტუციის პირველ შესწორებას, რომელიც უფლებას აძლევს ყველა მოქალაქეს თხოვნით მიმართოს სახელმწიფოს. მსგავსი პრინციპი დაფიქსირებულია თითქმის ყველა ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნის კონსტიტუციაში. ამასთან ერთად, რიგ ქვეყნებში,

---

1 . Scholzman K.L., Tierney J.T. Organized Interests and American Democracy. N.Y., 2006, გვ.113., Вавилов Л. «Лобизм и коррупция в США. „Российские вести“, 2009, №14, с. 15., Лобизм сегодня. „Власть“. 2005, №3, გვ.63.

მაგალითად, აშშ-სა და კანადაში მიღებულია სპეციალური კანონები ლობიზმის შესახებ. სხვა ქვეყნებში (ავსტრალია, გერმანია, ბრაზილია) აღნიშნულ სფეროს არეგულირებს სპეციალური ნორმები და პროცედურები.

ლობირების საკანონმდებლო რეგულირების მთავარი მიზანია მასთან დაკავშირებული კორუფციის შეზღუდვა და რამდენადაც ეს შესაძლებელია, მისი სრული აღმოფხვრა.

ისტორიიდან ცნობილია, რომ აშშ-ში აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის შესახებ 1996 წელს მიღებულ კანონში გამოყოფილია სპეციალური განყოფილება, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ პირის ან პირთა ჯგუფის სავალდებულო რეგისტრაციას, რომლებსაც რაიმე შეხება გააჩნიათ კონგრესის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების განაწილებასთან დაკავშირებულ კანონებთან. სწორედ ლობისტური საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის შემოღებით განხორციელდა ამ საქმიანობის ლეგალიზაცია.

აშშ-ში ამჟამად მოქმედი კანონის შესაბამისად, ყოველი ლობისტი ვალდებულია გამოაქვეყნოს, როგორც ლობირებიდან მიღებული შემოსავლები, ისე ლობირების ფონდებში გაკეთებული შენატანები, თუკი ეს უკანასკნელი აჭარბებს 500 აშშ დოლარს. ყველა ლობისტური ჯგუფი თუ ორგანიზაცია ასევე ვალდებულია დარეგისტრირდეს კონგრესში. ეს უკანასკნელი პერიოდულად აქვეყნებს იმ პირების ან ჯგუფების სიას, რომლებმაც ლობირებაზე ყველაზე მეტი თანხა დახარჯეს, ამ თანხების სიდიდის და წარმოშობის წყაროების მითითებით.

აღნიშნული წესის დარღვევა იწვევს 5 ათასიან ჯარიმას ან ერთ წალმდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. ამასთანავე, ლობისტური საქმიანობის წესების დამრღვევს სამი წლის მანძილზე ეკრძალება ამ საქმიანობის განხორციელება. წესების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში სანქციები მკაცრდება და ითვალისწინებს ან ჯარიმას 10 ათას დოლარამდე, ან პატიმრობას 5 წლამდე ვადით, ან ორივეს ერთად.

ბიზნესმენთა(მეწარმეთა) ინტერესების ლობირებას ახორციელებს მრავალრიცხოვანი სამეწარმეო გაერთიანებები (კავშირები, ასოციაციები, ლიგები),



ბიზნეს-კლუბები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სოციალური ლობისტური კლუბები.

ყველა სერიოზულ სამეწარმეო ორგანიზაციას თუ ბიზნეს-სტრუქტურას ზოგადნაციონალური მასშტაბით ვაშინგტონში ჰყავს საკუთარი გავლენიანი ლობისტები. მაგალითად, მხოლოდ ერთი დარგის – ნავთობის მრეწველობის კომპანიებს ამერიკის დედაქალაქში 60-მდე ოფიციალურად დარეგისტრირებული ლობისტი ჰყავს. ლობირების პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული შტატებისა და ადგილობრივ(მუნიციპალურ) დონეებზეც. მაგალითად, მარტო კალიფორნიაში 500-მდე ლობისტია დარეგისტრირებული. ლობისტებად ხშირად გვევლინებიან სხვადასხვა დონის საკანონმდებლო ორგანოების ყოფილი წევრები. ეს იმითაა განპირობებული, რომ მათ გააჩნიათ სახელმწიფო ორგანოებში მუშაობის გამოცდილება და საჭირო კავშირები, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია წარმატებული ლობისტური საქმიანობისათვის. აშშ-ში ლობისტებს სახელებს არქმევენ იმ ბიზნესების მიხედვით, რომელთა ინტერესებსაც ისინი იცავენ: „ნავთობის ლობი“, „იარაღის ლობი“, „ავტომობილების ლობი“ და ა.შ. ლობისტად დარეგისტრირებისას არსებობს იმის მოთხოვნა, რომ პირმა ან პირთა ჯგუფმა უნდა განაცხადოს თუ ვის ინტერესებს იცავს იგი. თუმცა ხშირ შემთხვევაში ის კორპორაციები, რომელთა ინტერესებსაც ლობისტები წარმოადგენენ, საიდუმლოდ რჩება.

უკანასკნელ წლებში აშშ-ში შეინიშნებოდა ბიზნესის პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერება, რომლის გამოხატულება იყო იმ კორპორაციათა რაოდენობის ზრდა, რომლებიც ამერიკის დედაქალაქში თავინთი ლობისტი წარმომადგენლების ოფისებს ხსნიდნენ. ასევე შეინიშნებოდა სამთავრობო პოლიტიკაზე მსხვილი ბიზნესის ზეგავლენის გაძლიერება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ლობისტური სტრუქტურები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ლეგალური ლობირება ჩვენთან ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ბიზნესის ინტერესების დაცვის ძლიერ ინსტრუმენტს (სამუალებას) და ვერ გამოდის შუამავლის როლში ბიზნესსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის.

აღნიშნულის გამო საქართველოში ძირითადად მოქმედებს ე.წ. „კორიდორული ლობიზმი“, რაც ნიშნავს შემდეგს: ადამიანები, რომლებიც ოფიციალურად არ არიან დარეგისტრირებული ლობისტებად, ფაქტობრივად ეწევიან ლობისტურ საქმიანობას ანუ მონაწილეობენ ამა თუ იმ კონკრეტულ ინტერეს ჯგუფის სასარგებლო გადაწყვეტილებების საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში მიღების „წაბიძგებაში“ ან არასასურველის დამუხრუჭებასა და ზოგჯერ საერთოდ უკუგდებაში. არსებობს ამგვარი მოქმედების განხორციელების სპეციფიკური წესი, რომელიც მდგომარეობს „თავისიანების“ საკვანძო სახელმწიფო სტრუქტურებში დანიშვნაში. შესაბამისად, „კორიდორული ლობიზმის“ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წამყვან თანამდებობებზე ძალთა განლაგებას და რეალურ პროცესებზე მათი ზემოქმედების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ საქართველოში, ბევრი სხვა პოსტკომუნისტური(პოსტსაბჭოური) ქვეყნის მსგავსად, უაღრესად მნიშვნელოვანია საკვანძო თანამდებობებზე, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ბიზნეს ჯგუფების წარმომადგენლების ან უშუალოდ მათთან დაკავშირებული პირების დანიშვნა და მათი პოლიტიკური მხარდაჭერა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი იმ თანამდებობებთან მიმართებაში, რომლებსაც უშუალო შეხება გააჩნია: საკუთრების განაწილებასთან, ბიუჯეტის ხარჯებთან, სხვადასხვა გრანტების განაწილებასთან და ა.შ.

ცალკე განხილვას იმსახურებს ლობისტის ფიგურა. თანამედროვე ეკონომიკის (ბიზნესის) განვითარების დონე მოითხოვს, რომ ლობირება არსებობდეს როგორც განსაზღვრული პროფესია, რომელიც შესაბამის ცოდნას, ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებას, უნარ-ჩვევებს, დროსა და ენერგიას მოითხოვს. ლობისტები განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, მაღალი დონის პროფესიონალი-ექსპერტები და კონსულტანტების არიან, რომლებსაც გააჩნიათ, როგორც ღრმა თეორიული ცოდნა, ისე მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება. არანაკლებ მნიშვნელოვანია კარგი კავშირები ბიზნესწრეებსა და სახელისუფლებო კორიდორებში.

შესაბამისად, ლობისტს უნდა ახასიათებდეს სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობის სწრაფად დამყარებისა და ხანგრძლივად შენარჩუნების უნარი, მოქნილობა და მაღალი კომუნიკაბელურობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი ღირსების გრძნობა, პატიოსნება და ძლიერი პოლიტიკური ალღო.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და განვითარების პროცესი საქართველოში დღის წესრიგში აყენებს ლობიზმის ინსტიტუციონალიზების აუცილებლობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლობიზმის შესახებ კანონის მიღებას, რომელიც აღიქმება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობის ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევის მიზნით, დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი. ეს კანონი, ერთი მხრივ, სამართლებრივ სივრცეში მოაქცევს სხვადასხვა დონის სამთავრობო სტრუქტურების მოხელეთა საქმიანობას, მეორე მხრივ კი ცივილიზებული ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს. საბოლოო ანგარიშით, ხელი შეეწყობა სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის ამაღლების აუცილებელი პირობაა.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისათვის აუცილებელია ეკონომიკური ძალაუფლების შინაარსის გარკვევა. ეკონომიკურ ძალაუფლებას ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარსა და შესაძლებლობას სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით ზეგავლენა მოახდინოს სხვა ადამიანებზე, ჯგუფებზე ან საზოგადოებაზე, მათი ეკონომიკური ქცევის საკუთარი ინტერესებისადმი დაქვემდებარების მიზნით.

ეკონომიკური ძალაუფლების უმნიშვნელოვანესი ფორმაა სახელმწიფოს ეკონომიკური ძალაუფლება, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს ეკონომიკურ როლში და რელიზდება მის ეკონომიკურ ფუნქციებში.

განვითარებულ და ჩამოყალიბების პროცესში მყოფ (პოსტკომუნისტურ) საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს ახასიათებს როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები.

პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში ჩვენ გამოვყოფთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სამ ჯგუფს: სისტემაწარმომქმნელ, სისტემაგანმამტკიცებელ და სისტემააღმწარმოებად ფუნქციებს. სწორედ მათ ერთობლიობაში რელიზდება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციის პროცესში.

სახელმწიფოს სისტემაწარმომქმნელი ფუნქცია მდგომარეობს საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობაში. იგი დაკავშირებულია ახალი ეკონომიკური სისტემის „ინსტიტუციონალური კარკასის“ შექმნასთან და ხორციელდება შემდეგი ღონისძიებებით: განსახელმწიფობრივება და პრივატიზება; კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური „თამაშის წესების“ დამკვიდრება; საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი, საწარმოო – ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მხარდაჭერა. სახელმწიფოს სისტემაგანმამტკიცებელ ფუნქციაში ჩვენ ვგულისხმობთ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებთან, ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანას სახელმწიფოს მიერ.

სახელმწიფოს სისტემააღმწარმოებადი ფუნქცია ნიშნავს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ადამიანური რესურსების კონსოლიდაციას საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური ფორმების, მეთოდებისა და მექანიზმების გამოყენების საფუძველზე. ამ ფუნქციის განხორციელების უპირველესი ამოცანაა საზოგადოებაში არსებული ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესების დაბალანსება და საზოგადოებრივ ინტერესებთან მათი შესაბამისობაში მოყვანა, რაც თავისთავად გულისხმობს ხელისუფლებისა და ბიზნესის სტრატეგიულ თანამშრომლობას.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ფუნქციების შესრულება ორგანულადაა დაკავშირებული სახელმწიფო მართვის სრულყოფასთან, რომელიც მიიღწევა სიღრმისეული ადმინისტრაციული რეფორმის თამნიდევრული განხორციელებით. ნაშრომში ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვა ამ რეფორმის მთავარი მიზნების, ამოცანების, მიმართულებებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ისეთი უმნიშვნელოვანესი პროცესები, როგორცაა გლობალიზაცია და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ინდუსტრიული ეკონომიკიდან პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლა, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე და იწვევს მის მოდიფიცირებას. ეს გამოიხატება იმაში, რომ არნახულად ძლიერდება სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის, როგორც ერთმანეთზე, ისე ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) ინსტიტუტებზე დამოკიდებულება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ქრება ან სუსტდება. პირიქით, რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორცაა ინოვაციური ეკონომიკის განვითარება, სოციალური ფაქტორების გაძლიერება და ა.შ., სახელმწიფოს როლი ძლიერდება. გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციაა არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორებისაგან, რაც პრაქტიკულად

შეუძლებელია, არამედ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მისი ეფექტიანი ჩართვისათვის ხელის შეწყობა და გლობალური მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოს შეუძლია გლობალური ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, ახალი ცოდნის გენერირებასა და ძველი ცოდნის შენახვა-დაგროვებაზე დამყარებული ინფორმაციული ტიპის ეკონომიკის შექმნა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისული განვითარების პერიოდში. სწორედ სახელმწიფო მოგვევლინა კრიზისული სიტუაციის დაძლევის მთავარ იარაღად, მან ითამაშა ე.წ. „ბრიჯ-მენეჯერის“ როლი და საკუთარ თავზე აიღო კრიზისის ძირითადი სიმძიმე. რეალურმა სინამდვილემ დაგვანახა, რომ კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდებში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში ობიექტური აუცილებლობაა, ნებისმიერი განსხვავებული მიდგომა ამ საკითხისადმი კი მცდარია და უარყოფილთი შედეგების მომტანი. ამასთანავე სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერება აღქმული უნდა იქნეს არა როგორც ეკონომიკურ პროცესებში მისი პირდაპირი ჩარევა, კერძო ბიზნესისა და კერძო ინიციატივის შეზღუდვა, არამედ როგორც მათი დახმარება, სტიმულირება და ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ფორმირება, შესაბამისი ფინანსურ-ეკონომიკური, ინსტიტუციური, ორგანიზაციული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების საშუალებით.

სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის შესწავლა მოითხოვს ბიზნესის არსის, მეწარმეობასთან მისი დამოკიდებულების რამდენიმე სადისკუსიო საკითხის გარკვევას. საკითხის კვლევისადმი ისტორიულ-ლოგიკური მიდგომის საფუძველზე ჩამოყალიბებულია რამდენიმე დასკვნა:

- მკაცრი მეცნიერული აზრით, ბიზნესი და მეწარმეობა არ არის იდენტური კატეგორიები;

- მეწარმეობისა და ბიზნესის შინაარსობრივი გამიჯვნა განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკის გლობალიზაციის კონტექსტში. ფინანსური გლობალიზაცია, მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით, დღის წესრიგში აყენებს მეწარმისა და ბიზნესმენის (ფინანსისტის) ფიგურების ერთმანეთისგან გამიჯვნის აუცილებლობას, ფინანსისტების მოქმედების შეზღუდვისა და მეწარმეთა სამოქმედო ასპარეზის გაფართოების კონტექსტში.
- კვლევის კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში ამ ორი ცნების ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს. მათ შორის ერთიანობა არსებითია, განსხვავება კი ცალკეული ნიუანსი.
- ქართულ ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში ბიზნესის გვერდით მეწარმეობის ცნების დამკვიდრება განაპირობა „კანონმა მეწარმეობის“ შესახებ, რომელიც თავის დროზე დაიწერა გერმანული ანალოგის საფუძველზე, რომელშიაც მეწარმეობის ცნებაა უფრო პრიორიტეტული.

განვითარებული, განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის როლი უმნიშვნელოვანესია, რასაც მისი ფუნქციები განაპირობებს. ჩვენ გამოვყავით მცირე და საშუალო ბიზნესის ლატენტური საზოგადოებრივი და კერძო-ეკონომიკური ფუნქციები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება:

- საშუალო კლასის ჩამოყალიბებისათვის საფუძველის შექმნა;
- საზოგადოების წევრებში სამეწარმეო სულისკვეთების ფორმირება;
- საბაზრო ეკონომიკის მობილურობის, მოქნილობის უზრუნველყოფა და მისი ეფექტიანობის გაზრდა;
- საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება.

კერძო ეკონომიკური ფუნქციებია:

- ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შექმნაში აქტიური მონაწილეობა;
- დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა;

- ინოვაციური პროცესების დაჩქარება;
- ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა;
- ფისკალური ფუნქცია, რომელიც ვლინდება იმაში, რომ ბევრ ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოები ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების წყაროა;
- იმპორტშემცველი წარმოების განვითარება.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ანალიზი საშაულებას გვაძლევს დავინახოთ როგორც ამ სფეროში მიღწეული წარმატებები, ისე ხარვეზები და ნაკლოვანებები.

წინადადებულ ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს:

- ბიზნესის დაწყების საგრძნობი გაადვილება, რაც გამოიხატება ლიცენზიების უმეტესი ნაწილის გაუქმებასა და ქონების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივებაში;
- გადასახადების რაოდენობისა და ზოგიერთი გადასახადის განაკვეთების შემცირება;
- ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება, რომელმაც მინიმალურ დონეზე შეამცირა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ბიზნესმენებისაგან ქრთამის აღების ფაქტები;
- შრომის კოდექსის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია.

ბიზნესის სფეროში ჯერ კიდევ არსებული პრობლემებია:

- ბიზნეს-გარემოს ჭარბი ვოლატურობა და არაპროგნოზირებადობა;
- ინვესტიციების მოძიების სირთულე;
- საბანკო და არასაბანკო კრედიტებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, რომელსაც განაპირობებს საპროცენტო განაკვეთების მაღალი დონე და გაზრდილი საგირავნო მოთხოვნები;
- საწარმოო სიმძლავრეების მოძველებულობა და ჩამორჩენილობა;
- ბიზნესმენტა ცოდნის დაბალი დონე და პროფესიული უნარ-ჩვევების განუვითარებლობა;



- მცირე და საშუალო ბიზნესის უაღრესად უთანაბრო განაწილება რეგიონალურ ქრისში.

ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემების მთავარი გამომწვევი მიზეზებია:

- ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი დონე;
- საკუთრების უფლების ხშირი დარღვევა;
- სასამართლოს მიერ მიკერძოებული გადაწყვეტილებების ხშირი მიღება სამეურნეო დავებთან დაკავშირებით;
- სახელშეკრულშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დაბალი დონე;
- ეკონომიკური სუბიექტების მიერ საქმიანობის შეწყვეტისა და ბაზრიდან გასვლის პროცედურათა სირთულე;
- საგადასახადო კოდექსის არასტაბილურობა, მასში ბევრი ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო დებულების არსებობა;
- ბიზნესის დამცავი და მხარდამჭერი სახელმწიფო სტრუქტურების არარსებობა.

ბიზნესის მხარდაჭერისა და წახალისების ღონისძიებებია:

ა) ფისკალურ სფეროში –

- ფუნქციონირების დაწყებიდან ორი წლის მანძილზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მოგებაზე გადასახადის განახევრება;
- რეინვესტირებული კაპიტალის მოგების გადასახადისაგან სრული გათავისუფლება;
- მცირე საწარმოებისათვის დაჩქარებული ამორტიზაციის წესის გამოყენების უფლების მინიჭება;
- გამარტივებული საბუღალტრო აღრიცხვის წესის გამოყენება.

ბ) ფინანსურ – საკრედიტო სფეროში –

- მიკრო და მცირე ბიზნესის დაფინანსების არასაბანკო ინსტიტუტების (სტრუქტურების) ჩამოყალიბების სტიმულირება;
- საბანკო მომსახურების სფეროს დივერსიფიცირება;
- შეზღუდული ლიცენზიების მქონე ბანკების ქსელის შექმნის წახალისება;

- ვენჩურული ინტელექტუალური ფონდისა და სპეციალიზებული ინვესტიციური ბანკის შექმნა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში მეცნიერთტევადი მაღალი ტექნოლოგიების განვითარების დაფინანსებისათვის;
- ინტელექტუალური საკუთრებით გარანტირებული მაღალი ტექნოლოგიების ფორმების (ე.წ. „დოტ-კომების“) ფასიანი ქაღალდებისა და ინვესტიციების ბაზრის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- დისტანციური საფინანსო მომსახურების პრაქტიკის დანერგვა;
- ელექტრონული მობილური გადახდის საშუალებების ფართო გავრცელებისათვის ხელის შეწყობა.

გ) ტექნოლოგიური უზრუნველყოფის თვალსაზრისით:

- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიაც ზუსტად განისაზღვრება მათი მიღების წყაროები, ფორმები, გზები, ვადები ა.შ.;
- ტექნოლოგიების შემოტანის თანამედროვე და აპრობირებული ფორმების (ლიცენზიები, ნოუ-ჰაუ, საწარმოთა კოოპერირება, ერთობლივი მეწარმეობა და სხვ.) გამოყენება;
- ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანის ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბება: ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნოპარკების, სალიზინგო კომპანიების და სხვ. შექმნა;
- მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენებაზე ორიენტირებული მეწარმეების წახალისების ეფექტიანი სისტემის დანერგვა;
- ახალი ტექნოლოგიების ათვისება-გამოყენების სწავლება და კონსულტაციები.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის დასავლეთის წამყვან ქვეყნებში გავრცელებული და ეფექტიანი ფორმაა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა (Public Private Partnership - PPP). ეს ნიშნავს კოლექტიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საზოგადოებრივი საქონლის უფრო ეფექტიანად მიწოდებს მიზნით უარის თქმას და მათ გაცემას კერძო კომპანიების ხელში,

თუკი ისინი უფრო უკეთესად ახორციელებენ ამ საქმიანობას ანუ სახელმწიფო ხელისუფლების გარკვეული ფუნქციების კვაზიპრივატიზებას, განსაკუთრებით რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე.

ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ PPP-ს მოდელს მაღალი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა ახასიათებს.

კერძოდ იგი ხელს უწყობს:

- ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების რელიზაციის დაჩქარებას;
- მომსახურების გაწევის ფორმების სრულყოფას და ხარისხის გაუმჯობესებას;
- სახელმწიფო მართვის ორგანოებზე სამეურნეო დატვირთვის შემსუბუქებას და რისკის კერძო პარტნიორებზე გადანაწილებას;
- მსხვილი პროექტების დაფინანსების სტრუქტურის ოპტიმიზაციას;
- ადგილობრივი და უცხოური დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

აღნიშნული გამოცდილების გამოყენება, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში. აუცილებელია დაიწყოს საკონტრაქტო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციური, ფინანსურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო-ინფორმაციული ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებას.

სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალურ სფეროში. ამ ურთიერთობის კონკრეტულ ფორმებს წარმოადგენს კორპორატივიზმი და ტრიპარტიზმი. კორპორატივიზმი და ნეოკორპორატივიზმი გულისხმობს სახელმწიფოსა და სხვადასხვა ინტერეს ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესთა შეთანხმებას, რომელიც ქვეყანაში სოციალური სტაბილურობის მთავარი გარანტია. კორპორატივიზმის კონცეფციის ჩარჩოში სახელმწიფოსა და ინტერესთა

ჯგუფების ურთიერთკავშირსა და ურთიერთზეგავლენას ეწოდება სოციალური პარტნიორობა. ნეოკორპორატივიზმის მთავარი წარმომქმნელი ელემენტებია: სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, მეწარმეთა გაერთიანებები და პროფკავშირები. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებათა მიღების ამ მექანიზმს ხშირად უწოდებენ ტრიპარტიზმს.

ბიზნესისა და სახელმწიფოს სოციალური ურთიერთობის აღნიშნული ფორმა საქართველოში ჯერ – ჯერობით არ არსებობს, რაც რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. გადაუდებელ ამოცანად მივიჩნევთ წამყვანი მეცნიერების (ფილოსოფოსების, სამართალმცოდნეების, სოციოლოგებისა და ეკონომისტების), ექსპერტების, სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების, კონკრეტული ინტერეს ჯგუფების წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით, ჩვენი ქვეყნის განვითარების პერსპექტივების რეალობასთან მისადაგებული სოციალური პარტნიორობის მოდელის შექმნას, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის, სოციალური სტაბილურობისა და პოლიტიკური დემოკრატიის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება.

ლობირება და ლობიზმი გარკვეულ ინტერესთა ჯგუფების სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებზე ზეგავლენის მექანიზმია, რომელიც მიზნად ისახავს ამ ჯგუფების ეკონომიკურ ინტერესთა რეალიზაციას. დასავლეთის ქვეყნებში ათწლეულების მანძილზე აღმოცენდა ინსტიტუციონალიზებული ლობირების ეფექტიანად ფუნქციონირებადი სისტემა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებასა და კონტროლს ექვემდებარება.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოში დღის წესრიგში აყენებს ლობიზმის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობას. ამ მიმართულებით გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იქნებოდა ლობირების შესახებ კანონის რეალური ამოქმედების ხელშეწყობა, რაც ცივილიზებულ ჩარჩოში მოაქცევდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთობას, ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ბიზნეს–ჯგუფების ინტერესთა ლეგალურ დაცვას სახელმწიფო ხელისუფლების იერარქიული კიბის ყველა საფეხურზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ც. საქართველოში შრომითი ურთიერთობის სფეროში მოქმედი ნორმების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან . „სოციალური ეკონომიკა“. 2007, №3, გვ.76–86.
2. არჩვაძე ი. საშუალო ფენა საქართველოში: სოცილურ–ეკონომიკური როლი და მნიშვნელობა „სოციალური ეკონომიკა“. 2007, №7, გვ.39-47.
3. არჩვაძე ი., ქურხული ლ. ეკონომიკური ფსიქოლოგია. თბ., 2011.
4. ასათიანი ა. სოციალური დიფერენციაციის მოდელები და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“. 2010, №2, გვ.76–84.
5. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი თბ., 2012.
6. აქუბარდია თ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2005.
7. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ., 2005.
8. ბულია ლ., თევდორაძე მ., თურმანიძე თ. ფირმის ბიზნეს–პროცესების რეინჟინირინგი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. . „სოციალური ეკონომიკა“. 2007, №6, გვ.110–112.
9. გამოწვევები საქართველოს განვითარებისათვის (ალტერნატიული ხედვა). თბ., 2011.
10. გვაჯაია ლ. მცირე და საშუალო საწარმოები გარდამავალ ეკონომიკაში. . „სოციალური ეკონომიკა“. 2001, №3, გვ.112–119
11. გველესიანი რ. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბ., 1999.
12. გველესიანი რ. საწარმოთა თვითგანვითარების სტრატეგიის შინაგანი წინააღმდეგობა. „სოციალური ეკონომიკა“. 2009, №3, გვ.154–163.

13. გველესიანი რ. მსოფლიო ბაზრის ლიდერი საწარმოების ეკონომიკური პოლიტიკა. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2010, №1, გვ.23–34.
14. გელიტაშვილი ნ. სოციალური დაცვის ევროპული სისტემა და საქართველო. . „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №6, გვ.30–42.
15. გელიტაშვილი ნ. ეკონომიკური და სოციალური რეფორმები ტრანსფორმაციულ პროცესში. „სოციალური ეკონომიკა“. 2008, №5, გვ.158–167.
16. გოგიაშვილი შ. , ფეტელავა ს. კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება. თბ., 2007.
17. გოგიაშვილი შ. სახელმწიფოს როლი ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნეს–გარემოს ფორმირებაში. . „სოციალური ეკონომიკა“. 2008, №3, გვ.57–66.
18. გოგიაშვილი შ. საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაცია და მისი მაჩვენებლები. . „ეკონომისტი“. 2009, №3, გვ.27–30.
19. გოგიაშვილი შ. კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა. თბ., 2009.
20. გოგობია რ. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბ., 2004.
21. გოგობია რ. „სოციალური საბაზრო მეურნეობის სათავეებთან“. . „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №6, გვ.30–42.
22. ერქომაიშვილი გ. ბიზნესი: ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები. თბ., 2007.
23. ერქომაიშვილი გ. ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში. . „სოციალური ეკონომიკა“. 2009, №3, გვ.99–104.
24. ერქომაიშვილი გ. გლობალიზაცია და ბიზნესის განვითარების მდგომარეობა საქართველოში. „ეკონომისტი“. 2009, №3, გვ.96–100.
25. ვაალი თ. დე. საქართველოს არჩევანი (მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პირობებში). თბ., 2011.

26. ვარდიაშვილი ს. საქართველოში ბიზნეს-მენეჯმენტის დამკვიდრების თავისებურებები. „სოციალური ეკონომიკა“. 2010, №3, გვ.123–135.
27. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. თბ., 2011.
28. თოდუა გრ. მეცნიერებისა და ბიზნესის შერწყმის გარდაუვალობა სინთეზურ ეკონომიკაში და სახელმწიფო. „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №6, გვ.5–11.
29. თოლორდავა ჟ. ბიზნეს-ინკუბატორები: არსი, სახეობები, საქმიანობის სპეციფიკა. „სოციალური ეკონომიკა“, 2006, №3, გვ.168–173.
30. თოლორდავა ჟ. ბიზნესი და კონკურენცია. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2010, №6, გვ.83–88.
31. თოქმაზიშვილი მ. არჩვაძე ი. შრომის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ასპექტები საქართველოში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტენდენციები. კვარტალური მიმოხილვა.თბ., 2007.
32. თოქმაზიშვილი მ. სილაგაძე ა. საბანკო სისტემის განვითარების ასპექტები საქართველოში. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბ., 2008.
33. თოქმაზიშვილი მ. სილაგაძე ა. პოსტკომუნისტური ფინანსური პოლიტიკა, თბ., 2008.
34. თოქმაზიშვილი მ. საფინანსო-სავალუტო კრიზისები და საქართველო, თბ., 2004.
35. კვარაცხელია ლ. მეწარმეობა და კონკურენტული გარემო. თბ., 2010.
36. კიკუტაძე ს. ბიზნესის განვითარების რეგიონული ასპექტები საქართველოში. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2009, №6, გვ.149–160.
37. კორდონიე ვ. კერძო დანაზოგები, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ფინანსური სექტორის განვითარება საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. GEPLAC, 2008, გვ.63-70.
38. მასურაშვილი ს. ინოვაციური ბიზნესის პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში. „სოციალური ეკონომიკა“. 2009, №3, გვ.164–167.
39. მაქაცარია ნ. საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირებისათვის საქართველოში. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2010, №3, გვ.42–52.

40. მაქსოვეი მ. მეწარმეობის და ბიზნესის საფუძვლები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.
41. მელაძე ე. შრომითი ურთიერთობების რეგულირება და პრონციპები, თბ., 2012.
42. მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.
43. მენქიუ გრ. ეკონომიკის პრინციპები. თბ., 2008.
44. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბ., 2002.
45. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995.
46. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები. თბ., 2009.
47. მექვაბიშვილი ე. თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., 2012.
48. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები (ავტორთა კოლექტივი) ნაწილი I-II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
49. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები (ავტორთა კოლექტივი) ნაწილი – III. თბ., 2011.
50. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში (სტატისტიკური პუბლიკაცია). თბ., 2009.
51. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში (სტატისტიკური პუბლიკაცია). თბ., 2012.
52. ნაცვლიშვილი ი. ამერიკული კაპიტალიზმი და კონტინენტური ევროპის სოციალური საბაზრო ეკონომიკები. „სოციალური ეკონომიკა“. 2007, №3, გვ.24–31.
53. ნაცვლიშვილი ი. მეწარმეობისადმი დამოკიდებულება საქართველოში. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2010, №7, გვ.83–88.
54. პავლიაშვილი ს. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბ., 2009.



55. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
56. პაპავა ვ. ნეკროეკონომიკის ზომბირება. თბ., 2010.
57. პაპავა გ. მეწარმეობის საფუძვლები. თბ., 2004.
58. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2007.
59. სამსონი ი. განვითარების გზების ძიება: საქართველოს ამოცანები. „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. (კვარტალური მიმოხილვა), GEPLAC, 2006 მარტი.გვ. 63-74.
60. სართანია ვ. განათლების ეკონომიკა (ისტორია, თეორია, პერსპექტივა), თბ., 2001.
61. სართანია ვ. განათლება და ეკონომიკა. თანამედროვე თეორიები და განვითარების მიმართულებები. გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2001.
62. სართანია ვ. გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში, თბ., 2010 წ.
63. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. თბ., 1994.
64. საქართველო: შინამეურნეობები. თბ., 2010.
65. საქართველოს ეკონომიკა (ავტორთა კოლექტივი), თბ. 2012.
66. სილაგაძე ა. ეკონომიკური ლექსიკონი. თბ. 2001.
67. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010.
68. სილაგაძე ა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, თბ., 2011.
69. სიხარულიძე დ. მეწარმეობა და რელიგია. „სოციალური ეკონომიკა“. 2000, №6, გვ.25-31.
70. ტალიაშვილი ა. ანტიკური ქვეყნების სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი. თბ., 2009.
71. ფერაძე მ. განმარტებები ეკონომიკის ეთიკისა და ბიზნეს-ეთიკის ზოგიერთ საკითხზე. „სოციალური ეკონომიკა“. 2008, №1, გვ.186-202.
72. ფერაძე მ. ბიზნესეთიკა: ბიზნესის სფეროში ეთიკის აუცილებლობის შესახებ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2009, №1, გვ.180-185.

73. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბ., 2007.
74. ფეტელავა ს. მსჯელობა საქართველოს საკონკურენციო (ანტიმონოპოლიური) სამართლის სრულყოფის საკითხებზე. თბ., 2007.
75. ქირთბაია მ. ბიზნესი და ეთიკა. თბ., 2004.
76. ქირთბაია მ. ქართული ხასიათი და ბიზნესი. „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №3, გვ.33–45.
77. ქირთბაია მ. წარმატებულად არ იბადებიან, წარმატებულები ხდებიან. „სოციალური ეკონომიკა“. 2007, №3, გვ.44–53.
78. ქუტიძე რ. სახელმწიფო და ბაზარი: მითი თუ სინამდვილე. „სოციალური ეკონომიკა“. 2001, №6, გვ.46–53.
79. ლუდუშაური ნ., გუგავა გ. მცირე საწარმოების ფუნქციონირების ზოგიერთი უცხოური გამოცდილება. „სოციალური ეკონომიკა“. 2000, №1, გვ.61–67.
80. შაბურიშვილი შ. ბიზნეს – ანგელოზების ინვესტიციები მსოფლიო ეკონომიკაში. „სოციალური ეკონომიკა“. 2009, №3, გვ.44–53.
81. შენგელია თ. ინსტიტუციური რეფორმები და ბიზნეს–გარემო საქართველოში. „სოციალური ეკონომიკა“. 2008, №4, გვ.16–26.
82. შენგელია თ. ინოვაცია როგორც ბიზნესში ასახული უპირატესობა. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2009, №2, გვ.140–145.
83. შუბლაძე გ. ბიზნესის საფუძვლები. თბ., 2000.
84. შუბლაძე გ. ბიზნესის არსისა და მისი დეფინიციის შესახებ. კრებულში – გიორგი შუბლაძე. ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები. თბ., 2009, გვ.71–79.
85. ჩაგელიშვილი კ. მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების პოლონური გამოცდილება. „სოციალური ეკონომიკა“. 2000, №2, გვ.95–98.
86. ჩხარტიშვილი ი. მეწარმეობის არსი მეწარმეობის რეტროსპექტიული ანალიზის კონტექსტში. „ეკონომიკა“. 2002, №4, გვ.32–39.

87. ჯანხოთელი შ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი (2006 წლის ცვლილებებით). კითხვები და პასუხები. თბ., 2006.
88. ჯიბუტი ა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგები საქართველოში. თბ., 2012.
89. ჯიბუტი მ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა ბიზნესზე საქართველოში, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, თბ., 2009.
90. ჯიბუტი მ. თანამედროვე ქართული ეკონომიკური აზრის კრიტიკა, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბ., 2010.
91. ჯუღელი ნ. „ბიზნესისა“ და „მეწარმეობის“ ეკონომიკური შინაარსის მართებული გაგებისათვის. „ეკონომიკა“. 2003, №5, გვ.27–35.
92. ხომერიკი თ. ბიზნესის განვითარების სტრატეგია. „სოციალური ეკონომიკა“. 1999, №5, გვ.82–93.
93. ხომერიკი თ. ბიზნესის დაგეგმვა წარმატებული მენეჯმენტის პირობაა. „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №5, გვ.82–87.
94. Aase Ibergs R. PPP was passiert wo in der EU. 2010.
95. Boyer R. State and Market: A new Engagement for the Twenty First Century? //States Against Markets: The Limits of Globalization. L., - N.Y. 2008.
96. Cocher Th. Busines in American Life: A History. N.Y., 1999.
97. Drucher P. Inovation and Enterepreneurship. L., 1986.
98. Grante W. The Political Economy of Corporatism. L., 2005.
99. Human Development Report. 2009/2010.
100. Maxwel J. There is No Suchas “Business Ethics”, There is Only Rule for Making Decisions. Warner Books, the USA, 2003.
101. Offe C. Modernity and the State: East, West. Camb., 1996.
102. Private Public Partnership: Alternative Modelle for State Infrastructure. Price Water-house Coopers, 2008.
103. Pollan R. , Abbot J. Strategies in the Global Political Economy. L., 1999.

104. Sholtz T. Human Capital: Policy Issues and Research Opportunities. N.Y., 1972.
105. Scholsman K., Tierry J. Organized Interests and American Democracy. N.Y., 2006.
106. Schumpeter. Capitalism, Socialism and Demokracry. L., 1987.
107. Tokmazishvili M. Papava V., Necroeconomic Foundations and the Development of Bussiness in Post-revolution Georgia. The Caucasus and Globalization, Vol. 1 (3), 2008.
108. Tokmazishvili M. Global Fiancial Crisis transmission in Georgia. Azerbaijan, Economical University of Azerbaijan, 2010. Global Finnancial Crisis: World experimece": Conference: materials.
109. Ансофф. И. Новая корпоративная стратегия. М., 1999.
110. Бабичева Ю. Черных С. «Реальный сектор», банки и инфляция «Вопросы экономики». 2002, №4.с.126-135.
111. Барр Р. Политическая экономия. Т.1, М., 1995.
112. Вавилов В. Лобизм и конкуренция в США. «Российские вести». 2009, №14, с.10-16.
113. Варнавский В. Концессионный механизм, партнёрства государства и частного сектора. М., 2009.
114. Вебер М., Избранные произведения.М., 1990.
115. Винслав Ю. Становление корпоративного управления: теория, практика, подходы к решению ключевых проблем. «Российский экономический журнал». 2011, №2. с.15-23.
116. Друкер П. Рынок: как выйти в лидеры. Практика и принципы. М., 1992.
117. Друкер П. Задачи менеджмента в XXI веке. М., 2002.
118. Иноземцев В. Цели и структура корпорации как основы её конкурентоспособности. «Проблемы теории и практики управления». 2011, №3.с.63-70.
119. Колодко Гж. Неолиберализм и мировой экономический кризис. «Вопросы экономики». 2010, №3. с.53-62.
120. Корнаи Я. Честность и доверие в переходной экономике. «Вопросы экономики». 2003, №9. с.4-17.
121. Кругман П. Возвращение великой депрессий? Мировой кризис глазами Нобелевского лауреата. М., 2009.
122. Ламперт. Социальная рыночная экономика. Германский путь. М., 1993.

123. Малахов. В. Государство в условиях глобализации. М., 2007.
124. Ольсевич Ю. Психологические основы экономического поведения. М., 2009.
125. Осипов Ю. Теория хозяйства. Т.1. Общие основания. М., 1995.
126. Папава В., Месхия Я. Проблемы инновационно-инвестиционной политики в Грузии. Тб., 2003.
127. Полян К. Великая трансформация. Политические и экономические истоки нашего времени. М., 2007.
128. Пороховский. Эволюция структуры американской экономики. «Вопросы экономики». 2005, №11. с.84-96.
129. Раквиашвили А. Либертарианская концепция государства: логика и мораль. „Вопросы Экономики“. 2009, № 9. с.115-123.
130. Савицкий. Кодекс корпоративного поведения: проблемы разработки и внедрения. «Вопросы экономики». 2002, №9. с.126-135.
131. Столяров И., Гурцкая К. Совершенствование взаимоотношений государства и бизнеса. „სოციალური ეკონომიკა“, 2004, №4, გვ.65-73.
132. Субботин М. Государственно-частное партнёрство: Мировой опыт. М., 2006.
133. Супян В. Кризис в США: экономический контекст. «Вестник института Кенана в России». Вып. 15, 2009, №11. с.17-26.
134. Тенденции мирового развития. Отчёт Мирового Банка. М., 2002.
135. Теория хозяйственного порядка. «Фрайбургская школа» и немецкий неолиберализм. М., 2002.
136. Федорович В., Патрон А., Заварухин В. США: Федеральная контрактная система и экономика: (Механизм регулирования). М., 2009.
137. Флитчер А., Росс Б. Как работает Вашингтон. М., 2005.
138. Хайек А.фон. Право, законодательство и свобода: современное понимание принципов справедливости и политики. М., 2006.
139. Эрхард Л. Благосостояние для всех. М., 1990.

140. [http:// www. doingbusiness. org](http://www.doingbusiness.org)
141. [http:// www.sciantific.ru](http://www.sciantific.ru)
142. [http:// www.bankofengland.co.uk/publikations /news/2009/](http://www.bankofengland.co.uk/publikations/news/2009/)
143. [http:// www.nof.ge](http://www.nof.ge)
144. [http:// www.economy.ge](http://www.economy.ge)
145. [http://nbg.gov.ge /index.php?m=486](http://nbg.gov.ge/index.php?m=486)
146. [http:// icstd.org/i/news/brigesrusiandigest/69878/](http://icstd.org/i/news/brigesrusiandigest/69878/)